„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№5 (197)
მაისი
2015 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეჩვიდმეტე წელი “LITERATURULI MESKHETI” “ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

ციური ლაფაჩი



დიდების შარავანდედით შემოსილი გმირები

(სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში დაცული ვახტანგ სუდაძის არქივის მიხედვით)

„ყოველ ქართველში ომის ტრფობა ძველთაძველია,
მეც ასეთი ვარ და ვერვისთვის გამიმხელია.
სიცოცხლე მინდა, უშენოდ ის, ოჰ, რა ძნელია.
გამახსენდება... და კვლავ ომი მომენატრება”.

გალაკტიონი

საქართველოს არაერთი მძვინვარე აგრესორი უნახავს, მაგრამ თურქ დამპყრობთა ბარბაროსული ბატონობის დამლუპველ შედეგებთან, როგორც მკვლევარი **ვალერიან მაჭარაძე** აღნიშნავს, ალბათ შაჰ-აბასის ველური ურდოების სისხლიანი საქმეებიც კი დაიჩრდილება. ამიტომ, ქართველი ხალხის ბრძოლა თურქ-დამპყრობთა წინააღმდეგ შეუპოვრობითა და თავგანწირულობით ხასიათდებოდა (ვ. მაჭარაძე, „ასპინძის ბრძოლა“, თბილისი, 1957 წ. გვ. 1).

სწორედ ამის მიზეზით იყო, რომ სამეფო-სამთავროებად დაყოფილ საქართველოს ყოველდღე საშიშროება ემუქრებოდა... აქედან გამომდინარე, 1752 წელს, იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებმა ერთმანეთთან სამხედრო კავშირი შეკრეს: **„როდესაც ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს შეევეშველნეთო“**. ეს კავშირი ერეკლესა და სოლომონს შორის 1770 წლამდე არ დარღვეულა.

1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას ქართველი მეფეები დიდი სიხარულით შეხვდნენ. დასავლეთ საქართველოს მეფე **სოლომონი** ფიქრობდა, რომ რუსეთის ჯარი თავისი საშინაო და საგარეო საკითხების მოსაგვარებლად გამოეყენებინა და მეფე-თავადებსა და მთავრებს დაიმორჩილებდა, ოსმალთა მიერ მიტაცებულ ქვეყნებს დაიბრუნებდა და დამპყრობლებს იმერეთიდან საბოლოოდ გააძევებდა (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია; „საქართველოს ისტორია“, ნაწ. I, თბილისი, 1948 წ. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, გვ. 393).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთის დახმარებით **მეფე ერეკლეც** დიდი საქმეების გადაჭრას ფიქრობდა, კერძოდ: იგი, პირველ რიგში, ოსმალეთის მიერ მიტაცებული მესხეთის შემოერთებას, ჭარ-ბელაქნის დაპყრობას და ქართლ-კახეთში ლეკიანობის მოსპობას აპირებდა. ამიტომაც იყო, რომ მეფე ერეკლეს რუსეთის ჯარის ამიერკავკასიაში შემოსვლა ახალ ხანად ეჩვენებოდა (იქვე გვ.393).

აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთსაც თავისი მიზნები ჰქონდა და იგი ფიქრობდა: ოსმალთა წინააღმდეგ ომით ქართველებს მტრის დიდი ძალები უნდა დაებანდებინათ, რომ ამით ომის მთავარ ფრონტზე მათ ხელი შეშლოდათ.

1769 წლის ზაფხულის ბოლოს, რუსთა ჯარი, **გენერალ ტოტლებენის** მეთაურობით, საქართველოში შემოვიდა. ტოტლებენი ზნედაცემული კაცი იყო, როგორც ამას ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა. დიდი საქმისთვის საჭირო მას არც ხალისი გააჩნდა, არც ნიჭი. პირადი გამდიდრება-განდიდება იყო მისი მთავარი საზრუნავი. ამიტომაც საქართველოს მეფეებს ეს გენერალი იმთავითვე ვერ შეეგუა. მას განსაკუთრებულად არ მოსწონდა ის, რომ ქართველ მეფეებს – ერეკლეს და სოლომონს საკუთარი მიზნები ჰქონდათ, ხოლო ტოტლებენი საქართველოს ინტერესებისთვის ანგარიშის გაწევას საჭიროდ არ თვლიდა და ქართველი მეფეების – ერეკლეს და სოლომონის მხრით, უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. – ამიტომ, აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, – გენერალმა ტოტლებენმა წყალობის თვალით შეხედა **სოლომონ მეფისა** და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების მტრებს – **დადიანსა და გურიელს**, ასევე, ერეკლეს წინაალმდეგაც გენერალმა ქართლის რეაქციონერი თავადები დაიახლოვა – **დავით ქსნის ერისთავი, ზაალ ორბელიანი, მაჩაბელი, ამირეჯიბი** და სხვანი (დასახელებული ნაშრომი, გვ. 394).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1769 წლის 3 სექტემბრის პატაკით, მოურავოვი ნ. პანინს სწერდა: **„სოლომონ მეფე ძალზე სუსტია და ერეკლეს გარეშე არავითარი მოქმედების წარმოება არ შეუძლიაო“** (Грамоты, 1.65).

ტოტლებენი ჯარის გადიდების მოტივად სწორედ ამ ფაქტს იყენებდა – **„საჭიროა ჯარები გადიდდეს იმის გამო, რომ სოლომ მეფის ჯარების დახმარების არავითარი იმედი არ მაქვსო“** (Ц.ГВИА. Ф. 20.ОН.47,СВ,245,Д.4,Ч.1.Д.164).

ამით ტოტლებენი აუწყებდა მეფის რუსეთის სამეფო ტახტს, რომ ქართლ-კახეთის ძლიერი, ჭკვიანი და თვითმპყრობელი მეფე ჯარის გაუდიდებლად ომში ჩაბმას არ აპირებდა..., ამიტომ საჭირო იყო ქართლ-კახეთის ომში ჩაბმით, უმოკლეს დროში, აუცილებლად შეიძლება დიდ შედეგებს ველოდოთ რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ (Грамоты,1.65.).

ასეთი და სხვა მრავალი მიმოწერის შემდეგ, რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორე, ხელს აწერს ჯარების გადიდების საქმეს და, მაშინ, როცა იმერეთში თურქების შემოჭრის შედეგად შორაპნის ციხესთან საქმე კარგად ვერ წავიდა და ერეკლე მეფის ომში ჩაბმის იმედიც ჰქონდათ, ტოტლებენმა და მოურავოვმა ქართლში დაბრუნება გადაწყვიტეს... დარწმუნდა რა ერეკლე მეფე, რომ რუსეთის მთავრობა საეკლესიციო ჯარის რაოდენობის გადიდებას პრინციპულად დათანხმდა და დამხმარე ძალებიც გზაში იყო, ამიერიდან, როგორც ამას მკვლევარი ვ. მაჭარაძე წერს, – **„ერეკლეს ომში ჩართვა გადაწყვეტილი იყო“.**

თუმცა, ქართლ-კახეთის ბრძენ მეფეს, ისიც არ ავიწყდებოდა, რომ რუსეთთან მის კავშირს საგარეო ურთიერთობების გართულება, მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების მხრივ მტრობის გაძლიერება მოჰყვებოდა (ვ. მაჭარაძე, „ასპინძის ბრძოლა“, თბ. 1957).

ამის შესახებ ერეკლე მეფე დასძენდა: **„რადგან სარწმუნოების სარჩულით მოქმედება კეთილ აღრჩევა ესე, ზედმიწევნით ვუწყით, იგინიც, ჩვენდამო მტერობას შეძლებისაებრ უმეტესად ჰყოფენ“ და „გასწავლებული ჯარი გუუბიძოს, რომ საფარველი ჩვენდამო ყოველთა თანა განეცხადნეს“** (Грамоты, II, В.1,6-7).

მეფე ერეკლე არ ცდებოდა. რუსეთის ჯარების შემოსვლამ საქართველოში, როგორც ამას მკვლევარი **რ. გოგოლაური** წერს, ყველაზე ძალიან აღაშფოთა ახალციხის, ანუ ჩილდირის **ვალი ნამან ფაშა** (1769-70) (რ. გოგოლაური, „სამცხე-ჯავახეთი XVIII ს-ის უკანასკნელ მესამედში“, ახალციხე 2007 წ. გვ.14).

ნამან ფაშა გამაჰმადიანებული ებრაელი იყო. როგორც პროფესორი შ. ლომსაძე თავის წიგნში – „სამცხე-ჯავახეთი“ – ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: **„ნამან ფაშა ადრე ებრაელი ყოფილა, შემდეგ გამაჰმადიანებულა და ფაშობა მიუღია. მკვლევარი ფიქრობს, რომ ნამან ფაშას დანიშნა ამ თანამდებობაზე, რუსეთთან ომის მდგომარეობითაც იყო გამოწვეული“**. – თუ **„ლეონის ცნობას ვირწმუნებთ, – დასძენს იგი, – ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ახალციხის საფაშო ტახტზე არაქართული წარმოშობის, არაჯაყელთა გვარის შთამომავალი ავიდა“** (შ. ლომსაძე, დასახ. ლიტ. გვ. 220)

1769 წლის ნოემბერ-დეკემბრით დათარიღებულ წერილში ნამან ფაშა ერეკლეს სწერდა: **„სოლომონმა უღალატა თურქებს და რუსეთის რაზმი მოიწვია იმერეთში. ახლა ეს რაზმი თქვენს ქვეყანაში გადმოსულა. ასეთი რამ ავნებს ჩვენს მეგობრობას და გაართულებს თქვენს ურთიერთობას სპარსეთთანაც. ამიტომ რუსები თქვენი ქვეყნიდან დაითხოვეთო“** (რ. გოგოლაური, დასახ. ნაშრ., გვ.15).

როგორც ისტორიული ფაქტები ადასტურებენ, ასეთ რთულ ნაბიჯს ქართლ-კახეთის მეფე იმიტომ დგამდა, რომ რუსეთთან კავშირს და მის მფარველობას ფართო საგარეო პოლიტიკურ გეგმებს უკავშირებდა, რომელთაგან, უმთავრესი, სამხრეთ საქართველოს თურქი დამპყრობლების ხელიდან გამოგლეჯვა იყო (ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 53). ამასთანავე, იგი აგრესიის ბაზას წარმოადგენდა და ქართლსა და იმერეთში შემოსასვლელ გზებზე ბატონობდა...

1770 წლის 17 აპრილს, ერეკლე მეფე და ტოტლებენი რუს-ქართველთა ჯარით აწყურის ციხეს შემოადგა. ის იყო ომი გაჩაღდა, რომ ტოტლებენი, თავისი ჯარით, უეცრად, უკან გაბრუნდა. ბუნებრივია, გენერალ ტოტლებენის საქციელმა, ქართველთა ჯარში, დიდი აღშფოთება გამოიწვია. გაგულისებულ მტერს, რაკი ეს შეამჩნია, გული მიეცა, ციხიდან გამოვიდა და ქართველებს თავს დაესხა. ერეკლემ ჯარის რჩეული ნაწილი შეაგება მტერს და დაზარალებული, ისევ ციხეში დააბრუნა. მეორე დღეს მეფე ერეკლე ასპინძის მიმართულებით წავიდა. ბუნებრივია, ახალციხის ფაშამ მთელი ძალები მის წინააღმდეგ დაძრა. ერეკლე მეფის და მოურავოვის ცნობით, მტრის 4000-იანი კორპუსი მისულა ასპინძასთან...(Грамоты,II,В. I, 29-30. Грамоты, 107)

19 აპრილს მთავარ ძალებთან ბრძოლა არ გამართულა, ხოლო ქართველი მემეტიანის ცნობით: **„გამოვიდნენ უკვე ნახევარი მტრის ჯარებისა ხიდსა ასპინძისასა და ნახევარიცა ლამბდნენ მეორესა დღესა გამოსვლად, ხოლო ღამესა მას წარგზავნა მეფემა ერისთავის შვილი აღაბაბა, სვიმონ მუხრანბატონის შვილი წასაღრიბაში და ხუდია ბორჩალოელი, ჩინებული და მამაცი ყოველსა საქართველოსა შინა და ამცნო მათ, რათა აჰყარონ ხიდი ასპინძისა და მათ**

დასასრული მე-2 გვ. ▶

◀ დასაწყისი გვ. 1

სრულ-ჰყვეს ყოველივე ბრძანებული მეფისა“ (ვ.მაჭარაშვილი, დასახ. ნაშრ.. გვ.66-68).

1770 წლის 20 აპრილს გაიმართა ბრძოლა. ქართველებმა, ერეკლე მეფის სარდლობით, შეტევაზე გადავიდნენ და სწრაფი და გაბედული შეტევით, მტრის წინა რიგები გატეხეს. ამას ისიც დაემატა, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ, მეფის ბრძანებით, ხიდის წინასწარ დაზიანების გამო. თურქები მორალურადაც დაეცნენ და ბრძოლის უნარი დაკარგეს. მტერმა ბრძოლის ველზე 4000 მებრძოლი დაკარგა. მეფე ერეკლე პანინისადმი გაგზავნილ წერილში მოკლულთა შორის ასახელებს: **არტანბელ ბექირბექს, გოლა ფაშას, შავშეთის ფაშას** და სხვა. ლეკთაგან: **მალაჩილას** (კოხტა ბელადი), **უსუფ ბელადს, ჰაჯი მამედ ბელადს** და სხვ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეფე დაღუპულად თვლიდა ყუმუხის მთავრის შვილს **ჰაჯი გაჰხაის**, სულთნის მიერ წინასწარ თბილისის ფაშად დანიშნულს, რადგან ამ უკანასკნელის ცხენი მეფეს მიჰგვარეს.

აშკარაა, რომ ასპინძასთან მტრის ჭარბ ძალებზე ქართველების ბრწყინვალე გამარჯვება, მათმა გმირობამ და სამშობლო ქვეყნის უანგარო სიყვარულმა განაპირობა. როგორც მკვლევარი ვ. მაჭარაძე აღნიშნავს – **„ქართველ ჯარს სათავეში ედგა ყირხბულახისა და მჭადიჯვრის ომების ვეტერანი, დიდი სარდალი ერეკლე მეორე. იგი იბრძოდა მშობლიური მიწა-წყლის გასათავისუფლებლად. მას ფეხქვეშ მშობლიური მიწა ჰქონდა, ხოლო წინ, ნანგრევებად ქცეული, ქართული კულტურის აკვანი – მესხეთი იდო.“**

ასპინძის ოპერაციით, ქართველი ხალხის გმირული ისტორიის მატიანეში, კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა. აქვე მინდა მოვიშველიო ბატონი ვ. მაჭარაძის სიტყვები: **„ქართველმა ხალხმა დიდების შარავანდედით შემოსა ასპინძის გმირები და გმირი სარდალი, – ერეკლე მეორე ქართველი ხალხის ერთ-ერთ საყვარელ ეროვნულ გმირად გადაიქცა“.**

ალბათ, დამეთანხმებით, თუ ვიტყვით, რომ ასპინძის გმირულ ბრძოლაში ადგილობრივი მოსახლეობაც აქტიურად მონაწილეობდა და ვისაც როგორც შეეძლო (ხშირად შეუძლებელსაც აკეთებდა), ისე ედგა მხარში გმირ მეფეს, თავდაუზოგავად იბრძოდა მტრის მძიმე და ხანგრძლივი უღელისაგან თავის დასაღწევად.

ასპინძის ომის რეალიები ფართოდ აისახა როგორც ქართულ მეცნიერებაში, ასევე ჩვენი ხალხის მეხსიერებაში და იგი ლეგენდების, გადმოცემების და სხვადასხვა სახით გავრცელდა ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ნლების განმავლობაში ძალიან ბევრმა და საინტერესო მასალამ მოიყარა თავი ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში და მკვლევართა არქივებში. აქედან გამომდინარე, ასპინძის ბრძოლიდან 245 წლისთავთან დაკავშირებით, გაგვიჩნდა სურვილი, ისტორიულ ფაქტებთან ერთად, ჩვენი ძვირფასი გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთი„-ს საშუალებით საზოგადოებისთვის შეგვეთავაზებინა პროფ. **შოთა ლომსაძის** პირადი არქივიდან ერთი წერილი, რომელიც, გასული საუკუნის 90-იან წლებში, მისთვის გამოუგზავნია გერმანიის, ქ. ჰაიდენბურგში მცხოვრებ **ვახტანგ სუდაძეს**. იგი ერთ-ერთი თანამშრომელი გახლდათ 30-იან წლებში განახლებული ახალციხის მუზეუმისა (ბატ. ვ. სუდაძის შესახებ დაწვრილებით ცნობებს მომავალ სტატიებში შემოგთავაზებთ).

მას შემდეგ, რაც ვ. სუდაძე გასცნობია ბატ. შ.ლომსაძისა და სხვა ქართველ ისტორიკოსთა გამოკვლევებს, გადაწყვეტილება მიუღია, რომ ასპინძის ომის, და არა მხოლოდ ასპინძის ომის შესახებ, ბატ. შოთასთვის გაეზიარებინა თავისი აზრი. ამ თვალსაზრისით, იგი სწერს შემდეგი შინაარსის წერილს და უგზავნის პროფ. შ. ლომსაძეს (წერილის სტილი დაცულია).

„გამარჯობა პატივცემულო შოთა.

გისურვებ ჯანმრთელობას და გულწრფელ ბედნიერებას შენს ცოლ- შვილთან ერთად.

ბატონო შოთა, თქვენმა და გაგას მეგობრულმა ინიციატივამ ჩემს მიმართ, უზომოთ გამახარა, რადგან თქვენ შალვას დახვდით თვითმფრინავის სადგურზე და ახალციხეში გაამგზავრეთ.

გული მტკივა, რომ დრო გადის და ერთმანეთს ვერ ვნახულობთ, რომ ურთიერთს გავუზიაროთ ჩვენი ქართველი წრისთვის სასიკეთო აზრები... თქვენი, როგორც მკვლევარის, სხვებისათვის უმნიშვნელო ამბავი, თქვენთვის ღირებულ საგნად გადაიქცევა.

მაგალითად, ძველი და ახალი მკვლევარების გამოუსწორებელი შეცდომები. ძველი მკვლევარებიდან: არტურ ლაისტი, ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი. მათ შემდეგ ახალი თაობიდან: სერგო (სერგი) მაკალათია, მიხეილ ჩიქოვანი და მათი მოწაფე, ქართველი ერის მოსიყვარულე – ვახტანგ სუდაძე.

ჩემი სტუდენტობის დროიდან მინდა ერთი პატარა ეპიზოდი მოგითხრო. ასე მგონია, 1933 წელს, პედაგოგიური ინსტიტუტის ნაცნობის დახმარებით მათემატიკურ ფაკულტეტზე მოვხვდი. წლის განმავლობაში უგულოდ ვისმენდი ლექციებს. ლექტორმა ალბათ შემამჩნია და მამულიშვილური საუბარი ჩამიტარა. გამომიძახეს დირექტორთან და მითხრეს, მომავალ წელს ლიტერატურის პირველ კურსზე მოისმენ ლექციებსო. მე პრინციპულად მოვითხოვე ნებართვა პირველი კურსის ყველა საგნის ჩაბარებისა. სწორედ იმ დროს, ისტორიის პროფესორი სარგის კაკაბაძე ატარებდა ისტორიის გამოცდას. მოწერილობა მომცეს, შეველ მის კაბინეტში, კიდევ ორი სტუდენტი შემოვიდა, დაჯდნენ, მე ყურადღება არ მომაქცია, ჩემ მიცემულ წერილს უყურებდა, სტუდენტებს უთხრა: თქვენ იფიქრეთ რუსის გენერალ ტოტლებენზე. სტუდენტებმა მიცემულ თემაზე სწორედ ვერ უპასუხეს. ისინი რომ გავიდნენ, მე ვუთხარი: ბატონო პროფესორო, რატომ არ გაუსწორეთ. პროფესორმა ალმაცერად შემომხედა. მე ვუთხარი, ასპინძის ხიდს მარჯვენა მხრიდან ვერ ჩახერხავდნენ, რადგან იმ ვაკე მინდორზე, ხიდის თავამდე, თურქეთის ჯარი იდგა. პროფესორი წამოდგა, ახლა მე უნდა წავიდე, აგერ ჩემი ადრესი (მისამართი), შვიდ საათზე მოდი და ჩემთან სახლში ვილაპარაკოთო.

დანიშნულ დროს, შვიდ საათზე, ვესტუმრე ოჯახში. თავაზიანად მიმიღო. მის მეუღლემ მიმიწამოიშლებით, ივახშმებთ და დაბნელებისას გაუდგებით ჩვენს გზას.

ათი კილომეტრის გავლით აღმოვჩნდით მტკვრის სანაპიროზე, 50 ხიზაბავრელი და ერკოტელი, სულ ახლო ჩავსაფრდით. ბიჭებო, მომეცით ბადე. მე და ნიკოლოზი მათთან მივალთ, როგორც მეთევზენი. მოწინებით შეველაპარაკებით – მთვარე არ ამოვიდა, რომ ბადე გავშალოთ, ფაშებს ახალი თევზი უნდათ. ისინი დარწმუნდებიან, რომ ჩვენ მეთევზეები ვართ, მე რომ ჩავახველებ, კურდღლის ნახტომით ჩვენთან გაჩნდით, საშუალება არ უნდა მივცეთ სასროლი იარაღი იხმარონ, თორემ, მეორე

დიდების შარავანდედით შემოსილი გმირები

პატიჟა ვახშამზე. ვახშმის შემდეგ პროფესორმა მიმიპატიჟა თავის სამუშაო ოთახში. წიგნების სიმრავლემ თავისკენ მიმიზიდა. პროფესორმა შემამჩნია და მითხრა: როცა დრო გექნება, გამოიარე და რომელი წიგნიც მოგეწონოს, წაიღე წასაკითხადო. შემდეგ მომმართა – მესხო სუდაძე, ახლა დავუბრუნდეთ დღევანდელი იმ ორი სტუდენტის გამოცდას, რაც სწორი არ იყო, შენ განმარტე, მე გისმენ.

სტუდენტი სუდაძის განმარტება: ბატონო პროფესორო, მე სიმართლედ მიმაჩნია, სოფელ საკირის და სოფელ დგვარის ღრმად მოხუცების გადმოცემა. ომი უნდა დაწყებულიყო მეფე ერეკლეს სარდლობით. ტოტლებენს კი უნდოდა (თავისი) სარდლობით. ეს რომ ვერ შეძლო, ომის ჩასაშლელად გამოიყენა ყოველგვარი რუსული ხრიკები. ომმა გადაინაცვლა ასპინძის მიმართულებით. საკირის და დგვარის მცხოვრებლებმა დიდი შრომა გასწიეს ჯარის გახმაურების გარეშე გადასაყვანად ასპინძაში. ორი დღე-ღამის განმავლობაში, ერეკლე მეფე თავის ჯარით, ასპინძის მისადგომებთან აღმოჩნდა. ახალციხის ვილაიეთის ქართული სოფლებიდან ათასამდე კაცი იქნებოდა ერეკლე მეფის ჯარში, რასაკვირველია, საიდუმლოდ. ჯარმა დაიკავა სოფელ ტამალის მისადგომები.

ერეკლე მეფემ მოიწვია თავის ჯარიდან რჩეული ადამიანები და ჰკითხა: როგორი ხერხით იბრძოლოს, რომ გამარჯვების სასწორს ქართველების მხარეს დაეძლია.

ბადალა: ბატონო მეფევ, ახალციხიდან ახალქალაქამდე, სადაც საქვეყნო საქმე სწყდებოდა, აზრს მე მკითხამდენ, არსად არ წამიგია და ვიმედოვნებ, არც ახლა წავაგო. თხოვნით, მე და ერკოტელი ჯვარიძე ამაღამ აპინძის მიდამოებში თურქეთის ჯარის განაწილებას და სიმაგრეებს შევისწავლით. თქვენ ბრძანეთ, ხიდის რამდენიმე ადგილზე ჩახერხვა. მეც მაგას ვფიქრობდი, თქვენ დამასწარით, ამიტომაც, ამ საქმეს ძალიან კარგი შესწავლა უნდა. ამიტომ მე და ნიკოლოზ ჯვარიძე წავალთ, დაწვრილებით შევისწალით, განსაკუთრებით კი ხიდს, შევეცდებით გათენებამდის დავბრუნდეთ, ღვთის დახმარებით სწორი ამბავი ჩამოგიტანოთ.

მეფე: აბა, ბადალ და ნიკოლოზ, წმინდა გიორგი იყვეს თქვენი მფარველი. ხვალ დილით გელოდებით.

ღამის სიბნელეში ბადალა და ნიკოლოზი გაუჩინარდნენ. შემოიარეს ასპინძის გარშემო, არავითარი სიმაგრეები არ არსებობდა. ჯარის მთავარი ძალა ასპინძის ქვემოთ, ველზე ბანაკობდა. ეს ორი მებრძოლი გათენებისას დაბრუნდნენ და მეფეს ნანახი სურათი გადასცეს.

ბადალამ პრინციპული უარი განაცხადა ხიდის მარჯვენა მხრიდან ჩახერხვაზე, რადგან თურქეთის ჯარი ხიდის თავიდან „პალატკებში“ უდგათ, ხიდი უნდა ჩაიხერხოს მეორე მხრიდან, საიდანაც რამოდენიმე მცველი იქნება. იმასაც თავს მოუვლით.

მეფე – ხელების მაღლა აპყრობით: გმადლობთ, ღმერთო! გვყოლია ერის მოჭირნახულე გმირები ბადალას და ნიკოლოზის სახით. ბადალ, გაძლევ კიდევ ოთხ კაცს – ორი ხიზაბავრელი, ორი ერკოტელი, კიდევ რამდენი კაცია საჭირო, იქ მოძებნეთ, ამას საქმე დაგანახვებთ. მეფის მშვიდობა თქვეს და გზას გაუდგნენ.

ბადალა: ძმებო, მეფის გამარჯვება! ქართველი ერისთვის ჩვენ ვართ გადამწყვეტი სიგნალის მიმცემი. ხიზაბავრელებო, ოცი კაცით განთიადამდის ნიკოლოზის ოჯახში უნდა მოხვიდეთ, ხიდის ჩასახერხად საჭირო იარაღებს ჩვენ მოვამზადებთ, გათენებისას ისადილებთ, დაიძინებთ და ღამისას მხარეს გაიგებენ და საქმე ჩაგვეშლება.

ბადალა და ნიკოლოზი ბადით ხელში მივიდნენ ხიდის მცველებთან და შესჩივლეს – სიბნელის გამო ბადეს ვერ ვშლიათო. ერთი კაცი შეეხუმრა: თევზი ჩვენც გვინდაო. ბადალამ შენიშნა, რომ ხიდის მცველებად ექვსი კაცი იყო. მაგრად ჩაახველა, ჩასაფრებულები გარს შემოერტყნენ. ის ექვსი კაცი მოკლეს და მტკვარს გაატანეს ახალციხის მიმართულებით.

აბა, ოსტატებო, სამი ხერხი გააწყეთ, ხიდი სამ ადგილას უნდა ჩაიჭრას. ჩაჭრის დროს ერთგვარი წონასწორობა დაიკავეთ, ხიდი უნდა ჩატყდეს იმ დროს, როცა ჯარი შესდგება გასავლელად.

პატივცემულო ძმებო, მეფის დავალება პირნათლად შევასრულეთ, ჩვენი ქართველი ერის სადიდებლად, ერთი რამ გახსოვდეთ, ჩვენს მიერ შესრულებული საქმე საიდუმლოდ უნდა დარჩეს, თორემ მეზობელ მუსლიმანებს არ გაუხარდებათ.

ხიდის ჩამხერხავებს თუ სურვილი აქვთ, მე გამომყვნენ, დანარჩენნი, ოჯახებში დაბრუნდით, მე და ნიკოლოზი თუ ვერ დავბრუნდით, ეკლესიაში სანთელი დაგვინთეთ.

ამ სამამულო დახმარებისათვის ყველას მეფის სახელით მადლობას მოგახსენებთ, თქვენ გაიმართეთ საკუთარ ოჯახში და ჩვენ მივაკითხავთ მეფეს.

ეს ათი ცხენოსანი, მეფის შესახვედრად გაემართნენ, მათ შორის პეტრე ხიზაბავრელმა ურჩია თანამგზავრებს: დადეშზე გავლით, ხიზაბავრის ბაღებთან, მტკვარი ფართოდ გაშლილია და ცხენებს გასვლა არ გაუჭირდებათ. ბიჭო, პეტრე, თქვენ, ხიზაბავრელები მართლა ფრანგები ხართ? ბატონო ბადალ, მოგებაში და ეშმაკობაში ფრანგები ვართ, ღვინის სმაში და თამადობაში ქართველები ვართ...

– პეტრე, ფრანგებიც ხომ სვამენ ღვინოს?

– კი ბატონო, ნორმალური ჭამა-სმა მარგებელია, ასე გვასწავლის ქრისტე ღმერთი, ხოლო ნორმაზე მეტი საზიანო...

ასე, შინაურული საუბრით მივაღწიეთ მეფის სადგომს. უკვე თენდებოდა. მთელი ღამე მეფეს ლოცვა-ვედრებაში გაუტარებია და, რომ შეატყობინეს, ბადალა დაბრუნდაო, სამოც წელს მიტანებული მეფე ახალგაზრდა ჭაბუკივით წამოდგა...

ბადალა: ბატონო მეფევ, თქვენი ბრძანება პირნათლად შევასრულეთ. აი ეს ექვსი კაცი, რომლებმაც შეუსვენებლად ჩახერხეს ხიდი, დანარჩენი ჩვენი დამცველი ორმოცდაათი კაცი ოჯახში გავუშვი... თქვენს მიერ დავალებული საქმის შესრულებისათის თავი გამოიჩინა ნიკოლოზ ჯვარიძემ, კერძოდ, სამუშაო საგნების შეკრებისათვის.

მეფე: თქვენდა საპატივცემულოდ ეს ორმოცდაათი ცალი წმინდა გიორგის ჯვარი მეფისაგან საჩუქრად გადაეცით ქართველი ერის გულშემატკივარ ადამიანებს. გისურვებთ თქვენს ოჯახებში მშვიდობით დაბრუნებას. ბადალა და ნიკოლოზი აქ დარჩებიან.

მეფემ დიდებულები შეკრიბა და მიმართა: თანამემამულენო, დროა გადავიდეთ შეტევაზე. ყველამ შესაფერისი აზრი გამოთქვით. მოლაპარაკების შედეგად გამოითქვა ასეთი წინადადება, რომ პირველი შეტევა მივიტანოთ ცენტრალურ სიმაგრეებზე. მაგარი დარტყმით ცენტრში არეულობა მოხდება, თათართა ჯარი ზურგს გვიჩვენებს გაქცევით, ხიდი ჩაენგრევათ, ჯარის ერთი ნაწილი მტკვარში დაიღუპება, დანარჩენები იძულებულნი იქნებიან იარაღი დაჰყარონ და ჩაგვბარდნენ.

ბადალა: ბატონო მეფევ, მე არ გეთანხმებით!

– ჩვენ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ ყველას აზრი მოვისმინოთ, ავწონ-დავწონოთ, რომელიც ჩვენი გამარჯვების საწინდარი იქნება, ის აზრი მივიღოთ.

ბადალა: გმადლობთ, მეფევ! მე დღემდის არ წამიგია და, ვიმედოვნებ, დღესაც გამარჯვების გზით წავალთ... ჩემი შეგნებით და თვალთახედვით, ჯარი სამად გაიყოფა, რადგან მტერს სამი მხრიდან უნდა შევუტიოთ.

– და რატომ თქვენი „პლანით„?

– ცენტრი რომ შევანგრიოთ, თათრების ჯარი დაიხევენ უკან, ხიდზე გადასასვლელად, ხიდი ჩაინგრევა, პატარა ნაწილი დაიღუპება. აჰა, ოცდაათათასიანი არმია მძიმე იარაღით დაბლობში დგას, ისინი ახალციხის და ხერთვისის მიმართულებით გაიწევენ, ახალ პოზიციას დაიჭერენ და გაიმართება გაუთავებელი ომი. ასეთი მოვლენა მაჩვენებელია ჩვენი მარცხისა...

ეს მარცხი რომ ავიცილოთ და ზუსტ გამარჯვებას მივაღწიოთ, ამისათვის ჩემი მოთხოვნა არის, ჩვენი ჯარი სამ ნაწილად გაიყოს. პირველი ძლიერი ნაწილი, ცენტრზე მიიტანს იერიშს, მეორე, კიდევ, ძლიერი ნაწილი, ახალციხის მიმართულებით გასაქცევ გზას ჩაკეტავს და, მესამე, პატარა ნაწილი, ხერთვისის გზას გადაკეტავს...

თათრების მთავარ ჯარში არეულობა რომ მოხდება, პირს იბრუნებს გასაქცევად, ხიდზე გავლით. ხიდი ჩაენგრევათ და იქ უნდა დახვდეს ჩვენი ძლიერი ჯარი, რომელიც სიმაგრეებშია. გზააბნეული თათრის ჯარი, რომ გაიწევს ახალციხის მიმართულებით, სიმაგრეში დახვდება ჩვენი ჯარი, ფიცხელი შეტაკებით იერიშს მიიტანს, თურქეთის ჯარი დაიხევს უკან და მტკვრის სანაპიროსაკენ შეგროვდებიან. ამ დროს, ქართული არტილერია, თურქეთის ჯარს ყუმბარებს (ჭურვებს) დაუშენს, აუარებელი ხალხი დაიხოცება და იძულებული გახდებიან იარაღი დაჰყარონ და ჩაბარების დროშა ასწიონ...

ამ გეგმით ქართველების გამარჯვებით დამთავრდა ასპინძის ომი.

მეფე ერეკლე: პატივცემულო ახალციხელებო.

ბადალა ნებაძე და ნიკოლოზ ჯვარიძე, მე არ ვკითხავ, ვინ რომელი სოფლიდანაა, ჩემთვის და ისტორიისათვის ყველა დიდებული მესხეთ-ჯავახეთიდან ხართ. მე სიტყვა არ მყოფნის თქვენი ვაჟკაცური, თავგანწირული ბრძოლის შეფასებაში. ვთხოვ ქართველ ერსა და ისტორიას, თქვენი პიროვნება შვილიშვილს არ დავიწყებოდეს. ჩემდა სამახსოვროდ, მიიღეთ წმინდა გიორგის ჯვარი და მშვიდობით“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ბატონი ვახტანგ სუდაძე კვლავ მიმართავს ამ სტატიის მკითხველსა და მსმენელთან ერთად პროფ. შოთა ლომსაძეს და აგრძელებს თხრობას ასპინძის ომის გამარჯვების მონაწილეთა შესახებ და აღნიშნავს, რომ „სამშობლოსათვის თავდადებული ორი გმირი – ბადალა ნებაძე და ნიკოლოზ ჯვარიძე მესხეთ-ჯავახეთის მხარეში სახელგანთქმული მებრძოლები იყვნენ და, რა თქმა უნდა, ახალციხის ფაშის კარზეც განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ამიტომ, ფაშას ეჭვი რომ არ აეღო ასპინძის ბრძოლაში მონაწილეობაზე, ბადალამ და ნიკოლოზმა ხმა გაავრცელეს – ეს რამდენიმე თვეა ჩრდილო კავკასიაში, ლეკეთში, ჩეჩნეთსა და დაღესტანში არიან სავაჭროდო.

ამიტომაც ორ-სამ დღეს ოჯახში დაისვენეს, ორი ცხენი დატვირთეს პურისა და სიმინდის ფქვილით, ლობიოთი და კიდევ სხვა წვრილმანი საჩუქრებით და ერთ მშვენიერ საღამოს ოთხი ცხენით გაუდგნენ გზას სომხეთზე გავლით. რამდენიმე დღე-ღამის მგზავრობით მიაღწიეს ლეკეთს.

ბადალამ და ნიკოლოზმა, დიდი დაღლილობით მიაღწიეს მეგობრების ბინებს. მასპინძლებმა გამოუთქმელი სიხარულით მიიღეს სტუმრები. დღე-ღამის შესვენების შემდეგ წამოღებული საჩუქრები მეგობრებზე თანაბრად გაანაწილეს...ერთი კვირის შესვენების შემდეგ გაიარეს ქალაქებში, დაათვალიერეს სავაჭრო პუნქტები და შეკვეთა მისცეს მეგობრებს, განსაკუთრებით შალის ნაქსოვზე, როგორც მამაკაცისათვის, ისე დედაკაცისათვის და სხვადასხვა ნაქარგ ქსოვილებზე. ერთი თვის განმავლობაში შეიძინეს ყველა დაკვეთილი საგანი. შეძენილი საგნების სიმრავლემ სურვილს გადააჭარბა. მათ ოთხი ცხენი ჰყავდათ, კიდევ ორი აქლემი იყიდეს. მომსახურეობისათვის დაიქირავეს ორი ლეკი და ხანგრძლივი მგზავრობით მიაღწიეს ახალციხეში.

ბადალა კარგად იცნობდა ხითარიშვილებს... სავაჭრო ბინა დაიკავა მათთან და ალიოზაშვილებთან. სავაჭრო გამოფენას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მუშტარზე და მნახველებზე.

ბადალას მხედველობიდან არ გამორჩენია ნაცნობ-მეგობარი ფაშები და ბეგები. ყველას საკადრისი საჩუქარი შესთავაზა“.

„ამდენად, – აღნიშნავს ბატ. ვახტანგ სუდაძე – „პატივცემულო შოთა, ასეთი საუბრით ჩავაბარე პირველი კურსიც, ისტორიის საგანი, პროფესორ სარგის კაკაბაძესთან.

პატივცემულო შოთა, ასპინძის ომის ორი გმირის – ბადალა ნებაძის და ნიკოლოზ ჯვარიძის პიროვნებების შესწავლა და დახასიათება მსურდა, მაგრამ მათი წინაპრები ძალიან შორიდან იღებენ სათავეს. ასე მგონია, მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოიხსენებიან, ეს უკვე ცალკე შესასწავლი თავია. ასე რომ, ამ ზაფხულში დავამუშავებ“...

ჩვენდა სამწუხაროდ, ამის შემდეგ შეწყდა პროფ. შ. ლომსაძის არქივში ბატონ ვახტანგ სუდაძის მიერ გამოგზავნილი მასალების სერია...

ჩვენ გვჯერა, რომ ვ. სუდაძის არქივის დარჩენილი ნაწილს გერმანიიდან აუცილებლად გამოუგზავნიან ახალციხეში მის შთამომავლებს და წინამდებარე წერილიც სრულ სახეს მიიღებს.

ამასთანავე, ძალიან დიდი სურვილითა და თხოვნით მივმართავთ ჩვენი მხარის მოსახლეობას იმის თაობაზე, რომ, თუ დამატებით რაიმე ცნობა გააჩნიათ მხარის ზეპირსიტყვიერებიდან ვ. სუდაძის მიერ დასახელებული ორი სახალხო გმირის – ბადალა ნებაძისა და ნიკოლოზ ჯვარიძის შესახებ, გამოგვეხმაურეთ გაზეთ „ლიტერატურული მესხე-

ПРОЗА

ჯაყელთა ათასი წელი

ჯაუელ - ათაბაგთა სამსეღრო თავგადასავალი

(ნაწყვეტი ისტორიული რომანიდან)

ქახაბერ ჯაყელი

(გაგრძელება. დასაწყ. იხ.№3-4

ბეშქენი

სულა ორი წლის ხდებოდა, როდესაც ლატავრა ჩორჩანელს მალემსრბოლი ენვია ჩორჩანის სასახლეში. დაღლილი იყო მესხეთის დიოფალი, ტახტზე წამოწოლილი ხელსაქმით გახლდათ დაკავებული. მის ფეხებთან ოქროსფერთმიანი სულა თამაშობდა. ლატავრა ფეხმძიმედ გახლდათ, რვა კვირიაკეში ელოდა იგი დაბადებას. მხნე ქალი ჩორჩანელთა, ბოლო ორი წლის მანძილზე, მრავალ სიმწარეს შესამჩნევად დაებერებინა კიდეც, ოდნავ ჭაღარა შეჰპარვოდა მის მძიმე დალალებს, თვალებ-ქვეშ მუქი არეები გასჩენოდა და როდესაც ვინმეს მიაპყრობდა თვალს, ამ უკანასკნელს თუ რაიმე დაფარული კაეშანი ჰქონდა გულს, უთუოდ დიოფალისათვის მოუნდებოდა ეამბნა და რჩევაც ეკითხა. ამიტომაც ლატავრას სახლის, ვერცხლის არწივებით მოოჭვილ კარიბჭეს, სამცხედან, ჯავახთა მხარიდან, ქართლიდან და ეგრისიდანაც მნახველები არ აკლდა. ჯერ ნათესავებმა დაიწყეს მობრძანება ჩორჩანის სასახლეში, შემდეგ ნათესავთა ნათესავებმა და მალე, მთელმა საქართველოს დიდებულებმა ლატავრა ბრძენ ქალად მიიჩნიეს. ბრძენს კი რა გამოულევს შეგონებას მოწყურებულს.

ბოლო ორ წელიწადს დაემძიმებინა და დაებრძენებინა სამცხის დიოფალის სული. ჯერ მამა მიიცვალა ქორწილიდან სამ თვეში. დიდი ჩორჩანელი, ლოგინად ჩავარდნილი იყო და მისი გარდაცვალება, თითქოსდა, არც მოულოდნელი გახლდათ, მაგრამ, უეცრად, თავს დამტყდარ მეორე უბედობას, ქვად ექცია ქალის გული. მამის გარდაცვალებიდან რამდენიმე კვირაში, ძმა მისი, თავად გიორგი ჩორჩანელი, დიდი მწყალობელი კაცი, მთელი მესხეთისა, წაეყვანა უფალს თავისთან.

— „ლოცვებში ჩაიფერფლა ჩორჩანელთა დიდი საგვარეულო“! — სწორად შენიშნა ერთმა სამძიმრის მთქმელმა. მთელი მესხეთი მოიცვა დარდმა, ჭეშმარიტად ქრისტეანი მთავრის, ახალგაზრდა გიორგის, ცათა სასუფეველში წაბრძანების გამო. ამ დროს მობრძანდა თავად სულმნათი მამა სერაპიონ ზარზმელი ჩორჩანის სასახლეში, დაიჩოქა წმინდანმა და ცხარე ცრემლით დაიტირა მიცვალებული. შემდეგ წამოდგა მამა სერაპიონი და დარბაზს უბრძანა:

— „ქართველნო, ტირილი აღარ გავიგონო მეტი, თქვენი, წაბრძანდა ყმა ღვთისა საუფლოში, ეს დიდი პატივი არ უნდა დავთმოთ, მხოლოდ იმისათვის რომ ქვითინისა და ღაღადის ვნებას დავემორჩილოთ“.

შემდეგ მოტრიალდა მამა სერაპიონი მოტირალი და, ამავე დროს, მოცინარი ლატავრასაკენ, პირჯვარი გადასახა მას და აუწყა:

— „შენ მიმიხვდი, მთავრის ასულო“,— დალოცა იგიც და დასტოვა ჭირისუფლები. ამის შემდგომ ლატავრა ქვითინებს და, ამ დროს, იცინის კიდეც, მის წინ ცისარტყელა რომ გადაიშლება, სწორედ მის სულში შემონათებას და დიდ იმედს უცინის დიოფალი და თვალებდახუჭული ევედრება უფალს, იესო ქრისტეს, ყოველთა ბედნიერებას და ყოველთა ქრისტეში აღსასრულს.

***

ბადრი მთვარე დადგომოდა არემარეს, სექტემბრის თვე იწურებოდა, როდესაც ნაბლის ხის სასახლეში უცხო ფეხოსანის ნაბიჯების ჩქამი გაისმა. ლატავრა იმ წამსვე მიხვდა, რომ სრულიად უცხოს მოეკითხა მისთვის. ჯერ იფიქრა, შეგონებებისა და დახმარების მსურველს ეპოვა დიოფალის სასახლის კვალი, მაგრამ, როდესაც მეორე სართულიდან ამომავალი მამაკაცი დალანდა, გული შეუქანდა ოდნავ, მაგრამ მაინც იმარჯვა ჩორჩანელთა ქალმა, იგი წელში გასწორდა, მამისა და ძმის სამთავრო ტახტს მიუახლოვდა და პატარა სულასთან ერთად ძირს დაეშვა. ბავშვი გაქცევას ლამობდა და დედას უძალიანდებოდა, მაგრამ, ლატავრამ, უეცარი შიში იგრძნო და პატარას ჩაუჩურჩულა: „დამიჯერე, იყუჩე სულა“, ბავშვი თითქოს გააოგნა დედის ხმამ და გაკვირვებულმა დედა შეათვალიერა, სწორედ ამ დროს კარი შემოაღო მოცისფრო ჯაჭვში გამოწყობილმა მალემსრბოლმა და ლატავრას წინ შედგა.

მალემსრბოლს წითელი წვერი ჰქონდა, მაშასადამე მაღრიბის ინით შეღებილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი წარჩინებული იყო, თვალებში მგლის გამჭრიახობა უელავდა, ხელში რაღაცას მალავდა და დიოფალს მიშტერებოდა. დიოფალის მშვენებას იგიც გაეოცებინა. ლატავრამ, ანაზდად, შიში იგრძნო, ამ უცხო კაცის წინაშე და სარკმლიდან ეზოს გადახედა. არც ერთი მსახური არ ჩანდა სასახლის შიდა ეზოში, ყველაფერი მწუხრს მოეცვა, სასახლის დაცვა კი, როგორც ჩანს, მშვიდობიან ჩორჩანელთა სასახლეს არც მთლად დიდი გულისყურით დარაჯობდა. ლატავრამ კვლავ მალემსრბოლს გახედა და გაოცდა, წითელწვერა და მგლის მზერით გამორჩეული სტუმარი, ცრემლებს ძლივს იმაგრებდა და მისკენ მოიწევდა.

— „მალემსრბოლო!..მომეცით ჩემი მეუღლის წერილი“, — უბრძანა მან უცხოს და საპასუხოდ მხოლოდ მგლის ყმუილის მსგავსი სიტყვები შემოესმა, მალემსრბოლი ბაზალტის იატაკზე დაცემულიყო და მწარედ ქვითინებდა. მისი ტირილი ადამიანისას არ ჰგავდა, იგი მგელ-ძაღლის ყმუილთან იყო დაახლოებული, ლატავრას სიბრალულის გრძობა გაუჩნდა ამ არსების მიმართ. იგი წამოდგა, სულა მკერდში ჩაიკრა და რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდა მოტირალს, შემდეგ მის გვერდით ჩაიმუხლა და ტყავის ჩაჩით შემკულ თავზე თავისი უმშვენიერესი თითები მიაბჯინა.

თითქოს ეშმას ცივი წყალი გადაასხესო, მოყმე ზეზე წამოიმართა, მის თვალებში მგლურმა გამოხედვამ ცეცხლის ალის ფორმა მიიღო... დიოფალი ამას ნამდვილად არ მოელოდა, მან უკან დაიხია და, მისკენ წამოსულ მომხვდურს, უმკაცრესი მზერა მიაგება... უეცრად, ლატავრას მოაგონდა, რომ ეს მოყმე, რამდენიმე წლის წინ, მამის მხლებელთა შორის ენახა. ისიც ეუწყა ლატავრას, რომ სწორედ ეს მხელებელი გაუჩინარებულიყო ჩორჩანის სასახლიდან და შემდეგ იგი ხაზართა ლაშქარში ენახათ ჩორჩანელ დიდებულებს. რა უნდოდა ხაზარებთან ნამსახურებს დღეს ჩორჩანში? ამ კითხვამ აანთო ლატავრას გული, უეცრად დამშვიდდა და აუღელვებელი ხმით უთხრა ამ უეცრად მოვარდნილ მამრს.

— „მე შეგიცანი შენ, მამაჩემის ამალაში მსახურობდი და შემდეგ გაუჩინარდი. ეხლა აქ რამ მოგიყვანა? თუ ელი რომელიმე წყლულის დაამებას, მოითმინე და მიამბე“.

კვლავ აყმუვლდა მომხვდური, სულ მთლად აუპილპილდა სახე, თვალებიდან ცრემლები გადმოჰყარა და ამის თქმა მოახერხა უეცრად:

„მმმეეე ददददმვალლეს მოჰკვლა მირიანისს, მმე მმოვედდი ददიოფფალლო, განმჰჰკკურნნეე მმე ეშმმმასაგან“.

ამ სიტყვებთან ერთად ირმის რქის ტარიანი ვებერთელა ბებუთი იშიშვლა მომხვდურმა და ზურგს უკან დამალული ტყავის აბგას უმალ შემოაჭრა თავი, იქედან შავი სისხლი გადმოსჩქეფდა და კაცის გაყვითლებული სახის ნაკვთები გამოჩნდა.

— „ეს თავი ჩემთან რად მოიტანე„? — თვალი მოაცილა აბგაში გახვეულ ნივთს ჩორჩანელთა ასულმა და მის უკან სამთავრო ტახტზე მჯდომ, გაოგნებულ სულასაც მიატრიალებინა თავი.

— „ესს ძმმაა ჩემმი, ამან მომცა ბრრრძაანება მოჰკკვლისა, ლატტავრავ, განმჰკკურნე, თორრემ ეეხლავ გაამოვიჭრი ყელს“, - ამოიდგა ენა მომხვდურმა და ბებუთი მკერდისაკენ წაიღო, მოამზადა მაჯა მოსაქნევად და კვლავ აყმუვლდა უცხოდ.

— „არ გაჰბედო, ქრისტეს სახლში შესული თავად ქრისტესთან სტუმრობს და მის მაგიდასთან ეწამება სიყვარულს. თავად მგელი ხდება კრავი და ასპიტი — მტრედი, ქრისტეს მადლით მორჯულებული. რჯულს ნუ შეაგინებ, რაც ჰქენი, ეშმასთან გიბრძოლია და რასაც აწი ქმნი, ქრისტესთან ერთად შექმნი, მომეც მახვილი ეხლავე და მე გიმკურნალებ, მომეც, ეხლავე, — მშვიდად თქვა ლატავრა ჩორჩანელმა და მომხვდურის გახურებულ, სისხლისაგან გასვრილ ხელს თავისი ხელი წაავლო. მომხვდურმა მოატრიალა მახვილი ლატავრასაკენ, თვალებით განგმირა ატირებული დიოფალი, მის თვალებში იგრძნო გულიდან წამოსული ძალა იმედისა და ნელ-ნელა დათმო მახვილი ხელიდან. ლატავრამ ეს მახვილი უმალ სარკმლიდან ეზოში გატყორცნა. მახვილი ქვებით მოკირწყლულ ბილიკზე დაეცა და ეზოში მყოფნი უმალ გამოაფხიზლა. დაცვა ამოძრავდა, ყველა დიოფალის სამყოფელისაკენ დაიძრა.

— „როგორ შემოაღწია ამ კაცმა დიოფალთან, ვინ არის?“ — გაისმა ხმა კიბეზე და ჩორჩანის სასახლის მშვიდობას შეჩვეული მცველები, ლატავრას დარბაზში, კედელში ჩაყოლებული კიბიდან ამოიჭრნენ.

ლატავრამ თვალი მოავლო საკუთარ მეომრებს, რომელთა სახეზე მომხვდურის მიმართ განრისხება აღბეჭდილიყო, და განრისხებულმავე შეხედა მის ნინ ათრთოლებულ, პირზე ხელაფარებულ მოყმეს, რომელიც თავის თავს ელაპარაკებოდა და ბრძანა:

— „სამკურნალოდაა მოსული ჩვენთან, ყოფილი მცველია მამაჩემისა“.

ერთმა, ჩორჩანის სასახლის მცველმა, ფეხი წინ წამოდგა, მომხვდურს დააკვირდა და თქვა: „ესაა უკიდურესად საშიში კაცი, მთავრის ასულო, ესაა ლასური, ხაზართა მონა-სპა, მათი მზვერავი. ვინ იცის, რა უდევს გულში“!

სწორედ ამ დროს, ლასურმა აბგა დააგდო მათ წინაშე და მცველებმა გაოგნებული მზერით იქედან გამოგორებული თავის თვალირება იწყეს.

— „ესაა მისივე ძმა, ასევე ხაზართა ასისთავი“! — ბრძანა მცველმა და სატევარი იშიშვლა, ასევე მოიქცნენ სხვა მცველებიც და ლასურს მივარდნენ.

— „შეჩერდით“! — უნდა ეყვირა ლატავრას, მაგრამ, უიარაღო ლასურმა რაღაც ხმამაღლა შესძახა და ყმუილითა და გოდებით ანთებულმა დაცვას შეუტია, ერთს გამოსტაცა სატევარი და ამ სატევარით მის წინ მდგომ მცველს, მიეჭრა, მაგრამ ეხლა, უკვე განრისხებული და გოროზი ლატავრა ჩორჩანელი, წამოიჭრა და განსაცვიფრებელი ხმით შეჰყვირა დაცვასა და ამ გაველურებულ კაცს:

— „დაიჩოქეთ ყველამ და ჩააგეთ მახვილი, თორემ, ჩორჩანელთა სახელს ვფიცავ, თავებს წაგაგდებინებთ. დაიჩოქეთ“! — ხმა აუწია მკაცრად.

ლატავრა ჩორჩანელმა იგრძნო, რომ, დედის მუცელში მჯდომარე ბავშვი ყველაფერს გლეჯდა და სამყაროზე მოვლინებას ესწრაფვოდა. ირგვლივ თვალი მოავლო არემარეს და, დინახა, რომ მის თავგანწირულ კივილს ნაყოფი მოეტანა, დაცვაცა და ლასურიც იატაკზე იყვნენ გართხმულნი.

— „ლასურ, ჩემი ბრძანებით, ერთი თმა არ ჩამოგივარდება თავიდან, თუ ინებებ, აქ, ჩორჩანში, დარჩენას, ხომ კარგი, ხოლო, თუ ინებებ წასვლას, წადი და ისევ მალე დაბრუნდი“! - ბრძანა ლატავრამ და ცრემლიანი თვალებით დააკვირდა მიწაზე გართხმულს, რომელიც, უეცრად, ფეხზე წამოიჭრა და დიოფალის კაბის კალთებს ეამბორა.

— „წავალ“! — თქვა ლასურმა, წამოდგა და ირგვლივ მიმოიხედა.

— „უზრუნველი წადი, მოძებნე მოძღვარი, მიდი მასთან და ეძებე შვება სულისა“, - დაამშვიდა ლატავრამ.

— „საიდან მალემსრბოლის ჯაჭვი“, — იკითხა დაცვის უფროსმა გაავებით.

— „ძმამ მომცა, მახვილთან ერთად“ — უპასუხა ლასურმა და მგელივით მიმოიხედა.

ჩორჩანის სასახლის დაცვის უფროსი კარიბჭემდე გაჰყვა ცისფერ ჯაჭვში გამოწყობილ ლასურს და უჩურჩულა:

— „გადაგვირჩი, ლასურ, დიოფალს უმადლოდე, იცოდე. წადი ეხლა და ჯაჭვი აი, იმ ლოდზე დადე“.

***

განსაცდელისაგან გადაღლილი ლატავრა, მამათა სახელგანთქმულ ტახტზე ჩამოჯდა და... „დედანო მომეხმარეთო“ შეჰკივლა. დედები უმალ მიიჭრნენ მასთან და გრძნობა დაკარგულ ქალს მოსულიერება უწყეს. თვალებ გახელილმა ლატავრამ მოათვალიერა წინაპართა სასახლის ჭერი და, დედათა ლოცვებით გაძლიერებულს, დაბლიდან ვიღაცის შეძახილის ხმა მოსწვდა ყურთ: — „გააღწია, ხოლო ჯაჭვი დასტოვა“!

— „გადარჩა“! — გაუელვა ლატავრას გონებაში და ტკივილმა დაამუნჯა. ცოტა ხანში ამ ქვეყანას მოევლინა ბიჭი, რომელსაც, მამის დანაბარების თანახმად, ბეშქენი დაარქვეს. გამთენიისას მალემსრბოლმა ჩორჩანის სასახლის საჯინიბო დატოვა და სპერისაკენ გაქუსლა.

ახალდაბადებულ ბეშქენს წაბლისფერი თმები, თაფლისფერი თვალები და მირიანის მსგავსი მკაცრი, ნინწამოწეული ნიკაპი ჰქონდა.

ლაკლაკი

როდესაც მესამედ შედგა ფეხმძიმედ დიოფალი ჩორჩანისა და სამესხეთოსი, სწორედ მაშინ უჩინარნი შურტნი მოედვნენ ქვეყანას ყოველი მხრიდან. არსიანის მთაზე, ერთ მაღალ მწვერვალზე, დაიბანაკეს შურტთა, რომლებიც იყვნენ კაცნი მსტოვარნი, მზვერავნი, უჩუმრად მკვლელნი და გარკვეულწილად, ძველი წ ესრიგის მაძიებელნიც. შურტებს ერთი მისია ჰქონდათ ძველი, დანგრეული და დაკარგული სალოცავები ცეცხლისა, უნდა მოეძებნათ და აღედგინათ იბერიაში. ლაშქრობა მიმალული ზორაოსტრას აღდგენისათვის მიეძღვნათ. საღოდებლებს აღადგენდნენ უჩუმრად, ერისთავთაგან დაფარულად, სოფელთაგან შორს, რადგანაც თავად ერისთავნი და ხალხი ქრისტეს მიმდევარი იყო.

არსიანის მთაზე, შემდგომ ერუშეთისა და მესხეთის ქედის კალთებზე, უძველესი საღოდებელისათვის მიეგნოთ შურტთა. თავად ცეცხლის თაყვანისმცემელთა ტაძარი დაქცეული იყო, მაგრამ მისი ნაწილები და მთავარი სტოა, ცისფერი ტუფით შემოსილი კედლები ბუჩქებსა და ძეძვებს დაეფარა. იქნებ სწორედ ამასაც გადაერჩინა ეს ჩამქარალი დიდება ცეცხლის ღმერთისა. შურტათა ათეულმა, სწრაფად, მოღუნული ხანჯლებით გაჩეხეს ბუჩქნარები, პირახვეული მუშაობდნენ რამდენიმე დღეს, სანამ ქანც-გამწყდარი ერთი შურტი იქვე არ ჩაიკეცა, საღოდებლის მთავარ საკურთხეველთან. მაშინ შურტთა მეთაურმა, რომლის სახელი თავად რაზმეულმაც არ იცოდა, ბრძანება გასცა ერთი დღე დაესვენათ.

მოიხსნეს შურტებმა პირბადეები და მაშინ კარგად გამოჩნდა მათი უმანკო ყმაწვილობა და დაღლილობისაგან ჩამქრალი თვალები. შურტთა ხელმძღვანელმა თავად არ ისურვა სახის გამოჩენა და ტაძარში წამოწვა, სადაც მალე მათ ის თიხის მილაკი უნდა გაეწმინდათ, საიდანაც, ჩაუქრობელი ღვთაებრივი ცეცხლისათვის საჭირო წვადი ბუნებრივი აირი უნდა მიეღო ტაძარს და წმინდა ცეცხლი აღგზნებულიყო.

მხოლოდ უფროსმა შურტამ იცოდა, საიდან მოდიოდა ღვთაებრივი წვადი აირი ტაძრისაკენ. მას რუქაც ჰქონდა, რომელზედაც ირანულად იყო აღნიშნული არსიანის ქედზე და მის ქვემოთ, სხვა ქედებზეც, შესაძლო სალოცავების ადგილსამყოფელი.

შურტას ნაბრძანები ჰქონდა, ერთ დღეს, ზორაოსტრას საპატივსაცემოდ, ერთ და იგივე წუთსა და წამს, აეგიზგიზებინა სამასამდე ჩამქრალი ცეცხლის ტაძარი და უეცრად მოექცია ქვეყანა უძველეს რჯულზე.

ამ დროს დაგეგმილი იყო ირანელთა ჯარის შემოჭრაც და ხალხის ერთობლივი მოქცევა მაზდეანურ რწმენაზე.

რუქაზე, საიდუმლო ნიშნებით იყო აღნიშნული რაღაც, მაგრამ მისი კითხვა არ შეეძლო უფროს შურტას. მხოლოდ ირანის შაჰის შთამომავლებს ჰქონდათ უფლება სცოდნოდათ ფარული ანბანი ერთ დროს სწორუპოვარი საჰაკ დიდისა და სასანისა.

შურტას ბევრჯერ უფიქრია თუ რას ნიშნავდა წვრილი, ყვითელი, თავწვრილა ასოები მის რუქაზე, მაგრამ, ამაოდ. ერთს კი მიხვდა შურტა, რომ შესაძლოა სწორედ ამ წარწერებში იყო მოხსენიებული, ერანის ძველი განძის ადგილსამყოფელი, რომელიც ერთმა სარდალმა — თუშანმა ბიზანტიასთან ბრძოლისას, საქართველოს მიწაზე დაფლა.

შესაძლოა ეს მახეც იყო, მოღალატე შურტის გამოსავლენად. ვინ იცის. თუ წარწერა მხოლოდ შესაძლო ხაფანგი იყო, შურტა მიხვდა თუ რა ელოდა მას და მის ოჯახსაც, სამხრეთ ირანში, თუ იგი რომელიმე ამ მაცდურ ხრიკზე წაიფორთხილებდა. ისიც მიხვდა, შურტამ რომ იმ ორმოებში, რომლებსაც განძისაკენ შეეძლოთ კაცის მიყვანა, შესაძლოა საშიში საიდუმლოებაც იმალებოდა და სწორედ ამიტომ შურტამ, შუბლზე მუშტის მიკაკუნებით, ერთ წამში მოიცილა აბეზარი აზრები და თიხის მილაკის ძებნას შეუდგა.

მიწაში ღრმად, აგებულ უძველეს კომუნიკაციაში იდო ცეცხლის მისაღებად საჭირო ბუნებრივი აირის, უძველესი თიხის მილაკის, ბოლო. შურტამ კარგად შენიღბული საგორავებელი კარიბჭე გადახადა მილაკს და მიხვდა, რომ იგი შორს, კლდის ფერდობისაკენ ეშვებოდა, შემდგომ, დაბლა, საიდუმლო გვირაბით, მდინარისაკენ იკარგებოდა.

იქ, შორს, მესხების სოფელი იყო. ვინ იცის, რამდენი კაცი და ქალი ხნავდა მიწას. შურტა მიხვდა რომ ბუნებრივი გაზის საწყისი ადგილი, საიდანაც იდუმალი მიწა, ამ უცნაურ, ფეთქებად ჰაერს ამოისროდა, სწორედ გურჯუბის სოფლის მიდამოებში უნდა ეძებნა. შურტამ ტუჩები მკაცრად მოკუმა, სახე დაეჯღანა. ეხლა რაღა უნდა ეღონა? როგორ მისულიყო იქ, ან კი რა ეთქვა გურჯუბისათვის? დაფიქრება მართებდა. სწორედ ამიტომაც შურტა მიწაზე დაჯდა, ხელები ძირს დაუშვა და ჩაფიქრდა.

ასე გაუნძრევლად იჯდა რამდენიმე ხანს, გულისცემაც კი შეუწყდა თითქოს შურტას, მედიდურად იჯდა, თავი ჩაექინდრა და აზრი დაეძაბა. სწორედ ამ დროს, მას მოაგონდა რა ასწავლეს მას, ნდობის მოსაპოვებლად. პირველი ხერხი გახლდათ ვაჭრად გადაცმა და ასე შესვლა, სიმაგრეთა შორის და წყობათა შინა, მაგრამ სად ეშოვა შურტას ისეთი საქონელი, რომლითაც მართლა ვაჭრად მიიღებდნენ უზრუნველი გურჯები მას და მის თანმიმყოლთ. სწორედ ამგვარი საქონლის არ არსებობის გამო, შურტამ მეორე აზრი მოუწონა თავის თავს და დასტაქარად გადაქცევა გადაწყვიტა.

აქიმები, დასტაქრები, შეუზღუდავად მოგზაურობდნენ ინდოეთიდან მომავალ აბრეშუმის გზის განტოტვებებზე და თავიანთ სიბრძნეს კიდევ უფრო ამდიდრებდნენ ახალი დაავადებების შეხვედრითა და მკურნალობით. შურტამ იცოდა დასტაქრობის კანონები, ესმოდა დაავადებების გამომწვევი მიზეზები და ისიც იცოდა, თუ რა უნდა შეემჩნია და რას უნდა დაჰკვირვებოდა ავადმყოფობის ხასიათისა და სიმწვავის დასადგენად.

(გაგრძელება იქნება)

ბონდო არველაძე

„ექვთიმე თაყაიშვილი – ქართველი ნესტორი“

აკად. გიორგი ჩუგინაშვილი

ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ არც თუ მცირე რაოდენობის მოგონება და გამოცემა არის, მაგრამ მისი უმწიკვლო პიროვნება და მეცნიერული მემკვიდრეობა ისე სრულად და ყოველმხრივ არსად ისე არ არის წარმოჩინებული, როგორც ახლახან გამოცემულ კრებულში _ „დიდი ექვთიმე“.

სარედაქციო კოლეგია და მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი როინ მეტრეველი, შემდგენელ-რედაქტორები – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფ. ნათელა ვაჩნაძე, **ბუბა კუდავა** და არჩილ კოხრეიძე.

კრებულში (700 გვერდი) შესული შრომების მთლიან განხილვას არ ვაპირებ, მხოლოდ მსურს მისი გაცნობა-წაკითხვის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი და აღძრული ფიქრები გავუზიარო მკითხველს. პირველ რიგში, ჩემი ყურადღება მიიპყრო კრებულის მოცულობამ და მასალის შერჩევის აკადემიურმა დონემ, რაც შემდგენელ-რედაქტორების ერთობლივი მუშაობის შედეგია. ეს არის ექვთიმე ღვთისკაცის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ნაშრომების კრებულად გამოცემის პირველი ცდა და აქვე ვიტყვი _ წარმატებულიც. მასში გამოქვეყნებული უცნობი ან ნაკლებად ცნობილი საარქივო მასალები ნათელს ჰფენს ექვთიმეს ბიოგრაფიის ბურუსით მოცულ ზოგიერთ მხარეს. აქ მკითხველი გაეცნობა აგრეთვე დაბრუნებული ეროვნული განძის ერთი ნაწილის ილუსტრაციებს. ერთი სიტყვით, მკაფიოდ იკვეთება ის მოწამეობრივი გზა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა გაიარა „განსაწმენდლიდან წმინდანობაზე“.

კრებული იხსნება დიდი ივანე ჯავახიშვილის მოხსენებით, რომელიც წაიკითხა 1918 წლის 21 მარტს ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე, რის შედეგადაც პროფესორთა საბჭომ ექვთიმე თაყაიშვილს არქეოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა.

„ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ წმინდისა ექვთიმესი“ _ ასეთი სათაური აქვს აკად. როინ მეტრეველის ნარკვევს. მასში მოთხრობილია „ექვთიმე ღვთისკაცის“ ბავშვობისა და ყრმობის, წინაპრებისა და ოჯახური გარემოს შესახებ, რომელიც საინტერესოდ იკითხება. ამას იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ აქაც და ექვთიმეს განსწავლულობა თხრობის მხატვრული ოსტატობით არის წარმოდგენილი.

ამავე დროს, არ ღალატობს აკადემიური ტაქტი, მოკლედ, მაგრამ ხატოვნად არის გადმოცემული ექვთიმეს ბავშვობის და სწავლის წლები _ ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სწავლას ქუთაისის გიმნაზიაში აგრძელებს. გიმნაზიის დამთავრები შემდეგ (1883 წ.) შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1887 წელს. 1887-1894 წლებში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ასწავლიდა გერმანულს და ლათინურს. 1894-1904 წლებში ამავე გიმნაზიის დირექტორია. ამ წლებში გაიცნო და დაუახლოვდა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს, რომელმაც მოძღვრის როლი შეასრულა და ახალგაზრდა ექვთიმე ჩაება ძველი ქართული ხელნაწერების მოძიება-შეკრების საქმეში.

კიდევ უფრო საყურადღებოა აკად. როინ მეტრეველის ნაშრომი „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“. მასში პირველად არის განხილული ასე სრულად ამ საზოგადოების დაარსება-არსებობის ისტორია. ეს საზოგადოება ექ. თაყაიშვილის თაოსნობით დაარსდა 1907 წელს. საინტერესო ფაქტია _ საზოგადოების დაფუძნების დროს, **1907 წლის 20 სექტემბერს,** მასში სულ 38 წევრი ყოფილა, **მაგრამ,** ამავე წლის 8 ნოემბერს, მოწვეული კრების შემდეგ, წევრთა რიცხვი 207-მდე გაზრდილა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულმა საზოგადოებამ გულთან მიიტანა ეს დიდი მამულიშვილური საქმე და აქტიურად ჩაება მის მუშაობაში. აბა, დააკვირდით, ახალი წევრები ვინ გახდნენ: ნიკო მარი, ვასილ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ივანე თარხნიშვილი, აგრეთვე ქართველი მწერლები: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ეკატერინე გაბაშვილი, ვასილ ბარნოვი, ნინო ნაკაშიძე, დავით კლდიაშვილი; ხელოვნების მუშაკები: დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი,.. **სასულიერო პირები: ეპისკოპოსი** ალექსანდრე, ლეონიდე, კირიონი, გიორგი, პეტრე, **არქიმანდრიტი:** პიროს ოქროპირიძე და დოსთეოს ბერძენიშვილი და სხვ.

დიდი ექვთიმე

აკად. როინ მეტრეველს აღნუსხული და გაანალიზებული აქვს ის გრანდიოზული დამსახურება, რომელიც მიუძღვის ექ. თაყაიშვილს ამ საზოგადოების მასშტაბური მოღვაწეობის ორგანიზებასა და საქმიანობაში.

1921 წლის 25 თებერვლიდან საბჭოეთიდან რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება აგრძელებს მუშაობას, მისი დამაარსებლის ექ. თაყაიშვილის გარეშე. იგი საქართველოს საგანძურს მცველად გაჰყვა საფრანგეთში. აქ კი უმძიმეს ეკონომიურ პირობებში აღმოჩნდა და საგანძურს საფრთხე დაემუქრა, მაგრამ ექვთიმე ღვთისკაცმა ეროვნული საგანძური უკლებლივ დააბრუნა საქართველოში.

1922 წლიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ივანე ჯავახიშვილი. **მიუხედავად ბოლშევიკური რეპრესიებისა, საზოგადოებას** ამ წლებში ახალი წევრები შეემატა: შალვა ამირანაშვილი, სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფურია, გიორგი ჩიტაია, ალექსანდრე წერეთელი, ალექსანდრე ჯანელიძე, გრიგოლ წერეთელი, მიხეილ პოლიევქტოვი, დიმიტრი გულია, ალექსანდრე ბარამიძე, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ლევან მუსხელიშვილი და იასე ცინცაძე.

აკად. როინ მეტრეველი საგანგებოდ აღნიშნავს, საზოგადეობა ყველა ზომას იღებდა ბოლშევიკი ათეისტების ხელყოფისაგან გადაერჩინა ქართული ეკლესიები და ძველი ხელნაწერები. ამაზე მოწმობს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში დაცული აკაკი შანიძისა და შალვა ამირანაშვილის მოხსენება სიძველეთა დაცვის კომიტეტისადმი: *„მასში* გადმოცემულია გურიაში ისტორიული ძეგლების დაცვაში შექმნილი ვითარება და მეცნიერთა მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიში. მოხსენებას თან ერთვის წამოღებული ნივთების სია და აღწერილობანი“, _ წერს აკად. როინ მეტრეველი. იგი აღნიშნულ შრომებში უფრო სრულად არის წარმოდგენილი ექ. **თაყაიშვილის** თავდადებული ღვაწლი *„საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“* მუშაობის უკეთ წარმართვის საქმეში. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ მოხმობილი მასალაც კმარა მკითხველმა ნათლად წარმოიდგინოს, რა განუზომელი წვლილი აქვს შეტანილი ექვთიმე ღმრთისკაცს ქართული ხელნაწერებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების გადარჩენისა და მოვლა-პატრონობის საქმეში.

აკად. როინ მეტრეველს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი „საკუთარ გამოცემაში შეტანილი შენიშვნები („ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ნუსხის ექვთიმე თაყაიშვილისეული მარგინალიები„). ექ. **თაყაიშვილის მიერ 1906 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ მარიამ** დედოფლისეული ნუსხა პროფ. ალ. ღლონტის წყალობით ხელში ჩავარდნია აკად. როინ მეტრეველს. ექვთიმეს ათეული წლების განმავლობაში მასში გაუკეთებია მინაწერები, შენიშვნები. როინ მეტრეველის დამსახურებაა ყოველივე ეს, მან პირველმა გამოიტანა დღის სინათლეზე შესაბამისი კომენტარებით და მოაქცია სამეცნიერო ბრუნვაში. დასკვნის სახით გვთავაზობს _ **„დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებას მემკვიდ**ვრეები ჰყავს არაერთი სახელმწიფო დაწესებულებებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახით. არსებობს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება და ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი. ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ერთეულისთვის სანიმუშო მაგალითია მისი წინაპრის წინამორბედი ორგანიზაციის _ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და მისი წევრების შემაერთებელი საქმიანობა ისტორიული წარსულის გამოწვლილვით შესწავლისა და, საერთოდ, ქვეყნის სამსახურისთვის“. ზუსტად არის ნათქვამი და ვერაფერს დაამატებ.

ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა **XIX-XX** საუკუნეებში _ მ.ბროსემ, პ.უვაროვამ, ი.ბართლომეიმ, დ.ბაქრაძემ, თ.ჟორდანიამ, ივ.როსტომაშვილმა, პლ.იოსელიანმა და სხვებმა თავიანთი გამოკვლევებით ნიადაგი მოამზადეს ქართული ეპიგრაფიკის გასავითარებლად, მაგრამ მათ გამოკვლევებს ტექნიკური ნაკლი, ფრაგმენტულობა ახასიათებდა და არც კუპიურებისგან იყო დაზღვეული და ა.შ.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მოძიებასა და გამოცემას სისტემატური, გეგმაზომიერი ხასიათი მისცა ექ. **თაყაიშვილმა და ეს დარგი მაღალ მეცნიერულ** დონეზე აიყვანა, რომლის მოღვაწეობა ამ სფეროში წარმოდგენილია პროფ. გ.ოთხმეზურის გამოკვლევაში _ *„ექვთიმე და ქართული ეპიგრაფიკა“*. **მას განხილული აქვს** ექ.თაყაიშვილის მიერ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა დაწყებული 1890 წლიდან, როცა მან გამოაქვეყნა იტრიის (**XVII-XVIII ს.ს.), ზემო ჭალის (XVI ს.) ლაპიდარ**ული და ჭედური წარწერები და არმაზის წარწერა (1897). ფასდაუდებელი მეცნიერული ღირებულებისაა ექ. თაყაიშვილის 1894-1900 წლებში. ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო მის ნაშრომს *„სომხეთ-საორბელოს ძეგლების წარწერები“.*

დღევანდელობის თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანია *„ახტალის ქართული წარწერები“* **(1901). პროფ. გ.ოთხმეზური საგანგებოდ აღნიშნავს** – „ახტალა არის ქართული საეპისკოპოსო ტაძარი, მხარგრძელთა საგვარეულო საძვალე, აგებულია მართლმადიდებელ ივანე მხარგრძელის მიერ (+1227). აქ არიან დაკრძალულნი ივანე და მისი ძე ათაბაგ ამირსპასალარი ავაგი (ავაგ-სარგისი). მისი პრიორიტეტია ის, რომ ჯერ კიდევ 1894 წელს მოინახულა ახტალა და პირველმა მიაკვლია და გამოაქვეყნა ახტალას სამონასტრო კომპლექსში შემავალი წმ.გიორგის და წმ.სამების ეკლესიათა ქართული წარწერები. აქ ნახა ქვა-ჯვარი ასომთავრული წარწერებით _ „ჯუარი ქრისტესი იორდანეს შეუნდვენ ღმერთმან, რომელმან ესე უხმარი ადგილი სახმარ ყაო“.

პროფ. გ.ოთხმეზურს მოტანილი აქვს აგრეთვე ექვთიმეს მიერ აღმოჩენილი არაერთი ქართული წარწერა. მათგან მოვიხმობთ რამდენიმეს: წმ.სამების ეკლესიაში მას მიუკვლევია კიდევ ერთი ქვა-ჯვარი წარწერით: *„ძლევაი ქრისტესი. ამა ადგილისა მაშენებელთა _ დემეტრეს, გიორგის და სვიმონ შეუნდვენ ღმერთო უფალო“.* ეს წარწერები თარიღდება **XIII- XIV** საუკუნეებით. **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVI-XVIII** საუკუნეებში, მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოს მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარებისა, საქართველოს მესვეურთა ძალისხმევით ლორე-ტაშირი მაინც ქართული სამეფოს და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში რჩებოდა _ „მეწინავე სადროშოს“ სომხით-საბარათიანოს შემადგენელი ნაწილი იყო. **„ბარათაშვილთა სამამულე** მფლობელობა აქ **XIX** საუკუნეშიც იქნა შენარჩუნებული. ექ. **თაყაიშვილის მიერ გამოვლენილი ბარათაშვილთა კუთვნილი დასაკეცი ხატის 1807 წლის მხატვრულ**ი წარწერის მიხედვით, ახპატი და მისი მიმდებარე ტერიტორია ბარათაშვილთა ერთ-ერთი განშტოების, ბარათაშვილ-ზურაბიშვილების მკვიდრთა მამულია“ **– აღნიშნავს პროფ. გ.ოთხმეზური.**

ასე ვრცელი ამონარიდი იმიტომ მოვიტანე, რომ, სამწუხაროდ, დღეს ერევანში აღმოჩნდნენ სომეხი მეცნიერები, რომელნიც კატეგორიულად უარყოფენ ლორე-ტაშირში არსებული ეკლესია-მონასტრების (ახტალა, ჰნევანძი, ქობაისი, ოსკიპარი და სხვ.) ქართულობას და ცდილობენ ისინი სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლებად გაასაღონ.

ქართული ტაძარში – ახტალაში დღეს სომხური წირვა-ლოცვა მიმდინარეობს!

პროფ. გ.ოთხმეზურს ვრცლად აქვს მიმოხილული ექვთიმეს მიერ მოძიებული და გამოქვეყნებული სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, გურიის, იმერეთის და ტაო-კლარჯეთის ქართული ეპიგრაფიკა. აღნიშნული გამოკვლევა ქართული პალეოგრაფიის მნიშვნელოვანი მეცნიერული შენაძენია.

პროფ. გ.ოთხმეზური დასკვნის სახით გვთავაზობს **„ექვთ. თაყაიშვილის დამსახურებაა ქართული** ეპიგრაფიკის, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი დისციპლინის ჩამოყალიბება. ექ. **თაყაიშვილის შრომები შეუცვლელი სამაგიდო წიგნები და გზამკვლევებია** არა მარტო სიძველეებით დაინტერესებულ ყველა მკვლევარისა და მოგზაურისთვის“.

მართლაც რომ ასეა, ღმერთმანი!

ექ. თაყაიშვილს და ქართული ხელნაწერების პრობლემებს ეძღვნება პროფ. მ. ქავთარიას ნაშრომი, რომელშიც გამოწვლილვით არის განხილული ექვთიმეს განუზომელი წვლილი ქართული მწერლობის, ისტორიოგრაფიის, ხელნაწერთმცოდნეობის გამდიდრება-განვითარების საქმეში.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისში დაბრუნებულმა ექვთიმე ღვთისკაცმა შეცდომად მიიჩნია ქართული მწერლობის მეზობელი ხალხებისაგან იზოლირებულად შესწავლა, ამას იგი თვლიდა პროვინციულობის გამოვლინებად. არადა, ამგვარი მეთოდით მოღვაწეობდნენ ძველი თაობის სწავლულნი – მ.ჯანაშვილი და თ.ჟორდანია. მათთვის მიუღებელი იყო ექვთიმეს (მას გვერდით ედგა ნ.მარი) **მიერ** ქართული

მწერლობის და ხელნაწერების შესწავლა-კვლევა მეზობელ ქვეყანაში ისტორიასთან კონტექსტში. დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო და მეცნიერებიდან პირად ცხოვრებაში გადაინაცვლა. ალბათ ამას გულისხმობდა ექვთიმე თაყაიშვილი 1935 წელს იროდიონ სონღულაშვილისადმი გაგზავნილ წერილში **„მაქ ხომ შენს გარდა არავინ მყავს, მეგობრობას ვინ ჩივის, რომ მტრულად არ იყვნენ განწყობილნი. მოხარული არიან, რომ მოვშორდი და თუ რამე გამიკეთებია, იმის ამოფხვრა და განქიქებას არაფერი ურჩევნიათ“.**ანალოგიურად ჩივის ნ.მარი, ოღონდ სომხების უმადურობის შესახებ 1910-იან წლებში ექ.თაყაიშვილისადმი გაგზავნილ ერთ წერილში. ნ.მარის წინააღმდეგ ამ დროს სომეხმა დაშნაკ-შოვინისტებმა წამოიწყეს მტრული კომპანია. საქმე იქამდეც მისულა, რომ მათ **ნ.მარის მოკვლაც კი გადაუწყვეტიათ, მაგრამ მას ქურთი მუშები დახმარებიან და** ანისიდან გამოუპარებიათ. გიუმრის რკინიგზის სადგურში მალულად ჩამოუყვანიათ, მატარებელში ჩაუსვამთ და გამოუგზავნიათ თბილისში. „სომეხმა დაშნაკმა-შოვინისტებმა ისე გამლანძღეს, რომ მტკვარიც ვერ გამრეცხავსო, – გულისტკივილით წერს ნ.მარი. სომეხი დაშნაკი შოვინისტების რისხვა ნ.მარმა „დაიმსახურა“ იმიტომ, რომ ანისში აღმოაჩინა ვრცელი ქართული წარწერა ეპიანე ეპისკოპოსისა, რომელშიც ლაპარაკია ანისის ქართველ სასულიერო პირებსა და გადასახადზე. სომეხი შოვინისტები არც მაშინ და არც ახლა ვერ ურიგდებიან იმ ფაქტს, რომ ანისის მოქალაქეების თხოვნით ეს ქალაქი დავით აღმაშენებელმა მუსულმანთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან გაათავისუფლა (1112) და იქ მესხი მეციხოვნეები დაასახლა. გამომდინარე აქედან, ბუნებრივია, იქ იყო ქართული მოსახლეობა და ეკლესია-მონასტრები. ყოველივე ეს მაშინ (**XX** საუკუნის **10**-იანი წლები) დაშნაკ შოვინისტებს გულზე ეკლად დაესოთ და არც დღეს ეჭაშნიკებათ მაინც და მაინც, ეს ისტორიული ფაქტი.

ექ. თაყაიშვილმა სამართლიანად დაიმსახურა „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის“ სახელი. **ამის დასტურია მისი** მრავალდარგოვანი მეცნიერული მემკვიდრეობა. მასში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული მწერლობის კვლევის საქმეს. მისი ამ დარგში მოღვაწეობა პირველად სრულიად წარმოადგინა პროფ. **ნ.სულავამ** ნაშრომში *„ქართველი მწერლობის მკვლევარი“.* **მასში განხილულია ექ.თაყაიშვილის მიერ ჩატარებული საკვლევაძიებო და საგამომცემლო მუშაობა დაწყებული 1891 წლიდან, როცა მან გამოსცა** *„მოქცევაჲ ქართლისაჲ“.* პროფ. ნ.სულავას ნაჩვენები აქვს ექ.თაყაიშვილის ღვაწლი ძველ-ქართული მწერლობის ძეგლების, კერძოდ, **„ვეფხისტყაოსნის“, „აბდულმესიანის“, „როსტომიანის“, „ქილილა და დამანას“ შესწავლის საქმეში.**

ექვთიმეს მეცნიერული კვლევის საგანს შეადგენდა აგრეთვე „სიბრძნე ბალაჰვარისა“ და **XVII-XVIII** საუკუნეების სხვა ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლები.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, ექ.თაყაიშვილის ძველი ხელნაწერების კვლევით დაინტერესება მის სიყრმის მეგობარს ნიკ
მარს უნდა უმადლოდეს.

→

პროფ. ნ.სულავამ რამ-

ჯიჯი ეკვითიე

დენიმე მიმართულებით დაყო ექვთიმეს ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი მოღვაწეობა. ნაშრომში განხილულია ექ.თაყაიშვილის მიერ საოცრად ნაყოფიერი მუშაობა საქართველოს სიძველეებში, კერძოდ, კოლექციებში დაცული ლიტერატურულ თხზულებათა შემცველ ხელნაწერთა მოძიება, მათი გადატანა სამუზეუმო ფონდებში და კატალოგიზაცია. ამ მიზნით მთელ საქართველოში ეძებდა ძველ ხელნაწერებს და წიგნებს.

ექ. **თ**აყაიშვილმა აღწერა **S** ფონდის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდი და გამოსცა ორ ტომად (ტ.1, 1902-1904; ტ.2, 1906-1912). ეს არ იყო უბრალო აღწერა – „Какое же это описания? Это настаящее иследования“ – **უთქვამს ნიკო მარს, როცა ეს ტომები უნახავს.**

პროფ. ნ. სულავას შემდეგ ჩამოთვლილი აქვს ექ.თაყაიშვილის მიერ მიკვლეული ძველი ხელნაწერი: „პარხალის სახარება“ გადაწერილი 973 წელს იოანე ბერაის მიერ. ექვთიმემ გამოსცა თავისი აღმოჩენილი *„ხელმწიფის კარის გარიგება“* და სხვა. სადაც განხილული აქვს აგრეთვე ექ.თაყაიშვილის რუსთველოლოგიური მოღვაწეობა. აქვე წარმოდგენილია ექვთიმეს ღვაწლი „ქილილა და დამანას“ ქართული რედაქციების კვლევა-ძიების საქმეში. დ.კარიჭაშვილთან ერთად მოამზადა ნ.ბარათაშვილის თზულებათა კრებული და ა.შ.

პროფ. ნ.სულავა ბოლოს აკეთებს მართებულ დასკვნას: **„ექვთიმე თაყაიშვილის ლიტერატურათმცოდნეობით სამეცნიერო შრომებს ვერცერთი** ფილოლოგი-მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის“.

სრული სიმართლეა!

ახალი საარქივო მასალის სიუხვით გამოირჩევა პროფ. ო.ჟორდანიას ნაშრომი *„კავკასიის საისტორიო-არქეოლოგიური ინსტიტუტი და ექვთიმე თაყაიშვილი“*. **ამთავითვე უნდა აღინიშნოს** – კავკასიის საისტორიო-არქეოლოგიური ინსტიტუტი იყო პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, რომელმაც თავის გარშემო გაერთიანა კავკასიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი. ინსტიტუტი დაარსდა ნიკო მარის ინიციატივით და მისი შედგენილი გეგმით 1917 წელს დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

ო.ჟორდანიას აღნიშნულ ნაშრომში მის მიერ მოძიებული საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია ინსტიტუტის სტრუქტურული აღნაგობა და გაწეული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

ინსტიტუტის დირექტორად აირჩიეს ნ.მარი, მდივნის მოვალეობის შერულება დაევალა ზოოლოგიის მაგისტრს ალექსანდრე შჩეპოტოვს. ექ.თაყაიშვილი აქტიურად ჩაება ინსტიტუტის მუშაობაში. **„პირველი ოქტომბრიდან გიმნაზიას თავი დავანებე და ეხლა ინსტიტუტს ვემსახურები და მის მიზანს“** , _ წერდა ექ.თაყაიშვილი 1917 წლის 7 ოქტომბერს ნ.მარს.

1918 წლის 3 მარტს ბრესტის ზავის თანახმად, ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქები ოსმალეთის ხელში გადავიდა. ოსმალეთმა სამშვიდობო მოლაპარაკება ჩაშალა და კავკასიის ფრონტზე საომარი ოპერაციები განაახლა: „მდგომარეობა აქ ჯოჯოხეთურია, ყოველმხრივ საფრთხე მოდის, ქართლ-კახეთში და რკონის გზებზე ანარქია და სისხლის ღვრაა“, _ წერს ექვთიმე 1917 წლის მარტში კვლავ ნიკო მარს.

პროფ. **ო.ჟორდანიას** საარქივო მასალის განხილვის საფუძველზე განხილული აქვს როგორი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა სომხეთის ძველი დედაქალაქის _ ანისის ისტორიული მემკვიდრეობა, სადაც, ათეული წლების განმავლობაში, არქეოლოგიურ გათხრებს ეწეოდა ნ.მარი. ექ.თაყაიშვილს სასწრაფო ზომები მიუღია ანისის სიძველეთა კოლექციისა და ბიბლიოთეკის გადასარჩენად. 1918 წლის მარტში გაუგზავნია დ.გორდეევი და მხატვარი ს.პოლიტარეკი. **დ.გორდეევს ანისის მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექცია გიუმრის** (მაშინდელი ალექსანდროპოლი) ბანკი უნდა გადაეტანა. 1 აპრილიდან კი მათ დასახმარებლად მივლინებული იქნა ა.კალანტაროვი. ევაკუაცია უმძიმეს პირობებში მიმდინარეობდა. ეროვნული საბჭოს მოთხოვნით ევაკუირებული ნივთები გადატანილი იქნა სანაინში, ხოლო ნუმიზმატიკური კოლექცია, მეტი უსაფრთხოების მიზნით გიუმრიდან გადატანილი იქნა თბილისში და გადაეცა ე.თაყაიშვილს. მის შესასწავლად ექვთიმემ მოიწვია ცნობილი ნუმიზმატი ე.პახომოვი **(1896-1965).**

ექ.თაყაიშვილმა, მოგვიანებით, ანისის საგანძური დაუბრუნა სომხეთის ეროვნული საბჭოს რწმუნებულს ე.ლალაიანცს სომხეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დასაბინავებლად.

პროფ. ო. ჟორდანიას მართებულად აქვს აღნიშნული: **„კავკასიის საისტორიო-არქეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებმა სიცოცხლის რისკის ფასად შ**ესძლეს გადაერჩინათ სომეხი ხალხის ისტორიული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ფასეულობანი“.

აქვე დავამატებ _ ეს გაკეთდა ექ. თაყაიშვილის უშუალო ინიციატივით და ორგანიზებით.

რა სამწუხაროა, დღეს ზოგიერთი სომეხი მეცნიერი ექვთიმეს ამ ამაგს და თავდადებას სათანადოდ არ აფასებს...

მიუხედავად ეკონომიკური და ფინანსური კრიზისული მდგომარეობისა, ინსტიტუტს დიდი გეგმები ჰქონია სამეცნიერო პერიოდული სერიების შექმნისა. საქართველოს სერია: *„ქართული ხელოვნების ძეგლები“*, *„ქართული* ეპიგრაფიკის ძეგლები„; სომხეთის სერია: *„სომხეთის ხელოვნების ძეგლები“, „სომხეთის ეპიგრაფიკული ძეგლები„;* ანისის სერია: „ანისის სიძველენი„; კავკასიის საისტორიო-არქეოლოგიური ინსტიტუტის „მაცნე“ და ა.შ.

ინსტიტუტმა ფინანსური სიდუხჭირის მიუხედავად, მაინც მოახერხა და გამოსცა *„ანისის სიძველენი“* **(1918), კავკასიის მუზეუმის „მაცნე“ – სერია – ბ – 1 („Записыи Кавказского музея 1919„), დაიბეჭდა ნ.მარის ცნობილი ნაშრომი** *„სარდურ მე-2-ის, არგიშტის შვილის წარწერა დაშათ-კერპში, ჩილდირის ტბასთან“*, **გამოიცა აგრეთვე კ.კეკელიძის ნაშრომი** – *„ქართული ჰაგიოგრაფიული* ძეგლები“ **(I** და **II** ტომები, 1918).

მადლიერების გრძნობით უნდა აღინიშნოს ოლივერ უორდროპის ქველმოქმედება, რომელსაც 1920 წლის დეკემბერში ინსტიტუტისთვის გადაუცია 20 ათასი ქართული ბონი.

პროფ. ო. ჟორდანიას სასახელოდ უნდა ითქვას, ამ ნაშრომით ქართველ საზოგადოებას გააცნო კავკასიის საისტორიო-არქეოლოგიური ინსტიტუტის და მისი თანამშრომლების მნიშვნელოვანი წვლილი კავკასიის ხალხთა ისტორიის კვლევის საქმეში.

პროფ. **ნ.** ვაჩნაძის ნაშრომია *„კოლექტიური მეხსიერება: ქართველ წმინდანთა „ადგილი სამარხოჲ“ თურქეთში“*. აქვე ვიტყვი: ამ ასპექტით უფრო უპრიანი იქნება ითქვას დანახული ტექსტი *„ცხრა ძმა კოლაელთა წამებისა“*, არ მახსენდება, ვინმეს გაეკეთებინოს.

დიახ, მართალს ბრძანებს პროფ. ნ.ვაჩნაძე, საქართველოში თანაბარი ინტერესით ეკიდებიან ბავშვებსა და ზრდასრულთ, ასაკი ამ შემთხვევაში არ უშლიდა ხელს მათ წმინდანად შერაცხვას, განსხვავებით დასავლეთ ევროპული საზოგადოებისაგან. რაც მთავარია, ბავშვებს განიხილავენ, როგორც „პატარა ზრდასრულთ“ და ყურადღებას არ აქცევენ საზოგადოების რომელი ფენის წარმომადგენელნი იყვნენ. „ცხრა ყმა ასაკისანი არიან „... გინა უფრო, გინა უმცრო“.

პროფ. ნ.ვაჩნაძე აქ უკვე ივ.ჯავახიშვილს მოიშველიებს, რომელიც წერდა: **„ეს მარტვილობა თუმცა ძალზე მოკლე**დაა სვინაქსარისებური სიმარტივით აღწერილი, მაგრამ, ბევრის მხრით, საყურადღებო ძეგლად უნდა ჩაითვალოს. მისი ავტორი არა ჩანს, არც ამ თხზულების შედგენის დროის შესახებ მოიპოვება რაიმე ცნობა. **თვით ძეგლიც,** ჯერჯერობით, **ცნობილია მხოლოდ ერთი ათონის ქართველთა მონასტერში დაცულ ხელნაწერთაგან“.**

ეს სიტყვები დაიწერა 1916 წელს და აგერ საუკუნე ხდება და ერთი ნაბიჯითაც ვერ წავი-

დასასრული მე-6 გვ. ▶

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ეფონიდეს საგანგებო წერილი ნოე ჟორდანიასადმი

დიდად პატივცემულო ნოე ნიკოლოზის ძევ!

ტელეფონოგრამით, რომელიც თქვენი სახელით გადმომცა ტრიფონ ჯაფარიძემ ნოემბრის 26-ს, თქვენ მითვლიდით: „დღეს ან ხვალ ქუთაისიდან დაბრუნდება ჩემი რწმუნებული და მაშინ დაწვრილებით გეცოდინებათ გელათის ამბები“. დღეს, დეკემბრის 5-ს, თქვენი რწმუნებული, კარგა ხანია, დაბრუნდა და თბილისში იმყოფება, მაგრამ მე მაინც ღირსი არ გავხდი თქვენგან აღთქმული ცნობების მიღებისა! დღეიდან ეს ცნობები აღარ მჭირდება, მე უკვე მივიღე სრულებით საიმედო წყაროდან საჭირო ცნობები მთელი სისრულით.

ვცდილობ მივხვდე, რამ გაიძულა თბილისიდან რწმუნებულის გაგზავნა გელათში მონასტრის განძეულობის გადმოსატანად. ვერ მიმხვდარვარ, ვერ გავრკვეულვარ, ეს რა ჩაგიდენიათ და როგორ აგიყირავებიათ ყველაფერი. უეჭველია, თქვენ მიმითითებთ სოციალ-დემოკრატების გაზეთებში მოყვანილ ცნობაზე, გელათის მონასტრის ვითომდა ბერებისაგან გაძარცვის შესახებ, მაგრამ ეს საბუთები არ გამოგადგებათ, რადგანაც, დღეს, ჩვენში, სამი წლის ბავშვმაც კი კარგად იცის, რა ღირებულებების და სისწორის ცნობებიც იბეჭდება ეკლესიებზე სოციალისტების ორგანოებში...

... ნუთუ ჩემი მდგომარეობა, როგორც საქართველოს მთელი მორწმუნე მოსახლეობის მამამთავრისა და დროული საზოგადო მოღვაწისა, საბუთი არაა თქვენთვის იმისი, რომ არაფერი ანგარიში არ გამიწიოთ, ჩვარივით მთელოთ და, ჩემდა სრულებით დაუკითხავად, ზიდოთ ტომრებით თქვენს ძირგავარდნილ ხაზინებში, ვითომ და დასაცავად, სასწაულმოქმედი ხატები, ჯვრები, წმინდა ნაწილები, შესამოსლები, ბარძიმ-ფეშხუმები და სხვა. არც სიცოცხლე, არც გონება და არც მორწმუნე ერისაგან მინიჭებული უფლებამოსილება, ღვთის მადლით, ჯერჯერობით არ დამიკარგავს და ვერ გამიგია, რომელი უფლებით გინებებიათ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის კვერთხის აღება ხელში და ბრძანების გაცემა, ასეთი რამეების გადმოტანა გელათის მონასტრიდან, რასაც მორწმუნენი მუხლს უყრიან, წმინდა სანთელს უნთებენ და, თუ ეხებიან, მარტო მხოლოდ და მხოლოდ დიდი კრძალვა-მოწიწებით, ამბორის ყოფით, ისიც, სამღვდელო პირთა დახმარებით და არა სხვა რომელიმე სახით. განა თქვენ გქონდათ ან დღეს გაქვთ იმის საბუთი, რომ შეიარაღებული მილიციონერების რაზმით შეჭრილიყავით მონასტერში ცნობის მიუცემლად და სრულებით დაუკითხავად ქუთაისის ეპარქიული მწყემსმთავრისა, რომელსაც ასეთი თქვენი საქციელით პატივისცემას უკარგავთ და საზოგადოების თვალში სახავთ ნდობა დაკარგულ საეჭვო პირად?

თქვენ შეუფერხებლად შეეხეთ და შეურაცხყავით მორწმუნეთა სინდისი, იმ ხალხისა, რომელიც ეკლესიის ეზოდან გამოსული ფეხს იბერტყავს, წმინდა ადგილის მტვერი არ გამყვესო, რომელიც ეკლესიის ეზოში ნაპოვნ ლურსმანს ხელს არ ჰკიდებს, ღვთისა არისო. თქვენ აბუჩად იგდებთ, როდესაც მის სალოცავ და სათაყვანო წმინდა ნაწილებით სავსე ხატებს, ჯვრებს და ბარძიმ-ფეშხუმებს ტყემლის ტყლაპეების ყუთებში აყრევინებთ უბრალო ნაირების მსგავსად თქვენგან გაგზავნილ საერო პირებს. განა ეს, თქვენის მხრით, სხვისი სვინდისის შეგინება არ არის მორწმუნეთათვის და ბრძოლაში გამოსაწვევი ხელთათმანის გადაგდება არ არის? ნუთუ თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ამგვარ პროფანაციას მორწმუნე ქართველობა აპატიებს და შეარჩენს ვინმეს?! სასტიკად ცდებით.

გელათში დანთებულია თქვენგან ისეთი ცეცხლი, რომელიც, თუ ეხლავე, თქვენივე ხელით არ ჩააქრეთ, სულ ჩქარა ცაში ავარდნილი გრანდიოზული ჭია-კოკონა წითლად შეღებავს მთელ საქართველოს არემარეს და ამ კოცონის გარშემო მომუშავე ქრიატიანებს გვერდში ამოუდგებიან მაჰმადიანი ქართველებიც, რომლებიც ხმამაღლა გაიძახიან: სოციალისტები თავიანთი ჯურის ეკლესიას რომ სპობენ, განა ჩვენ კი სიკეთეს დაგვაყრიან, ჩვენ კი არ შეგვიბილწავენ მეჩეთებსა და ყურანს?

თქვენ გაგეცინათ ამაზე, მაგრამ, მოგახსენებთ, რომ თქვენი გაცინება თუ რისხვა არ აჩერებს არც მტკვარს და არც სხვა რომელიმე მდინარეს.

თქვენგან უსამართლოდ უფლება აყრილი, შეურაცხყოფილი
კათოლიკოს-პატრიარქი ეფონიდე

◀ დასაწყისი გვ. 5 ,6

ჯიჯი ევგენიევ

წიეთ წინ. „ცხრა ყრმა კოლაელთა“ კვლევის საქმეში _ მართებულად შენიშნავს პროფ. ნ.ვაჩნაძე. იგი, ამასთანავე, მოითხოვს: **„უწინარეს ყოვლისა,** უნდა ჩატარდეს კოსმოსური გამოკვლევები, რომლის შედეგად სრულად გადაიშლება ხედი, მოიხაზება საზღვრები, განისაზღვრება მასშტაბი და სხვა. საჭიროა სოფელში შესვლა და მოხუცების ჩაწერა, ამისთვის, ბუნებრივია, იქონიოთ ამწერი აპარატურა და, რაც მთავარია, გახლდეთ თურქული ენის საუკეთესო მცოდნე“.

ვიდრე ამგვარი შესწავლა ჩატარდება, ტოპონიმი საკმაოდ ვრცელ გზას გვიხსნის შორეული წარსულისკენ, იგი შედეგია კოლექტიური მეხსიერების, რომელმაც შემოგვინახა ამბავი გარდასულ დღეთა... გაქვავდა და ადგილის სახელად იქცა. ახლა ამ გაქვავებული ამბის ამეტყველების დროა...

ექ. თაყაიშვილის ცხოვრების ერთ ეპიზოდს გადმოგვცემს პროფ. ა.კოხრეიძე _ *„ოღონდ განძეული გადარჩენილიყო“*. **ნარკვევი ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი და იკითხება დიდი ინტერესით. მკითხველის თვალწინ კინოკადრებივით გაივლის ის თავდადებული ბრძოლა, რომელიც ექვთიმე ღმრთისკაცმა გადაიტანა ეროვნული განძის გადასარჩენად** უცხოეთში: ინვალიდი, ეკონომიურად უკიდურესად შეჭირვებული ექვთიმე, ვაჟკაცურად იცავდა განძს და იგერიებდა ეროვნულ სიმდიდრეს დახარბებულ შინაურ თუ უცხოელ მტრებს. ამ ბრძოლაში მხარში ედგნენ ბიზნესმენი გრ. ბერიძე, ისტორიკოსი ზ.ავალიშვილი და სხვ.

ახალი საარქივო მასალების საფუძველზეა აგებული ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ერეკლე ჟორდანიას გამოკვლევა *„ქართული განძის დაბრუნების დოკუმენტური ისტორია“*. მასში აღწერილია განძის დაბრუნების მართლაც დოკუმენტური ისტორია. ყველა საბუთზე ვერ შევჩერდებით, მათგან გამოვყოფ 1945 წლით დათარიღებულ საარქივო დოკუმენტს. ეს არის სსრკ-ის შინაგან საქმეთა კომისრის ლ.ბერიას და სსსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომისრის ვ.მერკუროვის მიერ საკავშირო კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ი.ბ.სტალინისადმი მიწერილი ერთობლივი მოხსენებითი ბარათი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიისა და პროპაგანდის მდივნის პ.შარიას პარიზში მივლინების შესახებ *„საქართველოდან 1921 წელს გატანილი სამუზეუმო ფასეულობათა მიღებისა და მათი სსრკ-ში დაბრუნების მიზნით“*.

ლ.ბერიასა და ვ.მერკუროვისაგან პ.შარიას ჰქონია დავალება – განძის დაბრუნების საკითხის გარკვევის პარალელურად პარიზში უნდა შეხვედროდა ქართველ ემიგრანტების ლიდერებს და გაერკვია მათი პოზიცია:

„ამჟამად პარიზში ქართველ ემიგრანტთა სამი ჯგუფია:

ა). ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი (მენშევიკები).

ბ). სპირიდონ კედია ჯგუფი **(ეროვნულ-დემოკრატები)** და იოსებ გობეჩია *(ესერი);*

გ). ირაკლი წერეთელი, მიხეილ არსენიძე *(ჟორდანიას ჯგუფის ოპოზიცია).*

ბ ჯგუფის ყველა ხელმძღვანელი აღიარებს სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის უპერსპექტივობას. ასევე განწყობას არ მალავენ საზოგადოებაშიც.

გამონაკლისი მარტო აკაკი ჩხენკელია, რომელიც ისევ ანტისაბჭოთა პოზიციაზე დგას დღესაც.

პარიზის ქართველ ემიგრანტთა ხელმძღვანელებისთვის ცნობილია, რომ ემიგრანტ-პროფესორის ექ.თაყაიშვილის საშუალებით ამხ. შარიას გადაეცემა განძი.

ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, იოსებ გობეჩია, სპირიდონ კედია შეხვდნენ ამხ.შარიას.

ჩვენი მითითების თანახმად, ამხ. შარია ნოე ჟორდანიას და ევგენი გეგეჭკორს შეხვდა, როგორც კერძო პირი.

მოგვაქვს ამხ. შარიას, ნოე ჟორდანიას და ევგენი გეგეჭკორის საუბრის ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაგმენტები:

1.ჟორდანიამ საუბარი დაიწყო საბჭოთა დემოკრატიის კრიტიკით. არ არის სიტყვის, ბეჭდვის და არჩევნების თავისუფლებაო.

ჟორდანია შეეხო აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ომს.

ჟორდანიამ განაცხადა: „ომი სტალინმა მოიგო. მე მას ვთვლი უდიდეს ადამიანად. სისულელეა პოლიტიკური უთანხმოების გამო უარყო სტალინის სიდიადე. ისტორია კიდევ უფრო მეტს იტყვის მისი გენიალობის შესახებ. ისტორია გაიხსენებს მისი მოღვაწეობის მხარეებს, რომელიც შეუმჩნეველია დღეს...

რუსი ხალხი ახალგაზრდაა. იგი თავის გარშემო გააერთიანებს სლავიანურ ერებს, მაგრამ საკითხი ის არის, მცირე ერების მიმართ შეინარჩუნებს თუ არა ჰუმანურ პოლიტიკას. ასე თუ ისე, საქართველომ ორიენტირი რუსეთზე უნდა აიღოს... ჟორდანიამ აღიარა ქართველი ემიგრანტების ბრძოლის უპერსპექტივობა სსრ კავშირის წინააღმდეგ. მან ხაზი გაუსვა სსრ კავშირის სახელმწიფოებრივ ძლიერებას და განაცხადა, „ის ბედნიერი იქნებ თუ მას ნებას დართავენ, დაბრუნდეს სამშობლოში... მიანიშნა, მზადაა პრესაში გამოვიდეს დეკლარაციით მენშევიკების იდეურ-პოლიტიკური კრახის შესახებ“...

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნოე ჟორდანიას ეჭვი გამართლდა _ *„საკითხავი ის არის, რუსეთი მცირე ერების მიმართ შეინარჩუნებს თუ არა ჰუმანურ დამოკიდებულებას“.*

მართლაც, რუსეთმა დღეს საბოლოოდ მოიხსნა ნიღაბი და გამოჩინა თავისი ჭეშმარიტი ბუნება. სოციალიზმს იოლად შეელია, მაგრამ იმპერიალისტურ ამბიციებს _ ვერა! სისხლის ზღვა დააყენა და მოახდინა საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას ოკუპაცია, მათ წაართვა ტერიტორიების გარკვეული ნაწილი, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გადაწყვიტეს ნატოსა და ევროპულ სტუქტურებში გაერთიანება...

ევგენი გეგეჭკორმა აღიარა ქართული ემიგრაციის პოლიტიკური კრახი და აღნიშნა _ ემიჯნება ანტისაბჭოთა ელემენტებს და, მათ შორის, აკაკი ჩხენკელის პოზიციას.

ევ. გეგეჭკორი შეეხო რა მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, აღნიშნა _ „ქართველი მენშევიკების ლიდერების საბჭოთა კავშირთან ბრძოლის მთავარი ფაქტორი იყო არა სოციალური, არამედ ეროვნული საკითხი. მათ საქართველოს დამოუკიდებლობა დასავლეთის რომელიმე დიდი სახელმწიფოს მფარველობის გარეშე ვერ წარმოედგინათ, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა გვიჩვენა „ამ თეორიის მცდარობა... საქართველოს გზა რუსეთთან ერთად არის. ჩვენი მხრიდან სიბრიყვე იქნება ახლა ვებრძოლოთ საბჭოთა კავშირს“...

მოხსენებითი ბარათი აშკარად ბერიას კარნახით არის დაწერილი, სტალინს რაც ესიამოვნებოდა, შინაარსიც ისეა შედგენილი. მენშევიკების მიმართ სიმპატიას ვერავინ დამწამებს, მაგრამ, საეჭვოა, ნოე ჟორდანიას, ან ევგენი



გეგეჭკორს, პეტრე შარიასთან პარიზში შეხვედრის დროს ეთქვათ _ თითქოს მენშევიკური პარტიის ემიგრაციამ იდეურ-პოლიტიკური კრახი განიცადა და მზად არიან ამის შესახებ პრესაშიც განაცხადონ; ანდა _ ჟორდანიამ აღიარა თავისი შცდომა, როცა საბჭოთა დემოკრატია შეადარა ბურჟუაზიულს. ჩვენ არასარწმუნოდ გვეჩვენება აგრეთვე, თითქოს ჟორდანიამ გამოთქვა სურვილი – *„ბედნიერი იქნება თუ მას სამშობლოში დაბრუნების ნებას* დართავენ“.

ვინ, ვინ და ნოე ჟორდანიამ ყველაზე უკეთ იცოდა სტალინის დაუნდობელი დამოკიდებულება ოპონენტების მიმართ, **ესეც არ იყოს, საქვეყნოდ იყო ცნობილი სტალინური რეპრესიები.**

სტალინმა ტყვედ ნამყოფი ჯარისკაცები არ დაინდო და ციმბირში უკრა თავი. ამის შემდეგ ნოე ჟორდანიას _ მის პოლიტიკურ ოპონენტს არ გაუსწორებდა ანგარიშს თუ ხელთ მოიგდებდა?..

მართალია ქართველი ემიგრანტები აღფრთოვანებულნი იყვნენ, მათი თანამემამულის – სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირმა რომ გაიმარჯვა ფაშისტურ გერმანიაზე და ეიფორიაში მყოფთ საქართველოში დაბრუნების სურვილი გამოუთქვამთ, მაგრამ ნოე ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი ზედმიწევნით იცნობდნენ სტალინს და არა მგონია ეიფორიის გავლენის ქვეშ მოქცეულიყვნენ და საქართველოში დაბრუნების სურვილი ეუწყებინათ პ.შარიასთვის. დრომ აჩვენა, რომ ისინი მართალნი აღმოჩნდნენ. პოლიტიკურმა მოღვაწემ სამსონ ფირცხალავამ დაუჯერა საბჭოთა პროპაგანდას და დაბრუნდა, მაგრამ, მოკლე ხანში, ციმბირის გზას გაუყენეს და მოხუცმა სად დალია სული არავინ იცის.

ერთი სიტყვით, მოხსენებითი ბარათი კიდევ ერთი დოკუმენტია იმის, რომ ბერია მომენტს არ უშვებდა ბელადისთვის ესიამოვნებინა და მისი ნდობა უფრო განემტკიცებინა. ამიტომ მისთვის ყველა ხერხი მისაღები იყო, პირველ რიგში მაამებლობა და მლიქვნელობა.

ერეკლე ჟორდანიას ეს გამოკვლევა პირველი ნაწილია, საინტერესოა მეორე ნაწილი რა იქნება და, კიდევ, რა ახალ საარქივო მასალას მოგვაწოდებს მკვლევარი.

ექ. თაყაიშვილის მიერ თამარ მეფის საფლავის ძიების ისტორიას გადმოგვცემს პროფ. ჯაბა სამუშია. როგორც ირკვევა, ექ. თაყაიშვილს წლების განმავლობაში უმუშავია გელათის მონასტრის სიძველეთა შესწავლაზე. მის არქივში გელათზე საკმაოდ დიდი მასალა ყოფილა დაცული შესაბამისი ილუსტრაციებით. მას მოცემული ჰქონია როგორც მონასტრის კომპლექსში შემავალი მთავარი ტაძრის, ასევე წმ.გიორგის ეკლესიის მხატვრული არქიტექტურული ანალიზი. დეტალურად ჰქონია განხილული ფრესკები და ლაპიდარული წარწერები და სხვ. როგორც ეტყობა, მასალას ცალკე გამოსაქვეყნებლად ამზადებდა. **ამის შესახებ ავტობიოგრაფიაშიც ლაპარაკობს: „გელათის სიძველეებიც გამოუცემელი დამრჩა, თუმცა,** ხელნაწერიც მაქვს და ფოტოსურათებიც. ერთ მათგანზე გადაღებულია **მ**არგალიტგაყრილი ქოშები, ისინი რომელიაც ეპისკოპოსის ნაქონი უნდა იყოს (ეცვათ ხოლმე ასეთი ქოშები) და ჩვენებური ნაზღაპრის წყალობით კი მაინც და მაინც თამარ მეფის ქოშებადაა მიჩნეული. ასე სჩვევია ხალხს (თამარ მეფის საფლავისა არ იყოს, ყველგან რომ ის ეგულებათ)“!

ჯაბა სამუშია ფიქრობს, სწორედ გელათში მუშაობის ჟამს უნდა შეეტყო ექ.თაყაიშვილს იმ ტრადიციის შესახებ, რომელიც თამარის საფლავთან დაკავშირებით მონასტერში და იგი იზიარებს პროფ. ივ. ლოლაშვილის დადგენილ თარიღსაც. ექ.თაყაიშვილს გათხრა დაუწყია 1920 წლის 26 ივლისს.

თამარის ეკვდერში უნახავს ერთი აკლდამა, სოფელშიც ოთხი მიცვალებულის ნაშთი ყოფილა. ამის შემდეგ მას მუშაობა შეუწყვეტია და აღარ გაუთხრია თამარის ეკვდერში მოთავსებული სხვა საფლავი. ავმა ენებმა, თურმე, ექვთიმეს ცილი დასწამეს, გელათის საფლავებში ოქროს ეძებსო.

პროფ. ჯ.სამუშია ბოლოს წერს: _ „პირადად ჩვენ, გელათში, თამარის აკლდამის შესწავლისას გვიამბეს, რომ მუშაობისას, შესვენების ჟამს, იქ მყოფთ წაუკითხავთ გელათის ჩრდილოეთ მინაშენის კარიბჭეში დაკრძალული ზაქარია ქვარიანის საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერა: **„+ ღმერთო,** შეიწყალე კათალიკოზი ზაქარია. ესე საფლავი ჩემი არის და ვინცა ეს ჩემს უკან გახსნას, შეჩვენებულ იყოს“. ამ წყვლა-კრულვის გამო მუშებს შეშინებიათ და თამარის ეკვდერში გათხრები შეუწყვეტიათ. სამწუხაროდ, ამ გადმოცემის სისწორე ვერ გადავამოწმეთ. ფაქტი ერთია, დიდი სამზადისის მიუხედავად, დღემდე, დაუდგენელ მიზეზთა გამო, ექვთიმე თაყაიშვილმა გელათში გათხრები შეწყვიტა. თამარის საფლავის საიდუმლო კვლავ ამოუხსნელი რჩება.

„წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი“ _ ასეთი თემა დაუმუშავებია პროფ. ს. ვარდოსანიძეს. ნაშრომი იწყება საქართველოს ერთი ყველაზე ტრაგიკული ისტორიის ფონზე: **„აღ**ა-მაჰმად ხანის მიერ გადამწვარ და ნახანძრალ თბილისში კვამლი არ იყო გამქრალი, როცა ერთმორწმუნე მფარველის დროშით შემოსულმა რუსეთმა ჯერ ქართლ-**კახეთის, ხოლო შემდეგ,** იმერეთის სამეფოები გააუქმა, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრები იძულებით რუსეთში გადაასახლა, 1811-1814 წლებში გააუქმა საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფლია...“ – **წერს სერგო ვარდოსანიძე. ერთი სიტყვით, დაიწყო კოლონიური რეჟიმის უმძიმესი ხანა, სასტიკად იდევნებოდა** ეროვნული ღირებულებები, საჭირო იყო ეროვნული თავისუფლების შენარჩუნებისა და განვითარების ახალი გზის ძიება. პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ექ. თაყაიშვილი, გვერდში ამოუდგა ილია ჭავჭავძეს და თერგდალეულებს და შეუდგა საქართველოს ისტორიის მივიწყებული ფაქტების შესწავლას: „ექვთიმე თაყაიშვილი საოცარი მოვლენაა საქართველოს ახლო წარსულში, მისი მოღვაწეობა მრავალმხრივი და ფასდაუდებელი მოკიაფე ვარსკვლავი იქნება საქართველოს ისტორიაში“ – **უთქვამს აკ.შანიძეს ექვთიმეს დასაფლავების დროს** თავის გამოსათხოვარ სიტყვაში.

სერგო ვარდოსანიძეს შემდეგ მოცემული აქვს ექვთიმეს კონკრეტული საქმიანობა ქართული ხელნაწერებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების ნიმუშების გადარჩენის საქმეში. ტაო-კლარჯეთში ექვთიმეს მოგზაურობას **1917 წელს** აქაური ქართველობა სიხარულით ხვდებოდა და მასთან ერთად ექსპედიციის წევრებს იქ მყოფი ოლთისის, ჩანგლის ქართველობა ხელ-ფეხს უკოცნიდა. მათ არა მხოლოდ ძველი ეროვნული ჩვევები გამოავლინეს, არამედ ვინმე-ვინმეს სახლებსა და ღობე-ყორეებში მოქცეულ ნათებობათა ქვებიც კი გამოაღებინეს და ადგილ-ადგილ დაუბრუნეს, – იგონებს ექ.თაყაიშვილი.

პროფ. ს. ვარდოსანიძეს არაერთი უცნობი საარქივო მასალა მოაქვს, რომლითაც მტკიცდება, რომ ექ.თაყაიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნის საქმეში. ექვთიმე იხსენებს: „გადავწყვიტეთ, დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა, თან უნდა წაგვეღო ბაირაღები და პლაკატები წარწერით: „აღვადგინოთ ავტოკეფალია“!

პროფ. ს. ვარდოსანიძეს მოაქვს ექვთიმეს რამდენიმე მიმართვა ნოე ჟორდანიასადმი, როცა მენშევიკები მოექცნენ საქართველოს სათავეში, მთავრობის სახით. მათ არც აცხელეს და არც აციოვეს და ქართული ეკლესიის ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს. ნაშრომში მოტანილია აგრეთვე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლეონიდეს სამი მიმართვა ნოე ჟორდანიასადმი. მისი უწმინდესობა ლეონიდე მას სთხოვდა ჩამორთმეული საეკლესიო ქონება დაბრუნებოდა მის პატრონს _ ქართულ ეკლესიას.

პროფ. ს. ვარდოსანიძემ ეს წერილები და ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა უცნობი საბუთები არქივში ნახა და მოახდინა მათი პირველი პუბლიკაცია.

ნაშრომში მოკლედ, მაგრამ სრულად არის ექ.თაყაიშვილის მარტვილობა უცხოეთში გატანილი ქართული ეროვნული საგანძურის გადასარჩენად. მისმა ამ თავგანწირვამ შედეგები გამოიღო და 1945 წლის 11 აპრილს ეროვნული საგანძური დაუბრუნდა მის პატრონს _ ქართველ ხალხს. განძს თან ჩამოჰყვა ექვთიმე ღმრთისკაცი. **ს.ვარდოსანიძის ნაშრომი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „2002 წლის 17 ოქტომბერს შედგა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს** კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. წმინდა სინოდმა დიდი მეცნიერი და მამულიშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის მებრძოლი, ეროვნული საგანძურისა და სიწმინდეების გადამრჩენელი, უღმრთოთაგან დევნილი ექვთიმე თაყაიშვილი შერაცხა წმინდანთა დასში, უწოდა მას „ექვთიმე ღმრთისკაცი“ და მისი ხსოვნის დღედ 3/13 იანვარი დააწესა.

სამართლიანობამ იზეიმა!

პროფ. ს.ვარდოსანიძის აქტიური მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ მსურს ცოტა მეტი ვთქვა: იგი მონოგრაფიულად იკვლევს ქართველი კათალიკოს-პატრიარქების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიას.

აი მოკლე ჩამონათვალი: *„საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II“, „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე“, „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი“* და სხვა.

ავტორია აგრეთვე 200-ზე მეტი გამოკვლევის და სტატიის.

კრებულში შესულია მ.სანაძის, ქრ. შარაშიძის, ვ.ბერიძის, გ.ლორთქიფანიძის, ო.ჯაფარიძის, ი.მეგრელიძის, ლ.ნერეთელის, ნ.ჯავახიშვილის, მ.კალანდაძის, ი.ფუტკარაძის, რ.ლაბაძის, ე.კავლელიშვილის, ხ.თოდაძის და სხვათა მოგონებები და შრომები.

კრებულის შემდგენელის და მთავარი რედაქტორის აკად. როინ მეტრეველის ფრიად პროდუქტიულ სამეცნიერო და საგამომძიებლო მოღვაწეობაზე მოწმობს მისი შრომების მოკლე ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, მონოგრაფიები: „დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში“, *„გლახაკები“, „დავით აღმაშენებელი“, „მეფე თამარი“, „ისტორიზმი ქართველ მწერალთა შემოქმედებაში“* და სხვ.

აკად. რ. მეტრეველის რედაქტორობით გამოვიდა კრებულები: *„საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები“, „საქართველოს მეფეები“ (აკად. მ.ლორთქიფანიძესთან თანაავტორობით), იგი* ავტორია 300-მდე გამოკვლევის და სტატიის.

კრებული – **„დიდი ექვთიმე“,** – აკად. როინ მეტრეველის ინიციატივით და ძალისხმევით გამოვიდა და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „ექვთიმე ღმრთისკაცის“ ბიოგრაფიისა და მემკვიდრეობის სრულად წარმართვის საქმეში.

მერაბ ბერიძე

სლესის ციხესთან

სლესის ციხესთან დამათენდა
ნისლების ჩრდილში,
მოქცევთან ვხვრიპე წყალი ჩემი
ნაკალმახარი,
კოშკებს ავხედე, დავითრგუნე,
თრგუნვა რაც არი,
ვიდექი, როგორც სამცხის გულში
მტკვარი დამდგარი.
ვიდექ, ვიძლიე, უმთენაროდ
დილა დამეწვა,
დალეწილ კედლებს თანაუგრძნობს
ლანდი აწყურის,
პირუბანელი, მურიანი მზეც კი
დაბერწდა,
რიჟრაჟის პირზე დაუკარგავს
ვაზის ნაჟური.
კაკლის ტოტებში გახლართულა
დილა ცრიატი,
ჩემივე კივილს დასწევია
შორი ძახილი,
ამ ოხრობაში მჭირს ტკივილი
იმ განთიადის,
კახპა ქალივით რომ დამდგარა
კაბაგახდილი.
არსაიდან ხმა, მხოლოდ ჩუმი
ისმის ვედრება,
რატომ გაგვიცვდა ხმლის პირი და
ვადა გაგვიტყდა?
ვიცი, ხვალ ზევით ეს ყვირილიც
დამეყვედრება.
ეშმაკთან მივალ საკუთარი სულის
საყიდლად!
P.S.
რად მებუტები, სლესის ციხის მძიმე
ქონგურო,
რად დამიმალე საკუთარი შენი ნისლები?
ძალიანა გთხოვ, ამ სისხამზე არ
დამემდურო,
ჩემი დასჯისთვის ასე მკაცრად ნუ
გაირჯები!
შენთან მომყავდა დილის მზესთან
შესავედრებლად
ვარსკვლავეთისთვის წილნაყარი გზის
ანგელოსი,
ურა კვიცებით მოვდიოდით მარად
მხედრებად,
ფიქრი მოგვდევდა გარდასული
საქართველოსი!

მტკვარი

კალმახს ვუთვლიდი წინწკლებს
ციმორის ტუჩის ქებით,
მტკვარი იკლებს და იკლებს
ნაპირს გამოსხდნენ ქვები.

ძეწნებს მოსწყურდათ წყალი,
დარუებული მტკვრისა,
რაც იყო, აღარ არის
მილიონობით წლისა.

პაპის ნაქონი ნავი
ჭერში შემოსდეს წაღმა,
მტკვრის ბინადარი წავი
მშრალზე დაგლიჯა ძაღლმა.

აღარც ფაცერი გვინდა,
არც სათხეველი ბადე,
არაფერი გვაქვს წმინდა,
გული ვერ უძლებს ამდენს.

მამის აჩრდილი დამდევს,
გეტყვით მის ნათქვამს ყველას,
თუ კაცები ხართ სადმე,
მტკვარს, მტკვარს უნდაო შველა.

ჯავახეთის ფერიცვალება

ფერიცვალების თვე დადგა,
ჯავახეთს ფერი ეცვლება,
ხავსმოდებული ლოდების
მღრღნის უჩვეულო შეგრძნება.

ავაზნის თავზე ბალახებს
გაუჭანგიათ ქვის პირი,
უპატრონობით დაღლილი,
წყარო წინაპრებს მისტირის.

წელში გახრილა დიდპაპა,
დაცალებული დიდედით,
პურის მადლივით ალალთან
ჩვენ სალოცავად მივედით.

ჯერი დამდგარა ზღაპრების,
დევებთან შეჭიდებისა,
ამას კი ვერვინ წამართმევს,
ვერავინ მეცილებისა.

თოკის თავს აბაშიძეთა
ციხენი უშენებიათ,
ხიზაბავრელთა ნადიმი,
ერეკლეს ომში ხლებია.

ჯავახთა ნამუხლს გავყევი,
საროს ქვა-ლოდის მზირალი,
შეტოკებული ჩანჩქერი,
ხიზის ხევების ძირ არი.

ობოლეთის ტყის ჩრდილებში,
შიშმა კინაღამ დამძალა,
იქნებ ტაძართან დავკარგე,
ის სიყვარულის სამსალა.

რომლისთვის დრონი არ ბჭობენ,
არავის ედავებიან,
ჩემგან წასულად ვფიქრობდი,
ის აქამომდე მხლებია.

ტყეს თაიგული რად უნდა,
მინდორს - ტკბილ-მწარე ჩურჩული,
მისით შეივსო ფერდობი,
თხილნარით გადაბუჩქული.

სერაპიონ ზარზმელის გახსენება

სერაპიონთან ერთად ვილოცე,
ვანთე სანთელი ღამის ნიავზე,
ვერ მოვიშალე სულის სიმორცხვე,
მუხლთ მეკეცება დილის წირვაზე.

სათახვის ტბაში თახვი მომსპარა,
ნადირს მირეკენ მონადირენი,
ვიღაცამ ღამით წუღა მომპარა,
ყველანი ცოდვით გავიწირენით.

ჩორჩანის ხევებს საზღვრავს გიორგი,
სოფელს დასცქერის ციხე სახიერ,
ვეღარ გაუძლებს გული სიბორგილს,
ლოცვას აღავლენს მოგვთა მაგიერ.

მერე ვირბინე ბერებთან ერთად,
მასპინძლად დამხვდა ბრძენი იაი,
გლახის სამოსით ამაღლდა ღმერთად.
განგმირული და განუგმირავი.

წარმართსაც თვისი წილი აქვს მადლი,
მონადირეთაც შიათ ნადირი,
იქნებ ბავშვივით მათაც თუ გაზრდი,
იქნებ თუ ექნათ მათაც სადილი,

მაშინ მოსთხოვეთ სულისთვის ზრუნვა,
მაშინ გავუღოთ საჩეხის კარი
და არასოდეს არ განიკურნა
ზარზმა ხეციდან დაუვიწყარი.

ზანავის ციხის ძირებს ვეფერე,
ენძელის ფერი დამიდგა დარი,
აქ წაიჩოქა ჩემმა სიბერემ
და გაზაფხული გულს ჩავიკარი.

ჰა, თებერვალი რიგში ჩამდგარა,
ხვალეც იქნება ნაცნობი ღელვა,
ზამთრის თეთრონი სადღაც გამქრალა,
ზამთარმა ჰუნე ვეღარ აგელვა!

ჯავახეთის ხევი

ჯავახეთს დასჯილ ნისლები
მტკვრის ხევში ჩამოუყრია,
მე კი მარტის თვით ვივსები,
აბულს ზამთარი უპყრია.

ლოდთან მიმალულ ენძელას,
აღარ ეყოფა საგზალი,
დაშრა ფარავნის ხევგრძელა,
თევზი დაღლილა ნამგზავრი.

გაღმიდან ვიღაც იძახის,
ყვირლად ქცევია ცხოვრება,
განცდა ველური სიმძაფრის
გზას დარდად შემოევლება.

რა უნდა გაზაფხულის მზეს,
რად ტირის ზამთარგავლილი?
ან ეს ლოდკაცა რად მიმზერს?
ქვის გული უდევს ნამდვილი!

პატარა ფიფქი დამყვება,
პატარა ნიავს ნაჩვევი,
ამ სულელს გიჟს და თავნებას
ცეკვა-თამაშში ავყევი.

ჯავახეთის ლოდნარებო,
ნანისლო და ნაკარკალნო,
სანამ უნდა მეგარემოთ,
მაციოთ და მაკანაკლოთ?!

მთვარის გზა

ვისი გზა მიდის ტაძრის კარისკენ,
ვიღაცა რომის ირჩევს მისადგომს,
მე გზა მთვარისკენ ყვითლად გავიხსენ,
მეტყვიან ღამის ჟიკჟაკ სხივთა მდომს.

არეულ ფიქრთა დასალაგებლად
ზეცას სჯობია ემასლაათო,
შუაღამის მზე, მზე უწვალებლად
დაგაოკებს და ნატვრით დაგათრობს.

ლაღი, უკადრი ჩემი მთოვარე
მიეფერება სულის ქარაფებს,
ვით მასპინძელი სუფრის მოვალე
შუქს ასცდენიხარ და გამხდარხარ
ღამის მეხოტბე.

დღეს უმზეოა, არ ივსება მთვარე ეული,
ცოტას გავაფრენ და უკუღმა დავთვლი
საათებს,
მერე კი ღამის სათრეველად ლანდად
ქცეული,
სახეს შევიცვლი, სიბნელესთან
ვიმასლაათებ.

შემოდგომა

აუცილებლად, უჭველად გამოიდარებს,
ჯერ ხომ არ ვიცით, შემოდგომის რომ დგას
სურნელი!
მოდით, მივენდოთ ამ საოცარ ნისლებს
და ქარებს
უნდა გავკურნოთ ოცნებები განუკურნელი.

მოვა ყვითელი სექტემბერის ბოლო
დღეები,
გვიან ყვავილებს მივეფეროთ,
მივუალერსოთ,
შორით მოსული დავაპუროთ გულღრძო
დევები,
ნიშა ხარების დასაკლავი დანა ავლესოთ.

ეშმაკებთან ვქნათ ის ნანატრი დიდი
ქორწილი,
თორემ უაზრო სამეზობლო ვერას გაიგებს,
დავცალოთ თასი სატანისგან თუნდაც
მოწვდილი,
მერე ცოდვანი შევავედროთ არსთა
გამრიგეს.

და რადგან უკვე ჩამოიქცა ჩამოსაქცევი,
საშემოდგომო გამოდარების დადგა
ნიშნები!

შეხვედრის ადგილს დააქარაგმებს.

ჩემი გზა მთვარის გულისგულს გადის,
არ მიჯერებენ იაიები,
თავს ჩამოვიხრჩობ სხივებზე რამდის,
გავხდები მათგან დასატირები.

მერე ხომ ყველა ირწმუნებს ნათქვამს,
რობოტის ფიქრი დამედევნება,
ნაშუაღამევს სამყარო შთამთქავს
დავრჩები ლანდი და მოჩვენება.

***

„რაღაა იგი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელია“

რუსთაველი

ახლა ღამეა, ღამის თვალებს თვალს
ვერ ვუსწორებ,
ღრუბლის ნათრევი მთვარე ხრამში
გადაჩეხილა,
სილუეტები გაქრობიათ ალვებს და
წნორებს,
რა საცოდავი გათენდება ალბათ ეს დილა.

შემომაკვდება გუშინდელი ოცნების აზრი,
ამბავი ესე ყველამ იცის, ძველზე ძველია,
ამ საცოდავი სინათლისა, ტანშიც
კი გაგცრის,
და გაგაოგნებს, თუ არ ახლავს
უკუნ-ბნელია.

სინათლეს როცა გაურბიხარ და
ბნელს ესწრაფი,
ატყობ, შეხვედი, გასცდი ყველას და
შორს შეტოპე,
ხედავ, გაწყვეტილს არ ებმება ამ ძაფს
ის ძაფი,
ასე მოსულა, ამ ყველაფერს ვერ
გავექცევით,
ასევე მიდის ზამთრის პირის დიდი შიშებით.

მკაცრი ლოგიკა კაცთა მოდგმას ამას
გვავალებს,
ეს ნაღდი ვიცი მე, შეფერილ ფოთოლთან
მდგომმა,
რომ შევუყვებით საზამთრო გზის ლამაზ
თავალებს,
საარყე ქვაბში ჩაემხობა ეს შემოდგომა.

ცოდან მინაზე

მინდა უაზროდ ვვლო და
ვერიდო ცაში ცქერას,
ვიცი სულ მალე სულში
ქარბუქი დაუბერავს.

ვიცი მოვიწყენ ისევ,
შემოდგომურა ტყეზე,
რა ჩიტის გული ჰქონდა,
იტყვიან, ალბათ, ჩემზე.

ისევ ჩავყვები ხევებს,
ლიკლიკა წყაროს პირებს,
ავედევნებით ნიავს,
შვლის ნუკრთან დავიძინებ.

სიზმარში პეპლებს ვნახავ,
ციცინათელებს ვეტრფი,
ჭიამაიას ვუქშევ,
რომ არ დავადგა ტერფი.

ასკილს და კუნელს შევთხოვ,
გამომაზამთრონ მადლით,
ვემშვიდობები ზაფხულს,
წლებს გაზაფხულზე დავთვლი.



„ჯოკონდა“ ნისლმოფენილი

ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდასთან“ რომ წარსდგებით, მაშინვე სურათის იდუმალი კოსმიური განწყობილების წინაშე აღმოჩნდებით. აღელვებულს, აღფრთოვანებულს და აღტაცებულს ტანში ჟრუანტელი გივლის, უცხო სულიერი ფორმით გახელებული ადამიანი შენს თავს არ ეკუთვნი. „ჯოკონდა“ ნებისმიერ დროში ხილვისას საწყისი წუთებიდანვე უცაბედად ანთებულ ვარსკვლავად შემოდის შენში. მისი სახის განწყობილება, მოწმენდილ ცაზე მზის ამოსვლასავით უცნაურად გეპარება. ეუმზერ, დიდი მხატვრების: ტიციანის, ვერონეზეს, ტინტორეტოს, პაოლო უჩელოს, პიერო დელა ფრანჩესკოს და მრავალ სხვათა მეგობრულ გარემოცვაშია ის (რაფაელი, ბოტიჩელი და ჯორჯონე მიმდებარე დარბაზებშია ექსპონირებული) – მიდიხარ, ვითომ, ჩვეულებრივ შედევრთან, მაგრამ, დროთა ჟამში, მისი საოცარი მხატვრული ზეძალა ნელ-ნელა გიზიდავს. „ჯოკონდასთან“ ნახევარსაათიანი გამთლიანებისას, თითქოსდა, აღქმის ბოლო შესაძლებლობას ამოწურავ, ხის მოაჯირზე ხელებს მორჩილად დაანყობ და მონუსხული მოთმინებით უყურებ და იწყება სიღრმისეული „ჯოკონდა“, შენს წინ თითქოსდა სასწაულებრივად ამოდის და იბადება კოსმიური ბურუსიდან, სამყაროს და შორეული გალაქტიკების ნისლიდან. დიდმა ვაჟა-ფშაველამ ბრძანა: „ნისლი ფიქრია მთებისა“. „ჯოკონდა“ კი კოსმიური ნისლი და ფიქრია უსასრულო სამყაროსი. „ჯოკონდაში“, ტექნიკური და მხატვრული შესრულების ხერხებიდან გამომდინარე, არ კითხულობ, მძაფრსა თუ მკვეთრ ხაზებს, ფერთა ინტენსიურ გამმას, დინამიურ ღაქებს, მძიმე ან გადამეტებულ მძლავრ ფორმებს. სულ სხვა და მაღალმხატვრული მოძრაობაა აქ თავმოყრილი. შეუმჩნევლად, ამომავალ, გასაოცარ მზესავით, ნელ-ნელა იხსნება შენში, ღრმადმორწმუნე ადამიანში, როგორც ღმერთი ჩასახული; ასევე ჯოკონდაც – ნებისმიერი ეროვნების და სარწმუნოების ადამიანშია გათავისებული; „ჯოკონდა“ პირველი დანახვისთანავე შთამბეჭდავად გიმზერს და ღიმილით გეგებება. სურათული მზერა სულ სხვაა „ჯოკონდასი“: თითქოსდა, უცნაურად გარინდულაო (ეს ხომ ყველა შედევრისთვის დამახასიათებელი თვისებაა), თვალდაუხრელი გიმზერს ჯიუტად და უდიდესი ძალისხმევით გიპყრობს კოსმიური ზემოქმედებით. ასე ყურებით შენს სულს გახვრეტს და ლაზერის სხივივით გაივლის, მერმე გონებას ეტაკება და დაწყობილსა და საღ აზროვნებას მიგიფანტ-მოგიფანტავს. ვგრძნობ, თავის ქალიდანაც გააღწია და მტკივნეულ კეფას გასცდა.

სურათში ფერწერის უსაზღვრო შესაძლებლობებით მიღწეულია უფაქიზესი და უნაზესი ტონალური ნიუანსების არნახული გარდამავლობა. როდის და როგორ დაიწყო, როდის და რა დროს დაამთავრა ავტორმა პორტრეტი, ყოველივე ეს ქვეყნიერების გაჩენასავითაა გასაიდუმლოებული. სულ შეკუმშული უმზერ ჯოკონდას და დროთა სვლაში გრძნობ, თუ როგორ ადამიანურ, ღვთიურ სუნთქვას იწყებს პორტრეტი. ის სუნთქავს უხილავი კოსმოსის უწმინდესი გულმკერდით. კოსმიური, ტონალური ბურუსიდან და უფლისმიერი ბუნებიდან მოჟონავს მისი ზეადამიანური სასწაულმოქმედება. ყოვლის მფარველი უფლის სახება და ყოველგვარი ღვთიური თვისებებია ჯოკონდაში გაცოცხლებული. ხაზი, ფორმა, ფერი, მხოლოდ დიადი მხატვრულობის შემდეგ იკითხება, მაგრამ ძალიან უმნიშვნელოდ. სურათის ურთულესი ტექნიკური მხარე უსასრულო მხატვრულ სიმაღლეთა წარმოსახვის სამსახურშია ჩაყენებული... პორტრეტი, თითქოსდა, ცისარტყელასავით წარმტაცი, ამავე დროს მიუკარება, ხელშეუხებელი და საკვირველად შორეულია. მილიონობით წლები იმეცადინა და იღვაწა ადამიანმა, რათა მისი შემოქმედებითი შეგნება ჯოკონდამდე მისულიყო. უხილავი სულის სისპეტაკე (სიშორე) ყოველგვარ წარმოდგენაზე უფრო მკვეთრადაა ხაზგასმული და ღმერთამდეა გათანაბრებული.

ჯოკონდა კაცობრიობის სასწაულმოქმედი სულის ხატია...

რამდენიმე ათასი წელიწადი ისევ დასჭირდებათ პლანეტის მხატვრებს, ჯოკონდას შემოქმედებითი დონე რომ განავითარონ, ლეონარდოს ოცი ან მეტი წელიწადი ჯანსაღად კიდევ რომ ეცოცხლა, ის უთუოდ განავითარებდა ჯოკონდას. თუ როგორ, აქ ჩვენ სახვით წარმოდგენაშიც სუსტნი ვართ. უდიდესი შუალედები არსებობდა ვენერა მილოსელიდან, ფიდიასის ქმნილებებიდან და ნიკეას ქანდაკებების სასწაულმოქმედებიდან და იყო დროის იდუმალი შუალედი ჯოკონდამდე, ასევე უძველესი მუსიკიდან – ლუდვიგ ბეთხოვენამდე. ბეთხოვენიდან კი, კლასიკური მუსიკის წარმოუდგენელი განვითარება რომ მივიღოთ, ალბათ, ძალიან დიდი შემოქმედებითი შუალედია საჭირო. უპირველესად, შექმნილ შედევრებთან კაცობრიობის სულიერი გამთლიანებაა საჭირო, უნდა მოხდეს თაობების, გონების და სულის შთანთქმა მათში და ამ შედევრების სულიერი და მხატვრულ მიღწევათა ნაყოფის ჩასახვა. მხოლოდ კაცობრიობის უკვდავი და უწყვეტი გენის ახლებურ განვითარებაში მოქცევის მერმე აღმოცენდება ცივილიზაციის შესატყვისი საოცრებანი. თავის დროზე, ამდაგვარმა პროცესმა შვა მიქელანჯელოს ქანდაკება, „დავითი“ და „მიჯაჭვული მონები“. ამ გასაოცარ ქმნილებებში ქვაში დაუტევადი სული და ზეძალაა შესისხლხორცებული. მათში ქვის ფაქტურას ვერა გრძნობ. აქ მხოლოდ ქანდაკების ღვთიური თვისებებია აფეთქებული. იგი გენიის სულის აწყვეტის, გახელების და ზღვარსგადაცილებული შემოქმედებითი თავისუფლების კულმინაციაა.

პარიზი, მხატვართა საერთაშორისო ცენტრი, 84.01 ატელიე, ღამის თორმეტი საათია, მარტო ვარ და მოუსვენრობა მაწუხებს, ღვთისაგან გამეტებულივით ვბორგავ და მწვავედ მაწვალებს უსაშველო ფიქრი ჯოკონდაზე: ო, როგორ მარტოდმარტოა ჯოკონდა ამ კოსმიურ უკიდეგანო სივრცეში... ის ყველა სურათზე და ხელოვნების ნებისმიერ ნიმუშზე თუ მრავალი მიმართულების აზროვნებაზე მაღლა მდგომია თავისი სიმაღლიდან გამომდინარე განდეგილი და მარტოხელა. ჩვენი პლანეტის კოსმიური ტყვე... სამყაროდანაც უჩვეულოდ გამოყოფილი. მაგრამ, ამავე დროს, თავისთავად იმდენად ძლიერია, სამყაროს გალაქტიკების უსასრულობაში გრანიტის გრანდიოზული კუნძულივითაა ჩაკირული...

მოზომილი და მობილიზებული გრძნობით და გონებით უნდა მიხვიდე ჯოკონდასთან. წინასწარ შინაგანად ყოველხრივ უნდა გამაგრდე, რათა გაუძლო მის უდიდეს ზეგავლენას, თუ არადა, მოსალოდნელია, სულიერად და მორალურად გაგანადგუროს. ჯოკონდას ჯადო, ზეგავლენა კურნავს ყოველგვარ კოსმიურ სივრცეს. ეს სამყაროსეული პატარა ზომის სასწაულებრივი სამკაული ზეციური მაღალი ნდობის აღჭურვილობით მობარებულია თუ გამოხიზნულია ჩვენს პლანეტაზე. მისგან დედამიწა უსაშველოდ დამძიმებულია, სულიერად დაფეხმძიმებულია. „ჯოკონდა“ ყოველგვარ ადამიანურ შურზე მაღლა დგას. ჯოკონდასავით დავხატავდი, – წარსულის გენიოსები ამის თქმას არც კი გაიელვებდნენ გულში და მომავალშიც დიდი ხნის განმავლობაში არ იტყვიან, ალბათ...

„ჯოკონდას“ სამყაროს – უსასრულო გალაქტიკების და ჩვენი მზის სისტემის ჩაუქრობელი და რენტგენული გამოსხივების ცეცხლი უკიდია...

მიქელანჯელო და ლეონარდო და ვინჩი მონათესავე, თითქმის განუყოფელი სულის ქარბორბალაა, საერთოდ, ორთავე ტიტანი სულის პოტენციის და მისი შესაძლებლობის უხილავი პორტრეტებია და ზესაგნობრივი გამოსახულების მეშვეობით, კოსმიურ ლეგენდარულ მდინარედ მოედინება...

წლების განმავლობაში, პარიზში, სახელგანთქმული ლუვრის მუზეუმის დათვალიერებისას, ჯოკონდას წინ გაოგნებული და გაკვირვებული ვიდექი ხოლმე. ძალიან ხშირად გავურბოდი კიდევაც მას. ამდაგვარ სიტუაციაში მყოფს ჩემი თავისაც მრცხვენოდა. მერმე ამეკვიატებოდა კითხვა: რატომ მოგდის ასე? კი მაგრამ, რაშია საქმე?! შემდეგ, ვერონეზეს, ტიციანის, რაფაელის ან ბოტიჩელის სურათების წინ დგომა და ურთიერთობა მიმავიწყებდა ხოლმე ჩემს ამდაგვარ უცნაურ ხასიათგანწყობილებას.

ქალაქ მოსკოვში, 1972 თუ 1973 წლებში, ხელოვნების სფეროში, დიდი საოცრება-მოვლენა მოხდა: პარიზიდან, ლუვრის მუზეუმიდან ჩამობრძანებული და ექსპონირებული იქნა ლეონარდო და ვინჩის ფერწერული შედევრი „ჯოკონდა“. საბჭოთა კავშირის მაშინდელ საზოგადოებას მხოლოდ ეს სიახლე ალაპარაკებდა: ლეონარდოს „ჯოკონდა“, გამოფენილია მოსკოვში, პუშკინის სახელობის მუზეუმშიო; იმ პერიოდში, თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში უფროს მეცნიერ-მუშაკად ვმუშაობდი. მუზეუმის დირექტორს, ბატონ შალვა ამირანაშვილს ვთხოვე, მივლინებით გავეშვი მოსკოვში. მთავარი მიზეზიც მოვახსენე და შემისრულა თხოვნა. როგორც იქნა, მიზანს მივაღწიე და, რამდენიმე დღის შემდეგ, მოსკოვში აღმოვჩნდი. მაშინვე ვიქირავე პატარა ოთახი და დილის საათებშივე ვეწვიე პუშკინის სახელობის დასავლეთ ევროპის ხელოვნების მუზეუმს. უზარმაზარი იმპერიის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ხალხის რიგი იდგა, ბოლო არ უჩანდა. მუზეუმის მოსამსახურეთა შესასვლელიდან შევედი, მხატვართა კავშირის წევრობის წიგნაკით გასუსული და საოცრების ხილვის მომლოდინე დამთვალიერებლები ნელა შევდიოდით ვინრო დერეფნით. კედელზე თანმიმდევრობით ექსპონირებული იყო სხვადასხვა პერიოდის ცნობილი ავტორების კლასიკური მიმდინარეობის პორტრეტული სურათ-შედევრები. ერთმანეთს მივყვებით შინაგანად დაძაბულნი და მზის ამოსვლასავით გამოჩნდა „ჯოკონდა“, სახილველად საოცრება. პორტრეტის გვერდით, ერთ მხარეს ავტომატიანი სამხედრო დაცვა იდგა, მეორე მხარეს კი, ულამაზესი, ტანასხეპილი რუსი გოგონა და ყოველ წუთს ერთი და იგივე თვინიერი სიტყვებით მიმართავდა ხალხს: Проходите пожалуйста! ჩემო თავო, ბედი არ გინდა? ამდენი წვალების შემდეგ ძლივსძლივობით მოსკოვში ჩამოვაღწიე და ახლა მეუბნებიან, ნუ გაჩერდებით, გაიარეთ, გეთაყვათ! მაშინათვე, ამ ზედამხედველ გოგონასთან მივედი და მორიდებით ვეუბნები: უნდა დამეხმაროთ, ქალიშვილო. მიბრუნებს კითხვას – В чем?

– ორი ათას ხუთასი კილომეტრი ბისას მთელი ღამე ვიწრო საწოლზე თავდაღმა ვეგდე. კუპეში ოთხნი ვიყავით: შუახნის მამაკაცი, მშვენიერი ქალბატონი და გოგონა. ალბათ, სტუდენტი იყო: ეტყობოდა ერთი ოჯახი იყო. ქალბატონის მიერ ჩემს მიმართ გამოთქმული სიტყვები ჩამესმა: ეს ახალგაზრდა კაცი ცუდად ხომ არ არისო. მეორე დღეს ერმიტაჟმა და მისმა თვინიერმა შედევრებმა ისევ ადამიანურ კალაპოტში ჩამაყენა. აი ასეთია „ჯოკონდა“ და მისი უსაზღვრო კოსმიური აურა...

დღე მიწურულიყო; საღამოს ექვს საათზე „ჯოკონდა-“სგან მუზეუმის მცველებმა და ზედამხედველებმა რომ დამითხოვეს, მაშინ სრულიად მარტო ვიდექი და ვწერდი სურათის წინ, ხის მოაჯირზე იდაყვდაყრდნობილი. ჩემს უკან, მეტრნახევარში, ნიკელის ლამაზი ბოძებია განლაგებული და ასე მკაცრი საზღვარია შექმნილი მაყურებელსა და ჯოკონდას შორის. ლუვრის მთავარი მცველი, საკმაოდ სასიამოვნო შესახედავი, შავკანიანი ჯენტლმენი, მოვიდა და მაუწყა, დარბაზი იკეტებაო, ბატონო... რა თქმა უნდა, მეც მორჩილად ვტოვებ ჯოკონდას და ვფიქრობ უცნაური აზრებით. ღამე თავისი უსაზღვრო მაგიურობით სამყაროს მარადჩაბნელებული სახის და განწყობილების შედარებითი ფორმაა. დღე კი მზის მეშვეობით ვღებულობთ სხივთა და ენერგიის უსასრულო ნაკადს, თითქოსდა ის დამოუკიდებელი კოსმოსია. მაგრამ, სინამდვილეში ასე რომ არ არის?! მზე და მისი თანამგზავრები პაწაწკინტელა ნაწილია უსაშველო და უსასრულო სამყაროსი – ჩვენეულ ღამეს უთუოდ გააჩნია იმის სახე და ძალა, სამყაროს ბნელ უსასრულობას რომ გავუმთლიანდეთ. ამასობაში ლუვრშიც ჩამობნელდა და ჯოკონდამაც ლაღად იგრძნო თავი. ისევ ვფიქრობ, „ჯოკონდა“ უთუოდ ჩაიძირება მისეულ საიდუმლო სივრცეში თავისი ხელშეუხებელი არსებით და მაღალი სულიერებით. „ჯოკონდას“ უცხო სული ზოგადად ადამიანურზე ბევრად მაღალია. ამ საოცრება ფერწერულ პორტრეტში, უფლისა და ადამიანის სულიერი სინთეზია ჩასახლებული. ასე რომ, ორი ბუმბერაზი სულიერ ფორმათა და პორტრეტთა სახეა ჯოკონდაში მოქცეული. ხოლო მესამე უფრო ურთულესი ფაქტორია „ჯოკონდ“-ასი, რომელიც ჩადებულია თავად პორტრეტიდან იმ კოსმიური სხივის გამოსაცემი ფუნქციის შესასრულებლად, რომელი სხივითაც უკავშირდება ის დღეს, ღამეს და სამყაროს შორეულსა და ურთულეს ბნელსაც...

დღეს ლუვრის თითქმის ყველა ფერწერული შედევრი მოვინახულე. ბოლოს მივედი „ჯოკონდა“-სთან და ვგრძნობ, ფერწერული ხელოვნების და საღი აზროვნების ყოველგვარი შესაძლებლობის კულმინაციაა აქ...

ლეონარდო და ვინჩი „ჯოკონდა“-სთან შემოქმედებით წერტილს არ სვამს და ამით მხოლოდ ფერწერის განვითარების გზის უსასრულობაზე მიგვანიშნებს: საერთო შემოქმედებითი გზა ღიაა. მხოლოდ რომელ ათასწლეულში შეძლებს ადამიანი შემოქმედებითი ნიჭის მაღლა სვლას ჯოკონდას შემდეგ, უფალმა იცისო, იტყვიან. სინამდვილეში კი სამყაროს მკაცრ პროგრამაშია ჩადებული.

„ჯოკონდა“ უცნაური, საოცარი და წარმოუდგენელი შეკუმშვაა ყველაფრის, რაღაც ღვთიური მთლიანობის წარმოდგენაა. პორტრეტი „ჯოკონდა“ კაცობრიობის შემოქმედების ყოველ სასწაულზე უფრო მაღალია. რა სახის დონე უნდა ეწოდოს ამ შედევრს?! ალბათ, პლანეტაზე არც ერთი ცივილიზებული ენის გრამატიკაში არ მოიძებნება მისი შესატყვისი. სამყაროს მარადიული უკუნითი ღამის უცნაური და მთლიანი სიძლიერე – განწყობილებაა, ჯოკონდაში ასევე მზის, მთვარის და ვარსკვლავთა კოსმიური მოქმედებაა.

თუ გსურთ, მზეს თვალი გაუსწოროთ, ჯერ ჯოკონდას უნდა შეაჩვიოთ თქვენი თვალთახედვა.

უფალი, მზე და ჯოკონდა

უხსოვარი

სახე სამყაროსი

დროიდან მოყოლებული, კაცობრიობის ხელოვნების შედევრების საგანძურია მსოფლიოში უპირველესი მუზეუმი ლუვრი.

პარიზში გადაუღებელი წვიმაა და ოკეანის ძლიერი ქარი ქრის...

დღეს პლენერზე გასვლა და ხატვა შეუძლებელია. განსკუთრებით ცუდ ამინდში ხდება, უკვე მერამდენედ, „ჯოკონდასთან“ ასე დაუგეგმავი მისვლა და საღამომდე მხოლოდ „ჯოკონდასა“ და ლეონარდო და ვინჩზე ფიქრი, უცხო განცდები, გონებრივი მოუსვენრობა, სულის უჩვეულო მოძრაობა... უკიდურესად აღტყინებული ხშირად ჩანაწერებსაც ვაკეთებ.

იტალიური განყოფილების დარბაზებში ლიფტით ავდივარ და ჩქარი ნაბიჯით მივემართები ლეონარდო და ვინჩის სურათებისკენ. გზადაგზა გულდაწყვეტილი ვტოვებ სხვადასხვა ეპოქისა და მიმდინარეობის შედევრებს, ასევე იტალიურ, დიდი და პატარა ზომის უმშვენიერეს ხატებს; აგერ, გამომეცხადა საოცრად ჰარმონიული სანდრო ბოტიჩელი. ახლა ზანტად გავდივარ გარკვეულ მანძილს და ჩემს თვალწინ, მარად ჩაუქრობელი ვულკანივით და კოსმიური ჩუმი ხმით ბუბუნებს ლეონარდო და ვინჩის ექვსი სურათი, ერთი კედელზე. ეს შედევრები გალაქტიკის უშველებელი ცენტრივით ანათებს ამ უზარმაზარი დარბაზის, ზღვის ტალღებად აზვირთებულ სურათ-ექსპონატებში. დღის ნებისმიერ დროს აღფრთოვანებული ხალხითაა აქაურობა გადაჭედილი და სურათთან ახლოს მისვლა ხშირად გიძნელდება. როგორც იქნა, მჭიდროდ შეკრულ მასაში შევაღწიე და

ბოლომდე ჩაწვდომაც მიუღწევადია. რემბრანდტი, ლეონარდო და ვინჩთან შედარებით, ფერწერულ ტილოსთან ზედმიწევნით თამამი და სულიერად აწყვეტილია თავისი მრავალმხრივი ფერწერული ნოვატორობით. შესანიშნავად და შთამბეჭდავად გვიხატავს ვინსენტ ვან გოგი რემბრანდტის სტიქიას, დიდი ჰოლანდიელი ფუნჯით ტილოზე რომ წერს: ის მიაგავს – ჯანსაღი, ახალგაზრდა და მშიერი ლომი რომ გლეჯს უმ და სისხლიან პენელოპას ხორცსაო...

ლეონარდო და ვინჩის ფერწერულ შემოქმედებაში ყოველივეს ღვთიური მოწესრიგება და საკვირველი შემოქმედებითი უმკაცრესი კანონება.

აღორძინების ხანის გამგრძელებელი, დიდი იტალიელი ფერმწერი ვერონეზე თავის სურათებში ციურ ვერცხლისფერებში ცურავს და ბუმბერაზი, მონუმენტური სურათების შესრულების შეუდარებელი და ვირტუოზული ოსტატია.

ტიციანი ფერწერული სიდიადით უახლოვდება ლეონარდო და ვინჩის, მაგრამ ოქროს უმშვენიერესი ჭერით ზეფარგლავს უფლის უზენაესობას.

სამყაროს ჯადო ბურუსი და ბინდი, რომელიც ლეონარდოს ბურუსებშია მოფენილი, კერძოდ, „ჯოკონდა-“სთან, მხატვრულ მიღწევათა კულმინაციაა ღია სივრცით. „ჯოკონდაში“ თავისუფალი და უფლისმიერი აზროვნების სრულყოფილი დისციპლინაა სამყაროს ჭეშმარიტების უმთავრესი კვანძის აღბეჭდვისა.

დღეს 2005 წლის 12 ნოემბერია. პარიზი. ლუვრი. ამჟამად რთული მიზანი დავისახე, რათა მოვიხილო ლუვრის მთავარზე მთავარი შედევრები.

მათ წინ ვჩერდები ჩუმი სტატიურობით. სურათებს რიგრიგობით შევცქერი. შემდეგ ისევ მცირე მანძილით გადავინაცვლე და ვხედავ „ჯოკონდას“. დიდი დარბაზის შესასვლელი, ფართო კარის მარცხენა მხარეს ექსპონირებულია აღორძინების ხანის ერთ-ერთი ტიტანის, რაფაელის სამი საოცრება, შედევრი. სულიდან დაწყებული, გონებით დამთავრებული, იმდენად საღი და ნათელია, გვიანი პერიოდის ნოვატორი მხატვრების ფუნჯით შესრულებული გეგონება. ფერწერული ტილო „მადონა ყრმით“ მოვარდისფრო, მოცისფრო კოლორიტშია გადაწყვეტილი. წარმოუდგენელი სასწაულია, მიწიერ მადლსა და დიდებასთან ერთად ჩვენი მზის სისტემის კოსმიური ჯანმრთელი ნათებაა. სურათის საერთო ფერი, კოლორიტი და განწყობილება ისეთია, როგორც წყაროს კამკამა წყალში თევზების კალმახობა და ფერები, იაიას განწყობილებით ურთიერთს რომ ეფერებიან. რაფაელის ამ შედევრში თავმოყრილია ქვეყნიერების ღვთიური სიყვარული, უსაზღვრო სითბო, სიკეთე და მაღალი აზროვნება, ვირტუოზული კომპოზიციურობის და საკვირველი გემოვნების, ჯერ არნახული სიმაღლე. გარკვეული დროის შემდეგ ჩემს თავს გავუძალიანდი და გულდაწყვეტილს ვართმევ წმიდა რაფაელს: როგორც იქნა, მოვაღწიე და მონა-მორჩილად „ჯოკონდას“ წინაშე წარვსდექი.

ლეონარდო და ვინჩის სურათები ხომ სამყაროს უდიდეს საიდუმლოებათა გამჭვირვალე ბურუსითაა მოცული. მხატვრის ტილოებზე უშუალოდ მონაწილეობს სრული კოსმიური ნათება, თავისი უნატიფესი, უფრო და უფრო ლეგენდარულ საიდუმლოებამდე მისული უსათუთესი გარდამავლობითი მუქებით. დიად სამყაროსა და ღმერთს შუა გამავალი, კოსმიურ ნათებათა ჯვარედინული გადაკვეთაა ლეონარდო და ვინჩის სურათებში, რომელიც ნებისმიერი მიწიერისთვის უცხო და ჯადოგადასხმული ატმოსფეროა ჩაღვრილი. მაგდაგვარი, მრავალმხრივი სიდიადე, დიდი ჰოლანდიელი ფერმწერის, რემბრანდტის სურათებშიც მოიძიება და ძალიან მკვეთრადაც, მაგრამ ლეონარდო და ვინჩის ტილოებზე ადამის მოდგმის ნიჭის, შესაძლებლობის, უდიდესი ზეძალის მქონე მისტიურ წნეხშია ყოველი უმცირესი დეტალიც გატარებული და, აქედან გამომდინარე, ჩვენი გონებისთვის

აი ისინიც, მიწისქვეშეთის მთლიანობის მკვიდრნი, თავიანთ შედევრებში მარადიულ სულად ჩასახლებულები და ზეციური სამყაროს ბინადარნი: ბოტიჩელი, რაფაელი, ტიციანი, დიურერი, გოია, ელ გრეკო, ველასკესი, რემბრანდტი, ბრეიგელი, გოლბეინი, კრანახი, ბოსხი, დელაკრუა, ჟერიკო, დავიდი. მცირე ჰოლანდიელების ვარსკვლავთცვენაა ლუვრში. ჭეშმარიტად, რომ ეს გახლავთ უკვდავების გალერეა. ამ სასწაულმოქმედთა პანთეონის რაინდები მოკრძალებით მინდა შევადარო „ჯოკონდას“. უფრო და უფრო გავერკვიო, მათი მეშვეობით ამ შედევრების ოქროსფერი ბილიკებით ვიარო, რათა ჭეშმარიტად ჩავაღწიო ჯოკონდას სულიერ საიდუმლოებათა სივრცეში. თურმე, „ჯოკონდას“ მათთან შედარება წარმოუდგენელიცაა. ამჟამად 4 საათი და 17 წუთია. ვტრიალებ „ჯოკონდას“ გარემოსთან. უფროს ზედამხედველს ჩემი საბუთები წარვუდგინე, მეცნიერებათა აკადემიის წიგნაკითურთ. თანხმობის ნიშნად, პირველ ბარიერთან გამატარეს, ახლოს ხის მოაჯირთან, ურიცხვი მაყურებელია ჯოკონდას ახლოს და პორტრეტი ვარსკვლავიანი, უმთავარო ღამის ცასავით გადმომყურებს სამყაროს უდიდესი სიძლიერით. რაც რელიგიური კერები არსებობს მსოფლიოში, ყველა მათგანის ნიჭი, აზროვნება, მეცნიერება და ზეციური ძალაა ჯოკონდაში თავმოყრილი. უძველესი დროიდან დღემდე, კაცობრიობის მაღალი ხელოვნების ჯადოს ერთ დიდ ოქროს ჯამში ჩახვავებაა... როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ჯოკონდაში“ ცალ-ცალკედ გამოყოფილი არაფერი არაა. მხატვრული გემოვნება, ფორმა და ხაზი, რომელიც სურათის მთლიანობიდან საერთოდ არ იკითხება, ფერი თავისი კეთილშობილური ბუნებით მხოლოდ სურათის ფერწერულ მთლიანობას ემსახურება. სიცოცხლე? ბუნებრივ სიცოცხლეზე უმეტესადაა გამოხატული. კომპოზიციის წმიდა ბიბლიური დაბადებაა... შუქ-ჩრდილთა და მათი კონტრასტის სიძლიერის კულმინაციაა. თუმცა, მათ შუა, ოცნებაზე მაღალი, ურბილესი – ნიუანსური მხატვრული გადასვლებია. ამდაგვარი უცნაური მოვლენით, თითქოსდა, სამყაროს უსასრულობის თავისებური, ვერცხლისფერი – შინდისფერის ნარევით, უმსუბუქესი, გამჭვირვალე ნისლი მოფენია ნაწარმოების სიღრმისეულ გარემოს... აი, ეს ნისლ-ბურუსი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ღმერთის და სამყაროს

შინაგანი ბუნებაა, რომელიც ჩვენი თვალ-გონებისთვის მიუწვდომელი და მიუღწევადია. ვუყურებ მე ჯოკონდას დაჟინებით, თვალმოუშორებლად და ვხედავ, ადამიანთა მიმართ არავითარი ცინიზმი არ არის მასში. მიყურებს ის ჩემთვის უახლოესი ადამიანის თვალებით. „ჯოკონდას“ საიდუმლოებით მოცული მზერა სრული გამარჯვება დროსთან, სივრცესთან, ეშმაკთან, სიბერესთან და სიკვდილთან. მისი მრავალმნიშვნელოვანი ადამიანური ღიმილი, მძაფრი ლახვარია ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილისა. უფალი და წმინდანები არ იღიმიან, ისინი მხოლოდღა სამყაროსეული სიბრძნით იმზირებიან... ჯოკონდას შინაგანი ფილოსოფია, წმიდათაწმიდა ქრისტეა; ჯვარცმულ ადამიანთა ნიჭის მრავალმხრივობის და მისი უსასრულობის მტკიცებაა; აყვავება და დედამიწის გადარჩენა მომავალში სამყაროს ცვალებადობის და კოსმიური კატასტროფებისაგან და უხსოვარი დროიდან წერტილდასმული სიბერე-სიკვდილისაგან... მომავლის ლეონარდო და ვინჩების, მიქელანჯელოების, რაფაელების, ფიროსმანაშვილების, სერვანტესების, ფრანცისკო გოიების, დელაკრუების, ბალზაკების, ხოკუსაების, პიკასოების, სარიანების, გალაკტიონების, ტერენტი გრანელების, გრიგოლ რობაქიძეების, კონსტანტინე გამსახურდიების და მრავალ სხვათა ღირსეული გენიების, „ვენერა მილოსელის“ ავტორების, პრაქსიტელების, ფიდიასების (აქ მათი მთლიანი ჩამოთვლა შეუძლებელია). ჩვენი პლანეტის მარადიულობის შენარჩუნება მათზეა დამოკიდებული.

სამყაროს ყოველ პლანეტაზე, ალბათ, „ჯოკონდას“-მიერი სურათის

შეუვალი კოსმიური ნისლია გაბატონებული. აქედან გამომდინარე, ლეონარდოს ტექნიკაც ისევე ჩაუწვდომელია, როგორც სურათის სიბრტყისმიღმა კოსმიური ჯადო-საიდუმლოება.

„ჯოკონდა“ – ყველაფრის მქონე და ყოვლისშემძლე, მაგრამ მაინც უძრაობად ქცეული, მარადიულად გარინდული, თავისი მრავლისმეტყველი ღიმილით. „ჯოკონდას“ რომ ვუცქერ, სურათის ფერწერულობაზე არ ვფიქრობ... აქაა რაღაც ყველაფრისიქითა შინაგანი მოძრაობა და უცხო სფერო. აქვეა მიწიერი, სიცოცხლისიქითა სიცოცხლე და სულიერება, ჯოკონდას სიახლოვეს სიკვდილზე ხსენებაც არაა და არც ნიშნებია. „ჯოკონდა“-სთან დროის უმისობა და ჩვენეულ სივრცეში უცხოდ ყოფნაა. დედამიწაზე კოსმიური შემთხვევითობაა „ჯოკონდა“, მისი სახით, უცხო პლანეტათაგან შეკრული გუნდია ჩვენში ჩამოსული, ადამიანურის საკვირველი სახიერებით. და მაინც, ყველაფერი სტიქიის ხელშია და მას ექვემდებარება: რჩეულ ადამიანთა ზრუნვა რომ არა, „ჯოკონდა“ სტიქიის გარემოცვაში ასჯერ განადგურდებოდა. უბრალო მოკვდავებს უკვდავების გადარჩენის ნიჭი და ძალა შესწევთ, თურმე.

დღეს ლუვრის ეზოში მყოფ დუმილმერცხალა არისტიდ მაოლის „ფლორას“ ვესაუბრებოდი, „ფლორაში“ ქანდაკების სიდიადე, ადამიანური სიყვარული და მის შექმნაში უცხო და ისევ კოსმიური დიდი ნიჭია ჩადებული, მაგრამ აქ, „ჯოკონდასთან“, ყველაფერია თავმოყრილი, კოსმოსისიქითა სივრცეც. „ჯოკონდაში“ მიღწეულია ხელოვნების ის საოცრებათა სფერო, რომელიც ადამიანს არ ექვემდებარება და არც ემორჩილება. მე და ჩემისთანები მხოლოდ ზედაპირულად თუ განვიხილავთ მის შორეულ ბუნებას. თავადვე ფიზიკური სამყაროც, ალბათ, გაურკვეველია თავის მისტიკაში და უშორეულესის საიდუმლოებაში; ეს უკვე ღმერთის და უსასრულობის განზომილებაა სამყაროს უმთავრესი ძალისა, რომელსაც ემორჩილება ყოველი ცოცხალი, მიძინებულ თუ მკვდარ პლანეტათა ღმერთნიც... თქვენ, ჩემო განათლებულო და ჭკვიანო ეკლესიის მოძღვრებო, ნუ გამიღიზიანდებით და დამძრახავთ, რათა ეს სტრიქონები დაწერილია არც განათლებით, არც ნიჭით და ჭკუით, სულ სხვა ძალამ – ალბათ, უფრო კოსმიურმა ვნებამ და

ინტუიციამ ამალაპარაკა.

2006 წელი, პარიზი. ლუვრი. ცივი ზამთარია. ათასწლეულების მანძილზე მსოფლიოში იქმნებოდა სხვადასხვა დონის შედევრები. მილიონობით წლის წინანდელი გამოქვაბულების საოცრებაც შემორჩა დედამიწას. იქმნებოდა აღმოსავლეთის დიდი ხელოვნება, ისლამური ხელოვნება – აზროვნება და ზნე. შემდეგ მინდა ჩამოვთვალო ეგვიპტური, ბერძნული ანტიკის ხანა, სპარსული, ინდური, იაპონური თუ ჩინური. იქმნებოდა კოლხურ-იბერიული და სომხური, რომაული და ასევე შემოგვრჩა პატარა ერთა და ხალხთა ხელოვნება. მესაიდუმლე მიწა ინახავს უხილავ და უცნობ უძველეს საოცრებებსაც. „ჯოკონდა“ და მიქელანჯელოს „მიჯაჭვული მონები“, ბურდელის „მშვილდისრის მტყორცნელი“, როდენის „მოაზროვნე“ და მრავალი სხვა. ესენი, ჩემი გაგებით, ამ ათასწლეულთა შემოქმედების გვირგვინია. შემდგომი გენიების შედევრები კი უდიდესი იმპროვიზაციებია ჯოკონდასი და მიქელანჯელოს მონებისა... მზეზე უფრო დიდი კოსმიური საოცრება ჩვენთვის არ არსებობს. ძნელზე ძნელია მზეზე საქებარი და სადიდებელი სიტყვების პოვნა. შედარებისთვის მხოლოდ ყველაზე ძლიერს, გენიალურს ანუ მზის შეუდარებელ სილამაზეს ვადრით. მანათობელი მზესავითაა, ანუ ამომავალ მზეს დამსგავსებიაო. ადამიანის ჩამავალ მზესთან შედარებას ერიდებიან, რათა ის წარმავლობასთანაა გაიგივებული, მაგრამ დავაკვირდეთ მზის ჩასვლას, როგორი მჩქეფარე სხივების ორკესტრია, გამოთხოვების დღესასწაულია და არნახული სილამაზისაა, ასევე ღრმად პესიმისტური, რომელსაც ჩამავალი მზის მოცეკვავე სხივები ტოვებს. მზის მშვენიერების კოსმიური დატვირთვა განუზომელია. აი, იმდაგვარი მოვლენა და ქმნილებაა „ჯოკონდა“... მზე – „ჯოკონდაზე“ მხოლოდ დაუღლელი – უსასრულობისმაგვარი დაჟინებითი მზერით შეიძლება ნაწილობრივ მაინც მისი საოცარი ორგანიზმის აღქმა. ჩვენი მარადჩაუქრობელი პლანეტის ხასიათის, წონის, ფერის, სიცოცხლის, დედამიწისეული სრულყოფილი პორტრეტია „ჯოკონდა“. უცხო და სულ სხვა – უცნაური ფორმის მქონე სიცოცხლის და ჩვენგან შორეული პლანეტისმიერი უსასრულო გარინდვაა და წმიდათაწმიდა მარადიულობა, უკიდეგანო სივრცის და მარადიულობის მუდმივი მხატვრული სახე-ფორმა „ჯოკონდა“.

ეჭვსგარეშეა, ყოველ ჩვენგანს გვიყურებია, გვიან ღამე, უმთვარო მოწმენდილ ცაზე, კოსმიურად – ატეხილ ვარსკვლავთ ჟრიამულისთვის, ღამით სამყაროს აღმოსავლეთიდან მათი მოწესრიგებული სვლისთვის დასავლეთის მიმართულებით. ამ

დროს სუნთქვა შეგვეკვრება ხოლმე, რადგან ასეთ ციურსა და ღვთიურ მშვენიერებასთან, ფიზიკურად უღონოდ, შორს და გონებრივადაც მიუწვდომელი ვართ. უთუოდ ფერწერული სურათი „ჯოკონდაც“ სრული განსახიერებაა მაგდაგვარი კოსმიური განწყობილებისა. უმკაცრესი დრო შორეული უსასრულობიდან მოდის. ამ ყოველივეს და ყველაფრის მსაჯულს, მძაფრი და უსაშველო კოსმიური სევდა მოაქვს და სადღაც შორეულში გადააქვს.

სულიერად რაც უფრო და უფრო ვიჭრები ლეონარდო და ვინჩის შედევრში, მით უფრო მეტად ვგრძნობ – მის საკვირველ სიღრმისეულობას და უსასრულობაში მივექანები. ამ დროს, შემოდგომაზე ხის ტოტს მოწყვეტილი ნარინჯისფერი ფოთოლივით ფარფატებს ჩემი მძაფრად აღტყინებული სული და სხეული. ახლოდან სულ სხვაა „ჯოკონდა“ და რეალურად ვგრძნობ ჩემი სხეულის სიახლოვეს მასთან, ასევე სრულ ადამიანურ ნათესაობას, თითქოსდა დიდი და კეთილი პატრონი დამდგომია თავს. ამოუხსნელია ეს ყოველივე... მერმე განვიცდი ჩემი სისხლძარღვების, კაპილარებისა და სულის უხილავი ძაფების მძაფრ სიმხურვალეს და თითქოს ჩემთვის ჩაუწვდომელი უცხო ხაზებით „ჯოკონდას“ ძალიან ვუახლოვდები.

რამდენსაც მეტს ვუმზერ, უფრო და უფრო ღრმად აღვიქვამ მისი სულის სიჯანსაღეს და ის მკურნალი მთის ნიავივით იჭრება ჩემში.

საოცარო ქმნილებავ, ჯოკონდავ, მინიშნებით მაინც რომ ვხვდებოდე და ვიცოდე, თუ როგორ უმზერ შენს ირგვლივ არსებულ გარემოს, ადამიანებს,

მათ სიკეთესა თუ ბოროტებას, სიყვარულს, სიძულვილს და ურთიერთ მრავალფეროვან დამოკიდებულებას, კონკრეტულად როგორ აღიქვამ შენ? ასე დაჟინებით, უჭკვიანესი თვალებით რომ გვიმზერ, მარტო ჩვენ კი არა, ქვეყნიერების სივრცის უსასრულობას, მარადიულობის მარადიულობას (სამყაროს და ყველაფერზე მომზირალი თვალია შესახლებული ლუვრის სასახლე-მუზეუმში). შენ ყოველ საათს, წუთს, წამს, სამყაროსთან უწყვეტად ხარ გამთლიანებული; მისი ბუმბერაზი სული, თვალი და უწყვეტი ჯანსაღი ძარღვი და კაპილარი ხარ, სიცოცხლეშენარჩუნებული მოტეხილი ფორმა ხარ სრულიად სამყაროსი. „ჯოკონდა“, მაქვს ბედნიერება და ყველა მაყურებელზე ახლოს ვდგავარ შენთან. ზღვა ხალხია ჩემს უკან: იაპონელები, ჩინელები, კორეელები, ფრანგები, ინგლისელები, ესპანელები, შენი ნათესაობა იტალიელები, სტუმრები აფრიკიდან, ამერიკიდან, ბრაზილიიდან, არგენტინიდან, ჩილე-

დასასრული მე-11 გვ. ▶

მერაბ ხურციძე

ორკლობა თუ ერგენდა

სერაპიონ მერაბიშვილი
და ივანე გვარამაძე. 1910 წ.

სოფელ ზარზმაში მცხოვრებ იოსებ ხურციძეს 6 ვაჟი ჰყოლია. ორ ძმას – სერაპიონსა და მერაბს, ნადირობის დროს, უდის ველიდან, ტყეში შეუნიშნავთ ეკლესია, მოუნახულებიათ და მოსდომებიათ, როგორც კარგი საცხოვრებელი ადგილი, სახლი აეშენებინათ ეკლესიის მახლობლად.

აღნიშნული ეკლესია აუღიათ და მის ადგილზე, 1900-1910 წლებში, სოფელ უდის 271 კომლს, ძირითადად, ქართველ კათოლიკეებს, უზარმაზარი, თლილი ქვით ნაშენი და თუთიით დახურული ეკლესია აუგიათ (ასეთი პატარა სოფლისთვის იგი დიდ ძალისხმევას მოითხოვდა), რაც აუცილებლად უნდა აიხსნას მათი უდიდესი ფანატიზმით, ორგანიზებულებითა და შრომისმოყვარეობით.

მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მოწინავე საზოგადოების ყურადღება მოპყრობილი იყო სამხრეთ საქართველოს ქართველთა მცირერიცხოვანი მოსახლეობისადმი პატრიოტული სულისკვეთების ასამაღლებლად.

იმ დროისათვის, მდინარე ქობლიანის მარჯვენა სანაპიროზე, მხოლოდ ორი სოფელი (უდე და არალი) იყო ქრისტიანებით დასახლებული, ქობლიანის მარცხენა ნაპირის ყველა სოფლის მოსახლეობა ისლამს აღიარებდა.

პირველ მსოფლიო ომს წინ უსწრებდა ბრძოლა მოსახლეობაში ფანატიზმის გაღრმავებისათვის, სხვანაირად არც შეიძლება ახსნა, სოფელ ვარხანში, ბოლაჯურში, ხვანაში, ორჭოშანში, მოხსა და სხვა სოფლებში სწორედ ამ წლებშია აგებული თლილი ქვით (ბაზალტით) ისლამური ეკლესიები (მეჩეთები) შესანიშნავი მინარეთებით.

როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სოფლები თითქმის 100 წლის წინ რუს-ქართველთა მხედრობის მიერ გამოხსნილი იქნენ თურქთა ბატონობისაგან, მოსახლეობა ისლამის რჯულს აღიარებდა და მათი ხოჯა-მოლები თავის საქმეს აკეთებდნენ, ამის ხელშესახები დადასტურება სწორედ ზემოჩამოთვლილი მეჩეთებია. ასეთ პირობებში, ერთი მუჭა ქართველების მიერ, ასე თვალსაჩინო ადგილზე და ისლამურ გარემოცვაში ასეთი გრანდიოზული ეკლესიის აგება სოფელ უდეში, გადაჭარბებული არ იქნება ვთქვათ, გმირობის ტოლფასი იყო.

სწორედ ამ გმირების ღრმა პატივისცემამ ამაღებინა ხელში კალამი (რა-საკვირველია, დასტამბვის პრეტენზიას არ ვაცხადებ), რათა მათი და მათი წინაპრების სახელების, ჩამომავლობის აღნუსხვით ერთ მთლიან თაიგულად წარმოვუდგინო ჩვენს მომავალ თაობას.

ამიტომ შეგვინდია 1900-იანი წლების დროინდელი უდის მცხოვრებლებისთვის – სერაპიონ და მერაბ ხურციძეებისთვის (რომლებმაც დასაბამი მისცეს უდელი მერაბიშვილების საგვარეულოს) ჯერ კიდევ 300 წლის წინ აღმოჩენილი საყდრის აღებისთვის.

როგორც წესი, როდესაც ქალი თხოვდებოდა, ქმრის გვარს იღებდა, ამიტომ მათი სახელები უცნობია. სერაპიონ ხურციძეს ვაჟი არ ჰყოლია, ამდენად, იგი (სერაპიონის მოდგმა) აღნუსხული არ არის.

თომა და გაბრიელ მერაბისძეები მამის – მერაბის შემდეგ, სოფელ უდის პირველი მაცხოვრებლები არიან: იოსებ თომას ძე, პავლე თომას ძე, იოსებ და სერგო გაბრიელის ძეები, სტეფანე და ონჭო, სერგო (სერაპიონ), იოსებ თომას ძეები, სტეფანე, იოსებ, ლაზარე, პავლე თომას ძეები; სიმონ, გაბრიელ, პეტრე, იოსებ, სერგო გაბრიელის ძის.

ეს სახელები მე-3 და მე-4 თაობაა სოფელ უდის მკვიდრის მერაბ ხურციძის. რაც შეეხება მე-5 თაობას, ჩვენ მოვესწარით ადამიანებს, რომლებიც მათ იცნობდნენ და მათთან ერთად ცხოვრობდნენ. ესენია: თომა-ონჯო თომას ძისა, ანტონ, სტეფანე, სერგო ონჯოს ძეები, თომა, სერგო, ლაზარე, ივანე იოსების ძეები, სიმონ, პავლე, ონჯო გაბრიელის ძეები, სიმონ, პავლე პეტრეს ძეები.

ასე რომ, ერთი კაცის – მერაბ ხურციძის შთამომავალი მამაკაცები ხუთ თაობაში 31 ადამიანია. აქ აღნუსხულია ხალხი, რომელთაც სიმწიფის ასაკს მიაღწიეს.

მე-19 საუკუნის ორმოციან წლებში დაბადებული ადამიანები შთამომავლობის მეექვსე თაობაა.

სახელდობრ:

გიქრო თომას ძე (თომა ონჯოს ძის პირველი ვაჟი) დიდი სიკეთე იყო სოფლისთვის. მან დააარსა „წითელი ამბარი“, რომელსაც, ათეული წლების მანძილზე, თვითონვე განაგებდა.

ამბარი კეთილშობილ მიზნებს ემსახურებოდა – სოფლის თითოეული კომლი ვალდებული იყო ყოველწლიურად ამბარში შეეტანა ერთი რუბი (ფუთის მეოთხედი) მარცვალი (ხორბალი, სიმინდი). ასე, წლების მანძილზე, იქმნებოდა მარაგი. მოუსავლიან წელიწადს ამბარი გასცემდა სესხად სოფლის მაცხოვრებლებს უსასყიდლოდ, უგირაოდ და უპროცენტოდ 5-10 და მეტ ფუთ მარცვალს, რითაც შიმშილის სასოწარკვეთაში ჩავარდნილ ხელმოკლე მაცხოვრებლებს იხსნიდა მდიდართა დაკაბალებისაგან. ამბარი მექანიკურად გაუქმდა ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში. გრიგოლმა დააარსა სოფელში „მერაბის“ (თავისებური სამელიორაციო დისპეტჩერი) სამსახური და თვით იყო პირველი „მერაბი“. უსასყიდლოდ ემსახურებოდა სარწყავი არხების გაყვანას, აღდგენა-შეკეთებას საზოგადოებრივ საწყისებზე. წყლის რესურსები დაყოფილი ჰქონდათ ნაწილებად (ერთი რუ წყალი, ორი რუ წყალი, სამი რუ წყალი). „მერაბის“ ექვემდებარებოდა ჯუფარები, რომელნიც ცალკეულ უბნებს ხელმძღვანელობდნენ.

„მერაბი“ და ჯუფარი საზღვრავდნენ, ვის რამდენი საათი უნდა ესარგებლა, ვის შემდეგ საათი უნდა შეეშვათ ყანაში წყალი. „მერაბის“ და ჯგუფს საათი ეკიდათ მკერდზე.

მორწყვის სეზონის დაწყებამდე (რუ – წყლის 3-4 ლიტრის დინება წამში) „მერაბის“ სამსახური წმენდდა, შეაკეთებდა, ადგენდა და, შესაძლებლობის ფარგლებში, ახალ არხს აგებდა, ადგენდა წყლის გამოყენების კალენდარულ ვადებს, ათანხმებდა წყლის ხარჯვის ვადებს. მეზობელ სოფლებთან, როგორიცაა არალი, კახარეთი, ზაზალო, ხვანა, ორჭოსანი, წარბათუბანი, წყისე, მარელი და პირველი მსოფლიო ომის შედეგად თურქეთის საზღვრის იქით მოყოლილ სოფლებთან (ბადელა, შუაწყალი) წყლის რესურსების გონივრული გამოყენებისთვის, თვით სოფლის შიგნით წყალს წინასწარ ანაწილებდნენ მიწის შემადგენლობის, ნაკვეთის სიდიდის, ნათესი კულტურის, წყლის დებეტის, ამინდის (მიწის გამოშრობის) და თვით მეკომფურის ეკონომიკური სიძლიერის გათვალისწინებით. ჩვენში, მის შვილებსა და შვილიშვილებში, განცვიფრებას იწვევდა მისი კაცური კაცობა. რწყვის დროს, გვალვაში, უპირატესობა ხელმოკლე ოჯახებს ეძლეოდათ. „მერაბის“ ყავდა ჯუფარები.

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ერთი დოკუმენტი, რაზედაც ხელს აწერენ სამი სოფლის (უდე, ვალე, არალი) თავკაცები, უდის მხრიდან ხელს აწერს გიქრო მერაბიშვილი. დოკუმენტები შედგენილია მე-19 საუკუნეში და სავალდებულო შესასრულებელია ამ სამი სოფლის ყველა მაცხოვრებლისთვის. დოკუმენტის ერთი პირი (დედანი) ინახებოდა სერგო მერაბიშვილის (გიქროს უფროსი ვაჟი) ოჯახში და მუზეუმს გადასცა მისმა ვაჟმა ვახტანგ მერაბიშვილმა.

დოკუმენტი შედგენილია ქართულ ენაზე და ერთგვარი საზეიმო აღიარებაა – იკისრეს ვალდებულება – დაქორწინების დროს შეიზღუდოს ვაჟის ოჯახის სურვილი, რაც შეიძლება მეტი გამოსძალოს ქალის ოჯახს, აქ განსაზღვრულია მაქსიმუმი, რის ზემოთ არავის აქვს უფლება (ვრცელდება სამი სოფლის მოსახლეობაზე, რადგან სხვა ახლო-მახლო სოფლები ისლამის მაღიარებლები არიან და მათთან მეუღლეობის კავშირში არ შედიოდა მოყვანილი სამი სოფლის მოსახლეობა) მოითხოვოს მზითვი ქალის ოჯახისაგან.

გიქრო, ათეული წლების განმავლობაში, ასრულებდა სინდიკის მოვალეობას (საეკლესიო საზოგადოების საბჭოს წევრი) და შედიოდა ეკლესიის მშენებლობის ხელმძღვანელ ბირთვში.

1919 წელს, საკუთარ სახლში, 80 წლის ასაკში, დაპირისპირება მოუხდა მძარცველებთან და უთანასწორო ბრძოლაში, მეუღლესთან ერთად, დაიღუპა. მომხვდური მძარცველები სამნი იყვნენ, ისარგებლეს იმ მდგომარეობით, რომ გიქროს შვილები გახიზნულები იყვნენ ახალციხეში (თურქთა ურდოების შემოსევის გამო, თუმცა ისინი არ წარმოადგენდნენ თურქეთის სახელმწიფოს რეგულარული არმიის ნაწილებს), თავს დაესხნენე სახლში დარჩენილ მუხუც ცოლ-ქმარს და გაძარცვეს. გიქროს წინააღმდეგობა, როგორც მოგახსენეთ, მისი და მისი მეუღლის მოკვლით და შემდეგ სახლთან ერთად მათი ცხედრების დაწვით დამთავრდა. სულის ამოსვლამდე იგი ეწინააღმდეგებოდა ბანდიტებს და შვილების მოშველიებით ემუქრებოდა. მუქარას მომხვდურებმა მათი მოკვლით უპასუხეს, ხოლო კვალის დაფარვის მიზნით, როგორც ვთქვით, ცეცხლი წაუკიდეს და სახლთან ერთად მთელი მისი ავლადიდებაც გადაწვეს.

კეთილი მეზობლების წყალობით, შესაძლებელი გახდა ცოლ-ქმრის ნახევრად დამწვარი გვამების გადარჩენა და დიდის პატივით დაკრძალეს უდის პატარა ეკლესიის ეზოში, საფლავის ქვის წარწერა შთამომავლობას აუწყებს ამბავს ამ სისხლიანი ტრაგედიის შესახებ.

მათი შთამომავლების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი:

ონჯო თომას ძე, პეტრე, პავლე, იოსებ, იორდანე და სიმონ სტეფანეს ძეებია.

სიმონი ხელმოკლე ოჯახმა სტამბოლის სემინარიას მიაბარა იმ იმედით, რომ ოჯახს ერთი მჭამელი მოაკლდებოდა, სიმონი განათლებას მიიღებდა, ოჯახს და სამშობლოს გამოადგებოდა.

სიმონი სამშობლოში დაბრუნდა ლათინური და ფრანგული ენების საუკეთესო მცოდნე. სამწუხაროდ, უდიდესი ნიჭის მიუხედავად, ახალგაზრდა კაცისთვის არ გამოიძებნა ადგილი, არც თბილისში, არც ახალციხესა და არც ჩვენი სოფლის სკოლაში. მაბეზღარას არც აქ დაუკლია სიმონისთვის მისი წახდენის ცდა.

სიმონი სოფელში დაბრუნდა, მაგრამ, პოლიტიკური შეხედულებების გამო, მას უარი უთხრეს ენების მასწავლებლობაზეც კი. მამამ – სტეფანემ და, ასევე, ოთხმა ძმამ აითვალისწინეს, როგორც ზედმეტი მჭამელი. იგი სულ პატარა მოწყვიტეს სოფელს. მისთვის სრულიად უცხო იყო გუთანი და ნამგალი, ძროხა და ბაღი, სამსახურში არ იღებდნენ და სოფლის ბავშვების სასაცილო პამპულად იქცა ეს უცნაურად ჩაცმული „უსაქმური“ სემინარიელი.

გარეგნულად იგი არ ჰკარგავდა სულიერ სიფაქიზეს.

მამის გარდაცვალებამ ჯალაბის დაშლა გამოიწვია, ძმებმა გაიყვეს მამული, სახლ-კარი. ძმებმა სიმონს არაფერი შეახვედრეს, – შენი წილი შენს სწავლას მოხმარდაო, – საყვედურობდნენ ძმები, მას არ აღმოაჩნდა ნებისყოფა, ფეხით ჩასულიყო დიდ ქალაქში, გზა გაეკვალა მოძმე რევოლუციონერებისკენ, დაკნინდა და შეურაცხადადაც იქცა ბედშავი.

მამაჩემს ერთი მეგობარი ჰყავდა ახალციხეში, უპატრონოთა თავშესაფრის გამგე გრიგოლ მეფისაშვილი. სთხოვა მამაჩემმა მეფისაშვილს და მანაც მიაღებინა სახლი. რევოლუციას შეურაცხადი შეხვდა სიმონი, ვერ მოიმკო მისი სიკეთე – რასაც თავისი ახალგაზრდობა შეალია.

მახსოვს მისი მოღიმარი, უწყინარი სახე, გადმოდიოდა ჩვენთან ივლიტაში, კვირის სადილზე, ტკბილ მოუბრობდა მამაჩემთან, – მის ერთადერთ გულშემატკივართან ილიმებოდა, თავზე ხელს მისვამდა და ფრანგული ენის შესწავლას მპირდებოდა, ნება-ნება სვამდა დედაჩემის იშვიათი ოსტატობით მოდულებულ ყავას და ისევ კეთილად ილიმებოდა. 1934 წელს მე იგი ღრმად მოხუცებული დამამახსოვრდა, თუმცა, ასაკით ასე არ უნდა ყოფილიყო.

ამავე წელს მე წავედი სასწავლებლად და სიმონის შესახებ აღარაფერი მსმენია.

*

დეტალი მე-8 თაობის: 38 რიგი გრიგოლ თომას ძე მერაბიშვილის შთამომავლობას გვამცნობს.

აქ მე-9 თაობის რიგით 68-ე ადგილი უკავია სერაპიონ გრიგოლის ძე მერაბიშვილს.

იგი დაიბადა 1874 წელს სოფელ უდეში, იცოცხლა 66 წელი და 1940 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფელ ივლიტაში. მისი სახელი უაღრესად ძვირფასია არა მარტო მისი მშობლებისა და და-ძმისთვის, ან შვილებისა და შვილიშვილებისთვის, არამედ, მრავალი ადამიანისთვის, როგორც სულიერი მოძღვრის, მკურნალის, მქადაგებლისა და პედაგოგისა.

ისეთი გარეგნობის ადამიანს, როგორიც მამაჩემი იყო, ჩვენში ჯმუხს ეძახიან, თუმცა მის ინტელიგენტურ ცხოვრებას მის ჯმუხ აღნაგობაში ელეგანტური და კანის ფერის სინაზე შეეტანა.

იგი საშუალო სიმაღლის იყო. მხრებში ფართე, პატარა ფეხები და ზომიერი მუცელი (მას ზომაზე მეტი საჭმლის მიღება ისევე ცოდვად მიაჩნდა და ნაყროვნებად სთვლიდა, ისევე, როგორც ლოთობას). ხელები მას ფაფუკი, თვალები და თმის ფერი – შავი, შუბლი მაღალი და მშვენიერი, ცხვირი და პირი ზომიერი, ლოყები ყოველთვის ყვითელი ელფერისა ჰქონდა, რაც მას ავადმყოფი ადამიანის შესახედაობას აძლევდა. წვერ-ულვაში მისი განუყოფელი მეგობრები იყვნენ. სასიამოვნო სანახავი იყო. მისი ზომაზე მეტად ამობურცული კეფა და ჩასქელებული კისერი, მიუხედავად მისი ჩაფსკვნილობისა, მას ნაცნობ-მეგობრები „პატარა მღვდელს“ ეძახდნენ.

პატარა მღვდელი... მახსენდება. ეს იყო მამაჩემის გარდაცვალების 5-6 წლის შემდეგ, ახალციხეში ვმუშაობდი საგზაო განყოფილების ინჟინრად, რაისაბჭოს აღმასკომისა და რაიკომის ბიუროს გაერთიანებული სხდომა მიდიოდა, ნლიურ ანგარიშს აბარებდა განყოფილების უფროსი, ძველი ბოლშევიკი სპირიდონ ივანეს ძე ივანიძე. ჩემი გვარიც ახსენა, ფეხზე ავდექი, ბიუროსა და აღმასკომის წევრები მე მიყურებენ. სამრეწველო კომბინატის დირექტორმა, ქალბატონმა არაქსია ასლანოვამ სახალხოდ, საყვედურით მიმართა აღმასკომის თავმჯდომარეს სვირსკის: რატომ უნდა მიეცათ უპირატესობა საგზაოსთვის, მას რატომ არ აძლევენ ინჟინერს. აღმასკომის თავმჯდომარემ გამოკითხვა დამიწყო, საკითხი ჩემს დანინაურებას ეხებოდა. როცა მამაჩემზე მკითხა, ვიფიქრე, მამა თუმცა მკვდარია, როგორც მღვდელი, ხელს შემიშლიდა დაწინაურებაში, ნამდვილად კი ასეთი რამ მოხდა: როცა სვირსკიმ გაიგო ჩემი სადაურობა, რაიკომის მდივანს გიორგი კირვალიძეს არც ისე ხმამაღლა გადაულაპარაკა: თუ ამ ახალგაზრდას მამამისის, ივლიტის პატარა მღვდლის განსწავლულობის, ნიჭის, შრომისმოყვარეობის და პატიოსნების პატარა მემკვიდრეობა თუ გააჩნია, იგი თავისუფლად გაართმევს თავს არა მარტო კომბინატის მთავარ ინჟინრობას, არამედ მეტსაც გააკეთებს.

მას შემდეგ ორმოცი წელი გადის, დიდი ხანია მოვხუცდი და პენსიაში გავედი, მაგრამ, ამ ხნის მანძილზე, ყოველთვის გზის მანათობელ ვარსკვლავად მქონდა მამაჩემის პატიოსნების სახელი, ცხოვრებაში სხვა პროტექტორი მე არ მყოლია.

*

ერთი ამბავი ჩემ თვალწინ მოხდა: ისე პატარა ვიყავი, მხოლოდ ჩვენი, ბავშვების ტირილი თუ მახსოვს, რაც შეეხება თვით ეპიზოდს, სულ არ მახსოვს, თუმცა იმდენჯერ თქმულა მის შესახებ, რომ ბოლოს მაინც ჩავწვდი მის მთავარ აზრს...

სოფელი ვალე, სადაც ოჯახით 1918-21 წლებში ვცხოვრობდით, სამჯერ გადავიდა ხელიდან ხელში, ფრონტის ხაზის მერყეევი მდგრადობის გამო, თუმცა სამჯერვე იქნა დაბრუნებული.

ჩვენი ოჯახი (მამაჩვენი) სამჯერ სხვადასხვანაირად შეხვდა მტრის (თურქების) შემოსვლას.

შემოსევას ჩვენ ახალციხეში ევაკუაციით ვპასუხობდით ხოლმე. ერთხელ ვერ გამოვასწარით და ადგილობრივ თათრებს შევაფარეთ თავი, ვალის მაშინდელმა მოლამ შეგვივრდომა, დაგვითმო თავისი სახლი, ხალიჩებით გაწყობილი დარბაზი, სასტუმროდ. ამავე დარბაზში ასრულებდა იგი თავის პირად ღვთისმსახურებას. ერთი სიტყვით, მოლა ეიბა დიდებული ადამიანი იყო. იმ ქარიშხლიან დროს მისთვის ადამიანობა ვერ შემოეძარცვა, – „არ სდევს ჟამთა სვლას“, – აი ვისზე იქნებოდა ნათქვამი.

ჩემ მეხსიერებას შემორჩა იშვიათი სურათი დიდებული ადამიანობისა. ეს ასე იყო: ხალიჩა-ფიჩვებით გაწყობილ დარბაზში ორი ფართო და გრძელი ტახტია, მოფენილი მუთაქა-ბალიშებით. ერთ ტახტზე მუხლისთავებზე დგას უზარმაზარი ჩალმით თავშეკრული მოლა და აღავლენს ლოცვანს ალაჰისადმი, მისი წინასწარმეტყველი მაჰმადისადმი, ლოცვანს ასრულებს ყველა წესის სრული დაცვით. თავს ხრის მიწამდე, წამოიმართება ფეხზე და ასე შემდეგ.

მეორე ტახტზე ლოცულობს მამაჩემი, მუხლებზე დგას, კრიალოსანს მარცვლავს, თვალები ზეცად აღუპყრია. სრული მდუმარეაა. ერთმანეთს ხელს არ უშლიან.

ორივე – მოლა და მისი სტუმარი (ხიზანი) – მღვდელი, მოლის სახლში ასრულებს ღვთის მსახურებას, თუმცა სოფელში მეჩეთიც არის და საყდარიც. არეულია დრო, საშიშია გარეთ, სოფელში გასვლა.

ლოცვის აღვლენის შემდეგ, იქვე, ტახტზე დგამენ ტაბლას საუზმით – მოლა მასპინძლობს მღვდელს, ტკბილ მოუბრობენ, სასაუბრო ენად ქართველს თურქული აურჩევია, სუფთა ლიტერატურული ენით წარმოსთქვამენ თავიანთ აზრებს, ეს თავისებური პატივისცემაა მუსლიმანი მეგობრისადმი. ვალეში არ რჩება მოლა ეუბა. სუფთა ქართულით ესაუბრება იგი ქართველ სტუმარს. ხშირად საუბრის თემა უფრო კამათს ჰგავს, თითოეული თავგამოდებით იცავს მისი რჯულის ჭეშმარიტების იდეას. რაც შეეხება სამშობლოს, აქ ორი აზრი არ არსებობს, მიწა, სადაც დაიბადნენ, ორივესთვის თანაბრად წმიდათა-წმიდა და საყვარელი სამშობლოა.

ჩვენი ოჯახი ოთხ ოთახიან მიწურში ცხოვრობდა, თურქთა შემოსევა, რასაც ჩვენი ჯარების ბორჯომის მიმართულებით უკანდახევა მოჰყვა, ისე მოულოდნელი იყო, რომ მოსახლეობამ ევაკუაცია ვერ მოასწრო.

მტერი მოსახლეობას არ აწუხებდა, თუ არ ჩავთვლით ისეთ წვრილმანებს (სიკვდილთან შედარებით ბევრი რამ არის წვრილმანი), როგორიცაა მოსახლეობისაგან ჯარის საჭიროებისთვის სურსათის აკრეფა და მუშა-ხელის და გამწევი ძალის ბეგარა.

ერთ ღამეს კარებზე კაკუნის ხმა გაისმა. გავიდა მამა. იკითხა, თურქი ჯარისკაცები იყვნენ. კარის გაღება მოითხოვეს, ვნახავთ, თქვენს მუშა კამეჩებს სარდაფში გადამალულს, ბეგარაზე უნდა გავიყვანოთო.

მამამ აუხსნა, რომ იგი მღვდელია, ქეშიში კამეჩი არ ჰყავს, მით უფრო, სარდაფში, სადაც კიბეზე ადამიანი თუ ჩავა. მაშინ დაიწყეს მუქარა და კარების შემტვრევა. ერთი ყვიროდა – „ოლა ქეშიშ თეფ ყაფ აჩა“ (ოლა – ბიჭო, ქეშიშ – მღვდელო, თეზა – ჩქარა, ყაფ – კარი, აჩა – გააღე). მამა არ შეშინდა, თურქს დაუწყო მორალის კითხვა – „ოლა დიერსან, ქეშიშ დე ქეშიშ დიერსან – ოლა დება (დიერსან – მეძახი, დემა – ნუ ამბობ), კეთილ მეზობლებმა, რომელნიც ამ ხმაურზე შეგროვდნენ, დაითანხმეს აბეზარი ჩაუშები, გაცლოდნენ ჩვენს სახლს, ხალხს უყვარდა მამა.

(გაგრძელება იქნება)

დასასრ. ◀ დასაწყ. გვ. 8,9

„ჯოკონდა“ ნისლ-მოფენილი სახე სამყაროსი

დან; აქ ტრიალებენ ბერძნები, ირანელები, ინდოელები, თურქები, რუსები, პოლონელები, ჩეხები, სომხები, პლანეტის რომელი ქვეყნიდან არ ნახავ აქ გაოგნებულსა და გაკვირვებულ ხალხს. მათგან არც ერთი არ ეკუთვნის თავის თავს, შენ მიიტაცე ისინი, „ჯოკონდა“!.. ამგვარ პირობებში უსასრულოდ შემიძლია შენზე ვწერო. შენს წინაშე, მხოლოდ შენთვის, ბედნიერად განვუტევებდი, ალბათ, ჩემს მორჩილ სულს. სურათ-ვარსკვლავო, უფრო დედაო მზევ, შენ ჩემს ბუნებაში უფრო მძაფრად შემოიჭერი, ვინემ მე შენთან, რათა შენ ჩემგან დიდი და უსაშველო სიშორე ხარ, „ჯოკონდა“...

„ჯოკონდა“-სთან ყოველთვის აღელვებული განწყობილებით მიდიხარ: უმალ ხმა ჩაგივარდება ადამიანს, დუმდები, მუნჯდები. აი, ესაა „ჯოკონდა“: შენი პირადი მე მეუბნება მეორეს, რომელსაც უფრო ემოცია მართავს. დიახ, ამგვარია „ჯოკონდა“! – გეუბნება შენ და უფრო და უფრო უახლოვდები მას. ჯოკონდასთან მუდმივად ბევრი მაყურებელია. შენ არავის აქცევ ყურადღებას. დგახარ ჩვენს წინ გაშეშებული და ვერა და ვერ მოგიფიქრებია, რა თქვა მასზე, როგორ იმსჯელო, რით უნდა დაიწყო საუბარი. განსჯა, ფიქრი და ლაპარაკი დაგვიწყნია. ოცნებაც არაა. ასე გადის გარკვეული დრო და ახალი პიროვნება იბადება შენში... შენი პირველი „მე“ უძლურდება, მეორემ ნელ-ნელა დაიწყო აღქმა და იძირები „ჯოკონდას“ ცისფერ ოკეანეში. შენ მთლიანობაში ყოველ წამს გეცვლება განწყობილება, ის კი მხოლოდ ერთნაირადაა, ჯადოსნური დუმილის და უსასრულოდ გარინდვის ფორმა მის წინაშე თითქმის დაპატარავებულს, მხოლოდ-ღა მისი მარადიული და მრავლისმთქმელი ღიმილი გფარავს.

2005-2006 წლები. პარიზი. ლუვრი. ჯოკონდაზე ფიქრმა მთელი ექვსი თვის განმავლობაში თავის ირგვლივ მატრიალა, დარსა თუ ავდარში ხშირად მივრბოდი მასთან. აი, სადაა დრო! წამო, შეჩერდი! ოღონდ ის შეჩერებული წამიც მისეული წამის მეათედებშიც განუწყვეტლივ მოედინება და მისგან გაედინება. ჯოკონდას სულის წაკითხვა ბოლომდე მიუღწევადია ადამიანისთვის, მაგრამ მიახლოების და მისი შეგრძნების საშუალება გვაქვს.

მილიონი წლის განმალვობაში მწიფდებოდა კაცობრიობის შემოქმედებითი პოტენცია და ფეხმძიმდებოდა დედამიწა, ჯოკონდა რომ ეშვა. მრავალი უძველესი ერიდან მოყოლებული, უსათუოდ ძველ კოლხებსაც ექნებოდათ აქ რაღაც წვლილი ჩადებული. კოლხთა ცივილიზაციამ მსოფლიოს დამწერლობის შექმნაში თუ შეიტანა გარკვეული კვალი, მეცნიერებასა და ხელოვნებაშიც გაედინებოდა, რა თქმა უნდა, კოლხთა და იბერიელთა უკვდავი და მთლიანი – ნათესაური კაპილარი. მომწიფებული დედამიწის (ანუ ერთ-ერთსა და პირველ დიდმოსავლიან შემოდგომას. ვინ იცის, ასეთი რამდენი შემოდგომა მოუმწიფდება ჩვენს პლანეტას...) აუცილებლად რომელიმე ქვეყანაში უნდა ამოფრქვეულიყო ჯერ არნახული ცივილიზაციის ვულკანი. იმ დროისთვის ყველაზე ღირსეული და ხელოვნებაში შემზადებული ქვეყანა აღმოჩნდა იტალია. ქვეყნიერების ცივილიზაციის ჭიპი – ბეჭედი იტალიის კეთილშობილ მიწას დაეჭდო (როგორც ისრაელის ქვეყანას უფლის მოვლინება, გერმანიას – ბეთჰოვენისა, საქართველოს – რუსთაველისა და ა.შ.). კაცობრიობის ხელოვნებამ უხსოვარი დროიდან დაგროვილი შედეგი აქ შობა და ადამის მოდგმის საშოდან ამ ფორმით ამოაგდო ტიტანები – ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო და რაფაელი. მერე მათ გვერდით დაუდგნენ ტიციანი, ბოტიჩელი, ჯორჯონე, ვერონეზე და მრავალი სხვა. ამ გენიათა მოსვლას მართებულად ეწოდა აღორძინების ხანა.

2005 წელი, 15 იანვარი, პარიზი, ლუვრის მუზეუმი. დღეს „ჯოკონდა“-სთან საათობით გაჩერების და ფიქრის ბოლო დღეა. ექვსი თვე სრულდება, პარიზი და „ჯოკონდა“ ერთ მთლიან აზრად, ფიქრად და ოცნებად იქცა ჩემთვის. ფერწერაში დღე და ღამე პარიზის თემაზე ვმუშაობ და მხოლოდ „ჯოკონდაზე“ ვფიქრობ...

ლეონარდო და ვინჩი ზოგ შემთხვევაში საგანგებოდ ხომ არ გაურბოდა თავის აკვიატებულ მხატვრულ გენიას და თითქოს შვებას ეძებდა სხვადასხვა მეცნიერულ მოღვაწეობაში. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, ისევ გადაეყრებოდა თავის ბუმბერაზ ნიჭს და კვლავ დაუსრულებელი კოსმიური წვით ითუთქებოდა, ხოლო მისი უპირველესი სული, „ჯოკონდაში“ ჩასახული, პლანეტური სიმკვრივით და სიმძაფრით გაუმთლიანდა მხატვარს. მხოლოდ სიკვდილმა განაშორა ავტორი თავის დიდ შემოქმედებას.

თბილისი. 29 იანვარი, 2006 წელი (მშობლიური სიზმარი). ღამე, სიზმარ-ოცნებით, ლუვრში „ჯოკონდასთან“ შევიპარე. ხუთი საათია. არავითარი ხმა არ ისმის არსაიდან. დარბაზში ადამიანების ნაფეხურებიც არ შეიმჩნევა... შედევრთა მარტოობაა აქ და უსაშველო დუმილ-გარინდვაა. „ჯოკონდა“ ისევ მისეულად იყო მედგარი და მისი მტკიცე და მძლავრი მზერა ღამესაც უმოწყალოდ გმირავდა. ამდაგვარი მზერის შორეული ტყორცნით ჩვენეულ ღამეს არარაობად აგდებდა. ვისი ხარ, აბა?! – ხმის ჩახლეჩამდე ვიყვირე, – ღამის არა ხარ! დღისა და მზისა არა ხარ! ჩვენი და ჩვენი სამყაროსი არა ხარ! ვისი ხარ! რომელი უცნობი გალაქტიკის ხარ, მგონი, უფალმაც არ იცის. ეშმაკი კი სიახლოვესაც ვერ გეკარება.

ჩემი ყვირილი ლუვრის დარბაზებს მოედო და იქ მყოფთ არავის არ უკვირდა, მათ თვალიც არ დაუხამხამებიათ. მერე ქადაგებაზე გადავედი: სიცოცხლე დროებითი ზიგზაგია, „ჯოკონდა“, მომავალ-წარმავალისა, შენში კი ყველაფრისგან განსხვავებული, სულ სხვა სიცოცხლის ფორმაა ჩასახული ჩვენთვის წარმოუდგენელი უწყვეტი ხაზის სახით. მარადიულობა კი ხარ, მაგრამ არავის და არაფერს ანგარიშს რომ არ უწევ?! რატომღაც არ მეგობრობ დედამიწელებთან, არც შენს ირგვლივ უკეთილშობილეს შედევრებთან. „ჯოკონდა“, შესაძლოა, უცხოპლანეტელებთან გაქვს სულიერი კონტაქტი და ასე იმიტომ იმზირები შორეულისაკენ, აგრე საოცრად ჯიუტი და შეუპოვარი. პასუხი კი არ ჩანდა არსაიდან. გამეხებულმა ვიბღავლე: აბა, ვისი ხარ, „ჯოკონდაა“?! სიზმარში ამ საშინელმა ყვირილმა ძილ-ბურანიდან წამომაგდო და ტანთ ჟრუანტელმა დამიარა; გამწარებულმა ერთი ჭიქა ღვინო ვინატრე, მაგრამ...

უფლის მონოლოგი მხატვართან:

– გეყოს, მაესტრო, დედამიწაზე ესოდენ მაღალშედეგიანი შემოქმედებითი და მეცნიერული მოღვაწეობა. ამ პლანეტაზევე გინია ფიზიკურად დასვენების დრომაც, ადამიანო! შენ მე გამიწიე დიდი სიყვარული, ერთგულება და უახლოესი შეგირდობა. აწ კი შორეულ სამყაროში მგზავრობისას დაგეკისრება ბევრად უფრო განსხვავებული სამომავლო კოსმიური დიდი ფუნქციები, ჩემო ნიჭიერო და ჭკვიანო შემოქმედო.

მხატვრისა და მრავალმხრივი მეცნიერის, ლეონარდო და ვინჩისადმი უფლის ბოლო სიტყვები ამგვარი იქნებოდა უთუოდ...

რეზო (ემელიანე) ადამია

პარიზი, 2005-2006 წ.წ.

საიუბილეო შეხვედრა

ახლახან, ახალციხის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში, ქალაქის მერიის ინიციატივით, ახალციხის საზოგადოების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, სასცენო და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის იუბილე მიულოცეს, ღვაწლმოსილ მანდილოსანს, ქართული ხალხური საკრავების უბადლო შემსრულებელს ლელა ნაროზაულს.

საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს მხარეში – ხევსურეთში დაბადებული და გაზრდილი, ოციოდე წლის ახალგაზრდა გოგონა, უკვე აკადემიურად დაუფლებული ქართულ ხალხურ საკრავებს, ახალციხეში 50 წლის უკან ჩამოდის და დღემდე დაუღალავად იღწვის კულტსაგანმანათლებლო საქმის განვითარებისათვის.

ქალბატონი ლელა ახალციხეში ჩამოსვლითანავე აქტიურად ჩაება რა იმხანად დაარსებულ ახალციხის სარაიონო კულტურის სახლთან არსებული სატირისა და იუმორის შემოქმედებით დასში, პარალელურად, მან პირველმა, ჩამოაყალიბა ქალაქის №5 საშუალო სკოლაში ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი. მისი დაუღალავი, მიზანმიმართული, ენერგიული შრომის შედეგად, აღნიშნულ ანსამბლს არაერთი წარმატებისა და გამარჯვებისათვის მიუღწევია რესპუბლიკურ ოლიმპიადებში, რვაჯერ კი დაჯილდოვდა ოქროს მედლით.

ქალბატონ ლელას წარმატების კიდევ ერთი დასტურია თუნდაც დიდი ქართველი რეჟისორის რეზო ჩხეიძის აღიარებული ფილმის – „მშობლიურო ჩემო მიწავ“ – ფინალში გამოყენებული მისი აღსაზრდელების მიერ შესრულებული სიმღერა.

აქვე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, ლელა ნაროზაულის და ბატონ შოთა ალთუნაშვილის ძალისხმევით რეგიონში დაარსებული ორწლიანი საღოტბარო სასწავლებლის შესახებ, რომლის კურსდამთავრებულებით ივსებოდა რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები. იმხანად, ეს დიდი, წინგადადგმული ნაბიჯი იყო პროფესიონალი კადრების მომზადების საქმეში.

ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, მათი ჯგუფის მიერ შესრულებულმა ხალხურმა მელოდიებმა, ისეთი შთაბეჭდილებები მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზე, რომ „მოსკოვის ხმის“ სტუდიამ ოქროს ფონდისთვის სპეციალურად ჩაიწერა მათი „ქართული ხალხური მელოდიები“.

ქალბატონ ლელა ნაროზაულის შემოქმედება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ფლობს ყველა საკრავ ინსტრუმენტზე დაკვრის ხელოვნებას.

საიუბილეო საღამოზე ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპისკოპოსმა, მეუფე თეოდორემ, მამა სტეფანემ, იოანემ, ლუკამ, ქალაქის მერმა გიორგი კოპაძემ, რაიონის სიმღერის გუნდის უხუცესმა წევრებმა და ხელოვნების თაყვანისმცემლებმა ქალბატონ ლელას ცხოვრებისა და შემოქმედებიდან ბევრი საინტერესო მოგონება გაიხსენეს და წარმატებები უსურვეს ღვაწლმოსილ და ამაგდარ ხელოვანს.

ნათელა იაძე

დრო მკურნალია, იცოდე!

(ხალხურ მოტივებზე)

დრო მკურნალია, იცოდე,
ნერგს რგავენ, ხესა ჭრიანო,
დაიბუდებენ ხოხბები
ბარტყებსა გამოზრდიანო.
„წყალნი წავლენ და
წამოვლენ
ქვიშანი დარჩებიანო“,
წუთისოფელი იბრუნებს
მთვარე, მზე გამოკრთიანო.
არც შენ შეგრჩება, იცოდე,
არც არვის შერჩენიაო,
ვინ ამოიცნო სამყარო,
ისევე ისეთიაო.
უყურე, დასტკბი მშვენებით,
„საცქერლად ლამაზიაო“,
ზოგისთვის მოჩვენებაა,
ზოგისთვის არც რამეაო.
ზოგისთვის ჯოჯოხეთია,
ზოგისთვის სიცოცხლეაო,
ვერსად წაუხვალ ღვთის
ნებას,
განგება ასეთიაო.
ის გადაგხდება, იცოდე,
რაც შუბლზე გაწერიაო.
ლხინით, ქორწილით
აგავსებს,
დაგავსებს უმსგავსიაო,
ჯერ მოგცემს, მერე
წაგართმევს,
რაც გიპოვ-გიშოვნიაო.
მიწა ხარ, მიწად იქცევი,
ბოლო კი სიკვდილიაო.
სამჯერ აგწევენ-დაგწევენ,
მხრებზედა გაგიდვიანო,
მოთქმა-გოდებით ჩაგდებენ,
ქვა-ღორღსაც დაგაყრიანო.
„ძეგლს დაგიდგამენ
ხელთუქმნელს“,
სანთლებსაც დაგინთიანო.
„წყალნი წავლენ და
წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო“!

შალვა კეღოშვილი

თარგმანები

თათულ ფოლორჩიანი

მეხსიერება

სად მიაქვს ამ წყალს ჩემი
სიმდიდრე...
მეხსიერება?
მეხსიერებამ ზღვას მიაღწია...
აქაფდა, ანაპირდა, აღელდა,
დაწყნარდა...
თევზებმაც იგემეს ჩემი
მეხსიერება.
სად მიაქვს ღრუბელს ჩემი
სიმდიდრე...
მეხსიერება?
მან უკვე ზეცას მიაღწია,
ღრუბელმა იგი ნისლად აქცია,
ჩემი მეხსიერება ბურუსში
გაიფანტა.
სად მიაქვს ცის თაღს ჩემი
სიმდიდრე...
მეხსიერება?
მან უკვე ვარსკვლავს მიაღწია,
აკიაფდა, აციმციმდა,
ამოხეთქილ ყვავილს დაემსგავსა,
რომელიც მერე, მერე ჭკნება...
სად მიაქვს ჩემ ძილს მეხსირება,
ამ ჩემ სიმდიდრეს საით მივყავარ,
ან სად რჩება, ვისთან რჩება,
სად გაიხარებს?
ვიტირო თუ გამეცინოს, ვერ
გამიგია...
თუმც სულერთია, – ბოლოს
ხომ მაინც
ხავსად იქცევა ჩემი სიმდიდრე, –
მეხსიერება.

***

ჩემს ხელში ყვავის ლოტოსი,
ლოტოსებს შენთვის კრეფენ...
არა მაქვს ტახტი მეფისა,
შენა ხარ ჩემი მეფე.
ვარ სიყვარულის შეგირდი,
მხოლოდ შენთვის ძგერს მარად,
მე გარეთა ვარ, შენ – შიგნით,
ზიხარ და სივრცეს მპარავ

***

ნეტავ, სად ჩარჩა ჩემი ასაკი, –
უბის წიგნაკში? იქნებ სიზმარში?
თუმცა, ნაპოვნიც და დაკარგულიც,
ჩემია იგი – წლებით,
ტანჯვით მოპოვებული.
ნეტავ, სად დამრჩა წლები და
ტანჯვა, –
ჯიბეში? კალენდარში?
უაზრობაში?
იქნებ სიბრძნეში?
თუმც, სულერთია! – ჩემი გაჩენაც,
სიცოცხლეც და იმქვეყნად
ნასვლაც
ჩემია მხოლოდ!
მაინც, სად ჩარჩა ჩემი წლები,
ჩემი ცხოვრება!

***

სხივი სხივს შორდება,
მთლიანად შორდება,
უდაბნოს მკერდზე ეცემა და
იძინებს...
სხივი სხივს შორდება,
მერე კლდეს მისწვდება,
მთებს დაიპყრობს და
იძინებს...
სხივი ყველგან მიაღწევს,
შემოდგომის წლებს სწვდება,
წყალს და ხიდებს მოივლის,
სულშიც შემოიჭრება და...
იძინებს.

***

ყველაფერი ქრება და ყველაფერი
ჩერდება...
მხოლოდ ფოტოსურათი არასოდეს
ბერდება!
წყალნი წავლენ-წამოვლენ, წყალნი
ხავსებს ედება,
მხოლოდ ფოტოსურათი არასოდეს
ბერდება!
მთებით, მიეთ-მოეთით სიყვარულიც
ნელდება...
მხოლოდ ფოტოსურათი არასოდეს
ბერდება.
ნაოჭები სხეულზე მოჩანს, როცა
თენდება,
მხოლოდ ფოტოსურათი არასოდეს
ბერდება!

თარგმნა **მზია ხეთაგურმა**



„სერბი, მალორუსი, ქართველი, რომელიც მხარს უჭერს მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, საზოგადოების სრულიად მავნე წევრია, ამუხრუჭებს საყოველთაო განათლების, საყოველთაო ველიკორუსული ლიტერატურის ღვწას, რომელშიც არის ჩვენი ხსნა, ჩვენი იმედი“.

ფიოდორ დოსტოევსკი

თქმულებები

ყარსზე

ქ.ყარსს იმიტომ დაარქვეს ეს სახელი, რომ ქართველებმა აქ ბევრი თათრის ჯარი დახოცეს, ისე ბევრი, რომ დიდხანს დარჩა დაუმარხავი. აყროლდა იქაურობა. ქართველები რომ შესულან იქ, უთქვამთ: რა ძალიან ყარსო. ამის შემდეგ დაარქვეს ყარსიო.

მთა „გოდორები“

გოდორები ჰქვიან ორ მთას, რომელიც სოფ. ბარალეთს აღმოსავლეთის მხრით საზღვრავს დაახლოებით 10 ვერსზე თაფარავნის ტბის მახლობლად.

„გოდორები“ მაგ მთებს იმიტომ ჰქვიათ, რომ ლეკიანობის დროს, მაგ მთაზე ყარაულები (დარაჯები) იდგნენ და მაღლა ჰაერში კეტით გოდორო ჰქონდათ ჩამოკიდებული. როცა ლეკებს დაინახამდნენ, გოდორს დაბლა დაუშვებდნენ. ხალხმა იცოდა, ეს ლეკების მოსვლის ნიშანი იყო და ციხესიმაგრეებში შეიკეტებოდნენ. ამიტომ ამ მთებს ხალხმა მერე გოდორები დაარქვაო და ახლაც უძახიან.

კოთელიაში რომ არის, იქაც გოდორი ჰქონიათ ჩამოკიდებული და იმიტომ, იმ ალაგსაც, „გოდორებს“ ეძახიან, თორემ, აბა შეხედე, ის ადგილი თუ გავს გოდორსაო.

„კენჭიყრია„-ს მთა, ე.წ. „თავკვეთილის“* მთასთან*

ერთ ჩვენებურს (ე.ი. ჯავახელს გ.გ.)) საქართველოდან (ჯავახეთში მცხოვრებ სომხების გავლენით, ბაკურიანის უღელტეხილის იქით, საქართველოს უწოდებდნენ, თითქოს ჯავახეთი საქართველო არ ყოფილა და არც არის“. გ.გ.) სიმინდი მოჰქონდა ზურგით. როგორც იქნა, არ ვიცი, რამდენიმე მარცვალი ჩაჰპნევია ქვებში. უთქვამს: რაც უნდა იყვეს, იქიდან აქ მოვიტანე და ამ მარცვლებს აქ არ გაუშვამო. რამდენიმე მარცვლისთვის იმოდენა ლოდები უგორებია და ის მარცვლები კი სულ ამოუკრეფიაო. ამის მერე იმ ადგილს „კენჭიყრიას“ უძახიანო. ვითომ „კენჭი ყარაო“. ის კი არა, ვებერთელა ლოდები უგორებიაო.

როგორ გაჩნდა წითელ საყდრის (ახლა ტაბაწყურის) ტბა

უწინ, წითელ-საყდრის ტბის ადგილას პატარა სოფელი ყოფილა (ასე ოცი-ოცდახუთი კომლი). ამ სოფელში ორი ობოლი და-ძმანი ყოფილან. ძმა ომიდან დაბრუნებულა, გოგო ამ დროს წყალზე ყოფილა წასული (წყარო ჰქონიათ, რომელსაც კეტამდნენ), რომ სოფელი წყლით არ ამსულიყო, რადგან დაბლობში ყოფილა). თურმე მიუხარობლებიათ, რომ ძმა მოგივიდაო. ბინდ-ბუნდში ყოფილა. გოგოს წყაროს დაკეტვა დავიწყებია სიხარულში და სახლისკენ გაქანებულა. სხვებსაც მიულოციათ და შუაღამემდის უქეიფიათ, მერე ნაქეიფრებს გემრიელათ დასძინებიათ. გამოუღვიძიათ დილით, გამოსულან, რომ სოფელი თითქმის წყლით ამსილა. წყაროც დაკარგული ყოფილა, ვერ მისდგომიან, ისევ დაეკეტათ. გაცვივნულან და მაშინ გაუშენებიათ სოფელი „წითელი საყდარი“ და იქ დასახლებულან, იმ წყაროსგან კი გაჩენილა ის ტბა.

რათ ჰქვია „აწყვერი“

თამარ დედოფალმა რომ ააშენა აგარის საყდარი, თურმე, დაარჩია კაცები, რომლებსაც სულ გოგია ერქვათ, რადგან ქვა ხევში იყო და იქიდან უნდა ეზიდათ ოსტატებისათვის. სულ რიგზე გაამწკრივა ეს კაცები, რომლებსაც ქვები ხელიდან ხელში უნდა მიეცათ, ამისთვის ერთნაირი სახელების კაცები დააყენა. ესენი ერთმანეთს ქვებს ხელიდან ხელში აძლევდნენ – „ჰა, გოგიას, მიე გოგიასო“ და ასე ააშენა თამარ დედოფალმა აგარის საყდარიო, მერე ვარძია. ჩავიდა აწყვერში, იქაც გააკეთა ციხე და საყდარი და მაშინ თქვა: აწყვერი გამოძებო (ასე იკითხება. რედ.) ვითომ: ამდენი რამე რომ გავაკეთე, კაცი გავხდიო, ქალი აღარა ვარო და „აწყვერიც“ იმიტომ დაარქვეს სოფელსაო.

მთქმელი ბასილ ზაქარიას ძე გოგოლაძე, 70 წლის.
ჩაწერილია გიორგი გოგოლაძის მიერ 1937 წელს.
ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი. კ.მ.მ. ე.№4443

ჩუნჩხა

ვინც ჩვენს სოფელში ყოფილა, აუცილებლად
ნახავდა,
გოჩიგვერდას და ხატისთავს, ბუნებამ როგორ
დახატა.
როგორ დახატა სალი კლდე, ფშანებში წყარო
ანკარა,
დილით ცვარ-ნამი ბალახზე, შუადღეს სიცხე
თაკარა.
გამოქვაბულთა ანსამბლი ჟამთა სიავის მეგზური,
ზოგს ქვის კარები ჰკიდია, ზოგს ქვის ბოძი აქვს
შედგმული.
კლდის ნაპრალებში ბობოქრობს აქაფებული
ჩანჩქერი,
გახედავ ფარავნის წყალზე მოჩანს დადგმული
ფაცერი,
ზედ მოცეკვავე თევზები: ლურჯა, წვერა და
კალმახი,
ბუნების ეს საოცრება არსად გექნებათ ნანახი.
ქვიანჭალა და კოტაკი, ცხვირივით
გამოწეულა,
შესანახ-დასამალავი, არწივთა ბუდედ
ქცეულა.
ჭოჭრანა ჩემი ჭოჭრანა, ალუბლები და ვაშლები,
ცეკვა-თამაში სიმღერით, - როგორ ტკბებოდნენ
ბავშვები.
კირისჭალა და დიდჭალა, გარდასულ დღეთა
წუხილი,
დაობლებული ნამგალა, მწარე ცრემლების
დუღილი.
მარჯვნივ კი მოჩანს ცივწყარო, კლდეზე ნაქარგი
ხავერდი,
გაოცებული მნახველი, მის სიგრძე, მის
სიგანეთი.
გაღმა-გამოღმა საყდარი, და-ძმის სახელს რომ
ატარებს,
მტერმა დახოცა ორივე, სიცოცხლე აღარ აცალეს.
ციხეკნელა და ოხერა, მრავალჯერ
აოხრებული,
მანდილოსნების ქვითინი, ბავშვები
დაობლებული,
თურქებმა ბაღ-ვენახები ბევრჯერ აჭრეს
და აკაფეს,
დღეს კი ეს ურჯულოები მოვიხმეთ,
დავიძმაკაცეთ.

მთქმელი იოსებ ცერცვაძე, 73 წლის, ახალქალაქის რაიონი, სოფელი ჩუნჩხა, 2012წ.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

ჰეტრეს სარდაფი

„შენი ფასი აბაზია“

გასული საუკუნის 70-იანი წლებია. „პაზიკის“ მარკის საექსკურსიო ავტობუსი, ასპინძის ცენტრში, ე.წ. „თეთრ სახლთან“ მდებარე დეკორატიულ წყაროსთან გაჩერდა. სიცხისაგან გათანგულმა ექსკურსანტებმა ავტობუსიდან ნელ-ნელა იწყეს ჩამოსვლა. ქალები, ვინ მარაოთი, ვინ ოთხად მოკეცილი გაზეთით, ინიავებდა სახეს; მამაკაცები ცხვირსახოცით იწმენდდნენ ოფლს. უცებ, წყაროსთან, ბოთლებიან ექსკურსანტთა რიგი დადგა. ბოლოს, შუახანს მიტანებულმა, ერთმა ჩაღიპულმა მძღოლმა, „პაზიკის“ კარი მშვიდად გააღო და დინჯად გადმოვიდა. მედიდურად გაიხედ-გამოიხედა, დასიცხულ ექსკურსანტებს გადახედა და მკაცრად გააფრთხილა: ასპინძა დიდი დასახლებაა და ნუ დაიფანტებით. ამჯერად, შესვენებისთვის, 20 წუთი იკმარეთ, თორემ, ვარძიამდე, ზოგიერთს, ტაქსით მოგიწევთ ამოსვლაო. მერე მათ გამოეყო და იქვე, ახლოს მდებარე „კოპტორგის“ მაღაზიისკენ გასწია, სადაც მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, იტალიაში, პარტიზანული რაზმის ყოფილი წევრი, ბატონი შაქრო ტივაძე ხის ყუთებს ამზადებდა, კახეთში გასამგზავრებლად ემზადებოდა, 12 კაპიკიანი, ფონდირებული პომიდორის ჩამოსატანად.

– ძია კაცო, სიგარეტი გაქვთ? – დაუძახა საქმეში გართულს ავტობუსის მძღოლმა.

გადაღლილმა და ოფლში გაწურულმა შაქრომ თავი ასწია, უცნობს გახედა და ზრდილობიანად უპასუხა:

– არა, ბატონო, აქ სიგარეტი არ იყიდებაო!

მძღოლმა ღიპზე ხელი გადაისვა, ირონიულად გაუღიმა, ირგვლივ თვალი მოავლო, ყურადღება ისევ შაქროსკენ გადაიტანა და ხმამაღლა უთხრა:

– ეს ასპინძა ლამაზია,
ცარიელი მაღაზია,
მყიდველი და გამყიდველი,
დამეკიდეთ ამაზეა...

მერე დინჯად შეტრიალდა და ის იყო წასვლა დააპირა, რომ ძია შაქრომ, უცნობს, ხურდაში დაუბრუნა:

– ავტობუსიც ლამაზია,
შენი ფასიც აბაზია,
პასაჟირი თავის მძღოლით
დამეკიდეთ ამაზეა...

მძღოლი ამდაგვარ პასუხს არ მოელოდა. ისტერიულად გადაიხარხარა, ძია შაქროსთან მივიდა, ძველი ბეგობარივით გადაეხვია, ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა:

– ყოჩაღ, ძია კაცო, ვინ არ გამიშაყირებია, მაგრამ ასეთი უეცარი პასუხი, თანაც, ამდაგვარად, ჯერ არავისგან არ მიმიღია.

გიორგი ბერიძე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scribd.com; facebook: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდის სახელით და კერძო პირის სტატუსით **ავთანდილ ბერიძე;**
საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განყოფილება,
ა(ა)იპ-ი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა „კოლორ-პრინტში“
მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს 43ა
ტელ: 2–93–27–66

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 99 97 95 24,
lit_meskheti@yahoo.com